ნ. ჟორდანია

# წიგნი ოჯახში საკითხავი

დაწერილი ჩემს მიერ, ჩემი შვილების და შვილიშვილებისათვის, — საგულის-ხმიეროთ და სახელმძღვანელოთ.

15 იანვარი, 1933 წელი

პარიზი — ვანვი.

ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა

# წიგნი ოჯახში საკითხავი

დაწერილი ჩემს მიერ, ჩემი შვილების და
შვილიშვილებისათვის,-საგულისხმიეროთ
და სახელმძღვანელოთ.

15 იანვარი, 1933 წ.

პ ა რ ი ზ ი - ვ ა ნ ვ ი

# წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა.

დღეს შემისრულდა 65 წელი.განვლე საკმაო გზა ცხოვრებისა.ნახული,გაგონილი,დაკვირვება და გამოცდილება საკუთარი მომეპოვება;ჭკუა მომეთხოვება,როგორც იტყვიან,ჭკუა სიცოცხლის და სიკვდილის გამზომავი,ავის და კარგის გამგე,წარსულის დამფასებელი,აწმყოს მაყურებელი,მომავლის გამომცნობი.ახლოვდება ჩემი გზის ბოლო,საბოლოო ნავთსაყუდელი შორს არ არის და როცა ვიხედები უკან,როცა ვფიქრობ რა მრჩება,რა რჩება ჩემი ქვეყანაზე,-ვერაფერს ვერ ვხედავ გარდა ერთისა:ჩემი შვილებისა,ჩემი ჩამომავლობისა,რომლითაც მე ვუკავშირდები კაცობრიობას,ვაგრძელებ ჩემს მოდგმას,ჩემს სისხლსა და ხორცს. მხოლოდ ამ გზით გრძელდება სიცოცხლე და იქმნება უკვდავება.ეს ყოფილა ბუნების ძირითადი კანონი.წინათ მე ასე არ მეგონა;უკვდავებას ვხედავდი "მოღვაწეობაში",საზოგადო საქმიანობაში,რის კვალი ამა თუ იმ ფორმით რჩება სიკვდილის შემდეგაც.ეს არის სულიერი,მორალური უკვდავება,უეჭველია და მას ვაყენებდი პირველ ადაგას.ახლა ვხედავ, რომ ეს უკვდავება ზერელე და უმნიშვნელოა შედარებით ფიზიკურ უკვდავებასთან,ხოლო ეს კი მოიპოვება ერთი გზით - შთამომავლობის დაცოვებით.მე დავუბრუნდი ბუნების კანონს,კანონს გარდაუვალს,საფუძველს მხოფლიოს შენობისა.

ამ ბუნების კანონის ჩემს მიერ შეუსრულებლობა,მისი ყურადღების გარეშე დატოვება მაიძულებს ახლა ამ სტრიქონების დაწერას.ცოლი შევირთე გვიან,ადრე უნდა შემერთო;ბავშვები მყავანან მცირეწლოვანნი, უნდა მყოლოდა დიდები და დაკაცებულნი.მათ ჩემი არ ესმით,ჩემს აზრს ჩემს სულს მათ ვერ გადავცემ,ვერ მიხვდებიან,შრომა უქმათ ჩაივლის. მე რაც მინდა ვუთხრა - გასაგებია ოცი წლის ყმაწვილისათვის,მე კი ვერ მივალ იმ ხანამდე,როცა ჩემი ორი ბავშვი ოცი წლის იქნებიან. დამრჩენია ერთი:-დავუტოვო ანდერძი,გადავცე წერილობით ჩემი აზრი ცხოვრებაზე,მის გზებზე,მის გაგებაზე და ვითარებაზე.ვინ ეყოლება მათ მეგზური,ვინ უწინამძღვრებს,ვინ დაარიგებს,ავს აარიდებს,კარგს

შეათვისებინებს?მე აღარ ვიქნები,დედაც აღარ იქნება ერთ დროს;მინდა ისინი მოვიდნენ და მე შემეკითხონ:-აი,ამ წიგნში ჩაიხედონ და ჩემი აზრი ამოიკითხონ.

ჩემს სიცოცხლეში ვწერდი სხვისთვის;ამ წიგნს ვწერ ჩემთვის,ჩემი ოჯახისათვის,ჩემი ბავშვებისათვის.ვწერ აქ სულ ისეთ რამეზე,რაზედაც არასოდეს არ მიწერია,არც ვინმეს აინტერესებს და რაც მე მიმაჩნია მთავარ,ძირითად საფუძვლად ადამიანის ცხოვრებისა.საკვირველია,ყველას ეს სჭირდება,მაგრამ მასზე არავინ არ ფიქრობს.ყოველ დღე,ყოველ საათში თავის უნებურათ და დაუკითხავათ ამ სოფლის წესს ვასრულებთ, თან ამ წესზე წარმოდგენა გარკვეული არ გვაქვს;ვცხოვრობთ თვალდახუჭულათ,ეპიზოდურათ,შემთხვევიდან შემთხვევამდე.მე მინდა ჩემს ბავშვებს ჰქონდეთ ნათელი აზრი ცხოვრებაზე,წარმოდგენა ამ ნათელი სულის ბრუნვაზე,მის გარდაუვალ კანონებზე და მას შეუთანხმონ თავიანთი მოქმედება,თავიანთი არსებობა.

ამ ჩემს ნაწერს არ ექნება სისტემატიური წერილების სახიათი.ერთიდაიმავე საგანზე იქნება დაწერილი სხვადასხვა ადგას,იმისდაგვარად თუ როდის რა აზრი მომივა და რის დაწერას საჭიროთ დავინახავ.

--------------- . ---------------

ადამიანი ცხოვრობს საშუალოთ 70-80 წელი;მას შეუძლია ეს საშუალო გაზარდოს,ას წლამდე მიიყვანოს,რომ თვითონ არ ამოკლებდეს თავის სააქაო ვადას ხელოვნურათ,უმთავრესად საჭმელით,ღვინით და სქესობრივი უზომიერობით.ცხოველი ცხოვრობს თავის ბუნების მიხედვით.რაც არ უნდა ვერაფერ ღიღებით ვერ გააკეთებიებ,ერთ სცაქან წყალს,ერთ მუჭა ქერს ვერ მიაღებიებ.ამიტომ ცხოვრობს ის სწორედ იმდენ ხანს,რამდენიც მას ბუნებამ დაუწესა.

ერთი ექიმის აზრით,ცხოვრების ვადა განისაზღვრება ზრდის ვადით,-გამრავლებული 5-ჯერ.მაშასადამე,ადამიანის ზრდა თავდება ოც წელს,მისი ცხოვრების ვადაა ასი წელი.მაგრამ ის ყოველივე ზომას ღებულობს ის შეამოკლოს,ე.ი.იცხოვროს ბუნების წინააღმდეგ,თავისი ფანტაზიის და ქეიფის მიხედვით.ამიტომ ღარიბი კაცი ცხოვრობს უფრო დიდ ხანს,ვინემ მდიდარი:უბრალო საჭმელი,ნაკლები ქეიფი,წესიერი ცხოვრება ღარიბის ხვედრია.ყოველ შემთხვევაში უნდა ვიანგარიშოთ ის ვადა,რაც ჩვეულებრივათ დაწესდა:70-80 წელი.

ადამიანი,რაკი ერთხელ ის მისდაუნებურათ დაიბადა,იძულებულია განვლოს ეს გზა,გაათაოს თავისი ვადა.ვისთვის,რისთვის არის ეს საჭირო - ეს არავინ იცის,ბუნებამ ასე დაწესა და ის სრულდება აუცილებლობით.ბუნება თავის ძალას,თავის არსებობას აშკარავებს სიცოცხლით;ეს მისი მოუცილებელი ფუნქციაა.ამიტომ ბუნებას ნუღარ შევედავებით,მივიღოთ ის რაც არის,რის შეცვლა ჩვენ ხელთ არ არის.

აქ ისმება ისევ საკითხები:როგორ უნდა განვლოთ ეს ვადა,რა მიზანს ვემსახუროთ,რა შინაარსი ჩავდვათ სიცოცხლეში და მრავალი სხვა.

პირველი ოცი წელიწადი არის ვადა ზრდის და ცხოვრებისათვის მომზადების.რასაც ამ ხანაში დაკარგავ,შემდეგ იმას ვეღარ მოეწევი.გვზრდის ბუნება,გვამზადებს საზოგადოება.პირველი წარმოებს შეუჩერებლივ,ბუნება აწყობილი აპარატია,მეორე კი არეულ-დარეულია,საზოგადოება დაუწყობელია,ის ბუნების უკანონო შვილია.ყველაფერი რაც ბუნებისაგან გამოდის,სრულია,უნაკლულოა,ყველაფერი რაც საზოგადოებისაგან გამოდის ნაკიანია,ნაკლულევანებით სავსეა.ყველას სურს ახალგაზრდო-

ბაში მოემზადოს ცხოვრებისათვის,მაგრამ ყველა ერთიმეორეს ხელს უშლის და ერთიმეორეს არ ანებებს ამ მიზნის შესრულებას.ამიტომ ადამიანთა დიდი უმრავლესობა იზრდება ალალბედათ,უწინამძღვროთ,უსისტემოთ,უპლანოთ.ხშირად ოცი წლის კაცმაც კი არ იცის რისთვის არის გამოსადექი,რა გზას დაადგეს.

მართალია შკოლები უამრავია,ყველა ხარისხის და ტიპის.აქ ასწავლიან მხოლოდ იმას თუ როგორ მოიპოვონ პური ჩვენი არსობისა,ვინ რა ალაგი უნდა დაიჭიროს ცხოვრებაში;მაგრამ სრულიად არ ასწავლიან იმას თუ რა არის თვით ცხოვრება,რა არის მისი კანონები,რა დამოკიდებულებაა ადამიანთა შორის ძირითადი,ბაზა,და რა ზერელე და წარმავალია.ყველამ იცის,რომ საზოგადოების ბაზაა ოჯახი,ე.ი.ორი სქესის ადამიანის შეუღლება და შთამომავლობის გაგრძელება.ყველაფერი შეიძლება დატოვო უყურადღებოთ,გზა აუხვიო,ამას კი არა,ეს გარდაუვალი ურთიერთობაა.შკოლა კი ამ საგანს სრულიად არ ეხება,ადამიანთ ამ უდიდესი საქმისათვის სრულიად არ ამზადებს;თვითეული მიშვებულია თავის საკუთარ გემოვნებაზე და გაგებაზე.ავიღოთ მაგალითად დედა.ეს ხომ უდიდესი და უმაღლესი მოვალეობაა.მასზე დამოკიდებულია კაცობრიობა.ქალი ისე ათავებს ერთა შკოლას,რომ არაფერი გაეგება ამ უდიდეს მოვალეობაზე,არ იცის რა მოელის,რას ნიშნავს მისი მოვალეობა,როგორ გაუძღვეს შვილს,ოჯახს - არაფერი ამის,რაც შეკავშირებულია მასთან,როგორც დედასთან.

მაშასადამე,მომზადება ცხოვრებისათვის,რაც წარმოებს ჩვეულებრივათ ზრდის ხანაში,-არის მომზადება მექანიკური,გარეგანი,ხელობის და მუშაობის ამწყობი.საზოგადოებას აინტერესებს არა ოჯახი და მისი ვითარება,არა ეს ბუნებრივი უჯრედი,არამედ თვითეული პირი ცალ-ცალკე;ექიმი,ინჟინერი,მუშა,ვაჭარი და სხვა.ყველა ამათ შორის გამართულია შუღლი და თვით ეს ბრძოლა სასარგებლოა ადამიანისათვის,მომზადება ბრძოლისათვის,ე.ი.ცხოვრება არის ბრძოლა,არა იმდენათ ბუნებასთან,მიწასთან,ქართან და ავდართან,არამედ უმთავრესათ და უპირველესათ ადამიანთან.

მეც ასე ვიზღებოდი, მაგრამ ეს მიზანი მაინც ვერ შევითვისე. ბრძოლა ადამიანთან გადავსცვალე ბრძოლაზე გლახა წესებთან, სიდუხჭირესთან, ყოველივე იმასთან, რაც ამრუდებს ადამიანის ბუნებას და ქმნის მისგან სა ბრძოლო მანქანას. რატომ? სულ უბრალო მიზეზით: ჩემი ბუნება ვერ შეურიგდა გამეფებულ წესს მომზადებისას და გაარღვია მისი რკალი, ე.ი. აქ მუშაობდა არა გონება, არა შეგნება, არა სწავლა და წიგნი, არამედ ბრმა, თანდაყოლილი, ჩემი შეგნების გარეშე მდებარე, ჩემი ბუნება, ჩემი ხასიათი, გრძნობიერება, ნერვების დაწყობილება, ჩემი ფიზიკური არსება. ეს ალბათ გამონაკლისია, ხოლო წესია პირადი ცხოვრებისათვის მომზადება, არსებული წესების მიღება და შეგუება.

ჩემს შვილებში ორივე ვაჟი ამ მხრივ მე მგავს, ანდრეიკა და რედიკა მე ჩემი ბუნება და მის თანახმად გავლილი გზა არ მიმაჩნია სახარბიელოთ. მე მას არ ვუსურვებ ჩემს რედიკს. რატომ, -ამაზე შემდეგ. მაგრამ არც გამეფებულ წესს ვუსურვებ: მე არ მინდა, რომ ჩემმა შვილებმა სხვის უბედურებაზე ააგონ თავიანთი ბედნიერება. ზოგს გონია, რომ ადამიანი ყველა საძაგელია, სანამ არ დაგიმტკიცებს წინააღმდეგს. ე.ი. მისთვის წინდაწინვე კაცი მხეცია, რომელსაც თუ არ მოერიე, მოგერევა. ამ აზრს მე არ ვიზიარებ; ყველა ადამიანი არის ღვთის ნაპერწკალი, საჭიროა მისი აღმოჩენა, ან სურვილი მისი აღმოჩენის. ადამიანს მე ვუცქერი, მაშასადამე, წინასწარი თანაგრძნობით: მისი ავი მაწუხებს, კარგი მახარებს. ამიტომ სრულიად მიუღებელია ჩემთვის მისი ჩაქოლვა, მისი დამცირება, წაქცევა. მიყვარს დამარცხება, წაქცევა გლახა აზრის, გლახა მიმართულების, არ მიყვარს წაქცევა თვით ადამიანის.

თუ ჩემი შვილები ასე იფიქრებენ, მათი მიზანიც ნათელი და მისაღებია-იცხოვრონ ისე, რომ მათი ცხოვრება არ იყოს ვინმეს ტანჯვის და შეწუხების წყარო. მომზადება ამ საზზე არ ხდება დღეს საზოგადოების მიერ, ხდება პირიქით. მაგრამ თვით ბუნებრივი თვისებები გაარღვევენ საზოგადოების მრუდე რკალს, თუ კი ისინი საკმაოთ ადამიანური და ფაქიზია. ვინ იცის რა უწმაწური გინება და სიტყვები არ გამიგონია ბოვშობას, მაგრამ არც ერთი ეს არ მიკარებია ჩემს სულს და გულს. ეს იყო

ცერცვის კედელზე შეყრა,რომელიც არ სიამოვნებდა ჩემს არსებას.ცხადია ჩემი ბუნება ამას არ ითხოვდა,არ ითმენდა და გლახა აღზრდა მას ვერას აკლებდა.რაც ადამიანმა მიიღო წინაპრებიდან,ის რჩება უცვლელად,როგორც მისი ბუნება და მასზე უნდა დაშენდეს აღზრდა;რაც საფუძველს არ უდგება ან ეწინააღმდეგება,ის ცვივა დაბლა,კედელი არ შენდება ამ მასალისაგან.ამიტომ აღზრდის საკითხი უმძიმესი საკითხია.შკოლა ყველა ბავშვს ერთნაირად ზომავს,ერთი სასწორით წონავს;ამიტომ იძულებულია მისცეს ყველას ერთნაირი ცოდნა და მხოლოდ ცოდნა.თვითეული რჩება მამასადამე ოჯახის და საზოგადოების მორალის გავლენაში.

მზადების პერიოდი ორი ხაზით მიმდინარეობს - ცოდნის და ზნეობის, ამ უკანასკნელი სიტყვის ფართე მნიშვნელობით.ამ სფეროში მთავარი ადაგი უჭირია ხასიათის დამუშავებას.თუ ცხოვრება ჭიდილია,ცხადია აქ საქმეს სწყვეტს უფრო ხასიათი,ვინემ ცოდნა.უხასიათობა,სუსტი ხასიათი,უნებისყოფობა,გადაწყვეტილების მიუღებლობა,თავის თავის ალალბედზე მიშვება,-ყველა ეს ადამიანის გადამწყვეტი მომენტებია.ხასიათის სიმტკიცე ნიშნავს პირველ ყოვლისა თავის თავზე ბატონობას,თავისი გრძნობის,სურვილების,გატაცების,სიმპატია-ანტიპატიის თავის ხელში დაჭერას და მით მათ რეგულირიზაციას.შვილს უეჭველია ეჭირვება დედაც და მამაც.ისინი ერთი მეორეს ავსებენ შვილის აღზრდაში.დედა ანებივრებს, ე.ი.ყველა სურვილებს უსრულებს ან სურს შეუსრულოს.მაგრამ ამისი გატარება ნიშნავს ბავშვის"გაფუჭებას",ე.ი.მისი ხასიათის მოშლას,ჩვარი კაცის გამოყვანას.მამა კი პირიქით,ბავშვის სურვილებს არ მისდევს, მისგან ითხოვს,მას ძალას აცანს,გააკეთოს ის,რაც მას არ სურს,ერთი სიტყვით,ბავშვი აიძულოს შეებრძოლოს თავის სურვილებს და მით ის დაიმორჩილოს.

ხასიათის სიმაგრე ნიშნავს შესაძლებლობას,-დაიმორჩილო თავის სურვილები.არ აყვე გულის აქმას,მავნე ჩვეულებებს,მიბრუნებას იქით,საიდანაც ქარი ქრის.

ცხოვრება უნდა წარმოიდგინოთ,როგორც ზღვა,ხან აღელვებული,ხან დაწყნარებული,რომელშიც მეოცე წელს მარტოთ მარტო ეშვები და იძულებული

ხარ იცურაო;გლახა მოცურავე იღუპება,ან და გაირიყება.კარგი მოცურავე გაკაფავს ტალღებს და ხამშვიდობოზე გავა.ეს ტალღებია თვით ადამიანები,ხოლო ხამშვიდობოა სიკვდილი.მაშასადამე იძულებული ვართ ბოლომდე ვიყოთ ამ ტალღების ამყოლი თუ ჩამყოლი,მებრძოლი თუ წინამძღოლი,ბატონი და ყმა,ხათამაშო ნაფოტი თუ გემის კაპიტანი.ყველა ეს დამოკიდებულია არა იმდენათ ცოდნისაგან,რამდენათ ამ ცოდნის მოხმარებისაგან:ე.ი. ადამიანი უნდა იყოს ისეთი აპარატი,რომელიც უპატრონებს და გამოიყენებს ყოველივე იმას,რაც მასში გარედან შედის,რასაც იძენს შკოლიდან თუ საზოგადოებიდან.ხალხი მართალს ამბობს:ჭკვა მახპინძელია,განათლება კი სტუმარია.თუ მახპინძელი უვარგისია,მას ვერაფერი ვერ უშველის. უჭკუო კაცი იშვიათია,ყველას აქვს ის საკმარისათ.და თუ მაინც არის კაცი ჭკვიანი და უჭკუო - ეს ხდება ხელოვნურათ,აღზრდის და საზოგადოების მიერ.არის კაცი ძრიად ნიჭიერი,განათლებაც აქვს,მაგრამ უჭკუო. რას ნიშნავს ეს?უჭკუოა იმით,რომ არ იცის სად როგორ მოიხმაროს თავისი ნიჭი და ცოდნა,სად რა უნდა თქვას,ვის როგორ მიუდგეს.თავის ფანტაზიას და სურვილებს არ აჰყვეს,თავისი აზრი რეალობათ არ მიიღოს,- ერთი სიტყვით არის უხასიათო,ბავშვი - ჯიუტი,თავის სურვილების ამყოლი.გამოდის,რომ უჭკუობა ნიშნავს უხასიათობას,აუზრდელობას,თავისი გულისთქმისა და აზრისათვის ლაყბობას.ბავშვი,რომელიც ფუფუნებასა და შენგენაცვალობაში არის აღზრდილი,უჭკუო იქნება,რასაკვირველია.

ამიტომ არის,რომ ყველა დიდი პირები,ცნობილი მოღვაწენი და გმირები გამოდიან დაბალი ხალხიდან,ე.ი.იმ წრიდან,რომელიც ცხოვრებას მწარე ოფლით და შიშის შრომით იკაფავს,მუდამ ენაცრება აუცილებელი საშუალებები და იძულებულია მოითმინოს,ებრძოლოს თავის სურვილებს და ის გულში ჩაიკლას.ამ ბრძოლაში იჭედება ხასიათი და იქმნება ძალა ხულიერი და მორალური.

ადამიანს აქცევს ადამიანათ,მომქმედ მორალურ პიროვნებათ არა შკოლა,არა საზოგადოება,არამედ მისი მდგომარეობა;როგორშიაც ის იმყოფება ისეთი სახის იკვეთება.

არასოდეს არ გადამიტანია იმდენი გაჭირვება,როგორც გადავიტანე

ბავშობაში.ათი წლიდან ვცხოვრობდი ბინას გარეთ,სხვისას,სადაც ყველაფერი მენცრებოდა.არასოდეს არ მქონებია სამყოფი არც საჭმელი,არც სასმელი,არც ტანისამოსი,არც წიგნი,არც გართობა – არაფერი,რაც ბავშვის გულს ახარებს.ყველაფერი ეს მქონდა ორ თვეს,ზაფხულში,როცა შკოლიდან შინ ვბრუნდებოდი;ათ თვეს კი ვითმენდი და თავის თავს ვებრძოდი.

ბრძოლა დავიწყე მე თავის თავიდან და მხოლოდ შემდეგ,მოგვიანებით გადავიტანე ის სხვა ასპარეზზე.

მე არ უსურვებ არავის ჩემს ბავშვობას,მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია,–გაჭირვება იძლევა სიმტკიცეს და სიმაგრეს.ის არის დიდი ბოროტება,თუ ის იძლევა ამასთანავე გაბოროტებას,შურისძიებას,გზადაბნეულობას.აქ კი საკითხს წყვეტს ბუნება,თანდაყოლილი სულიერი თვისება,– ველური სული ადვილად ბოროტდება;სათნო,კეთილი სული ლმობიერდება.შენი ბედი შენზე კიდია:ავიც და კარგიც თავისთავისაგან არის დამოკიდებული.როგორც კი ავს სხვას გადააბრალებ,თავის შეცდომას და ნაკლს არ დაინახავ,იწყება გაბოროტება,–სხვისი დაჩაგვრის და წაქცევის წყურვილი.მაშინ ამ ხაზზე ეწყობა ადამიანის მთელი სულიერი თვისებები;მისთვის ყველა კაცი მტერია,მხეცია;ერთად-ერთი ის არის სათნო,სამართლიანი და უმანკო.

ქრისტეს მოძღვრება დიდებულია ამ მხრივ,თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია კაცთმოყვარეობით,შეიძლება ეს გადაჭარბებულიცაა,მაგრამ საფუძველი სწორია.

ქრისტეს მიჰგვარეს ერთი საწყალი დიაცი,რომელსაც ხალხი გაედევნა ჩასაქოლავად.ქრისტემ უთხრა მათ:ვინც უცოდველია – ესროლოს ქვაო.ვერავინ ვერ ესროლა,ლაგამი ასდვა ყველას.ე.ი.კაცი ერთია ყველა;არსებითად ყველა ერთნაირი თვისებისაა – აქვს ღირსებაც და ნაკლიც,ზოგს ერთი აქვს მეტი,ზოგს მეორე.დიდი კაცია ის,ვისშიც ღირსება სჭარბობს ნაკლს,ეს არის და ეს.

ადამიანის თანასწორობა მხოლოდ ახლა იკაფავს გზას,ეს უმაღლესი კულტურის შვილია;ადამიანის უთანასწორობა მოდის თავიდანვე,მისი გაჩენიდან.პირველი მას ჩასცა ქრისტემ,როცა განაცხადა – ყველა ადამიანი ძმებიაო;ეს იყო თანასწორობა სულის,მორალური,თანასწორობა ღვთის

წინაშე.ეს იყო პირველი დიდებული ნაბიჯი,პირველი შეძახება ძველი ქვეყნისათვის,აგებულის უთანასწორობაზე,ერთი-მეორის მორევაზე,დამონებაზე,დარბევაზე.

ის რასაც მე ზემოთ მოგახსენებ,არის მაშასადამე ღრმათ ქრისტიანური,უმაღლესი ადამიანური და ამიტომ ღვთიური,ციური.

შკოლა ასწავლის რელიგიას,რაიცა განისაზღვრება კატეხიზმით,ლოცვებით,ღვთის ვედრებით.მხოლოდ რელიგიას ნამდვილს,ქრისტიანულს,ადამიანის ადამიანათ ამღიარებელს და მათი თანასწორობის და ძმობის მღაღადებელს - ამას არ ასწავლიან.აქაც სწავლა ფორმალურია,გარეგნულია.

ყველაზე უფრო აღსაშფოთებელია ის,რომ ახალგაზრდობას არ ამზადებენ,არ ასწავლიან ყველაზე უფრო საჭირო,აუცილებელ,თვით ცხოვრების და სიცოცხლისათვის აუცილებელ სწავლა-ცოდნას,არ ამზადებენ სქესთა ურთიერთობის ნორმალურ აწყობას.ეს არის მიჩნეული სირცხვილათ,დასამალავათ,ვითომ ის უცაბედი,წარმავალი მოვლენაა.ორივე სქესი მიშვებულია თავის ფანტაზიაზე,თავის გემოვნებაზე,თავის წარმოდგენებზე - და ასე საფუძველი საზოგადოების -ოჯახი -შენდება შემთხვევაზე.

ადამიანის სიბრიყვეს არ აქვს საძღვარი,ის განუზომელია,მაგრამ აი ამ სფეროში,ამ მაგალითში ამ მისი სიბრიყვის უსაზღვროება აშკარა და თვალსაჩინოა.სიცოცხლე ბუნების კანონია,შეუღლება სიცოცხლის კანონია,ამ შეუღლების ფორმა - ოჯახი საზოგადოების,ხალხის ძირი და ბუდეა,ყველა ეს,ასე ვთქვათ,საძირკველია,რომელზედაც შენდება მთელი კედელი და შენობა სიცოცხლის და ადამიანობის და ყველა ეს შკოლაში,ოჯახში,საზოგადოებაში აკრძალული ხილია,მას არც მასწავლებელი ასწავლის თავის შეგირდებს,არც მშობლები თავის შვილებს,არც საზოგადოება თავის წევრებს.

წინეთ ამ ნაკლს ავსებდა და ამცირებდა მტკიცე ტრადიცია,ოჯახის ავტორიტეტი,საზოგადოების მეთაურნი და პატივით მოსილნი.ეს იყო შემუშავებული მორალური სალტე,რომელშიდაც იყო ჩამჯდარი ახალგაზრდობა,მთელი საზოგადოება და მას მორჩილებდა.დედ-მამა შვილს დააქორწინებდა თავის დროზე,მას დაასახლებდა,მას არ ეკითხებოდნენ ამის

აზრს და თანხმობას.ოჯახი ოჯახს აგრძელებდა ნივთიერათ,მორალურათ, საზოგადოებრივათ.ყველას თავისი ადგილი ქონდა მიჩნეული საზოგადოებაში და სახელმწიფოში.

ახლა მთელი ეს წყობა აშლილია,ყველა თვით იკაფავს თავის გზას, თავის ბედს,თავის მომავალს.გამეფებულია საერთო ხელჩართული ბრძოლა ყველა ყველას წინააღმდეგ ყველა სფეროში,აგრეთვე სქესის სფეროში.აღზრდა აძლევს ზოგ ცოდნას ამ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებათ, ე.ი.ის აიარაღებს კაცს ბრძოლისათვის,ხოლო თვით ბრძოლის მოწესრიგებას,მის მოსპობას ან მინიმუმამდე დაყვანას ის სრულიადაც არ ფიქრობს;ეგეთივე შედეგი აქვს გადატანილი სქესობრივ საკითხსაც იმ განსხვავებით,რომ აქ არც რაიმე ცოდნას აძლევს,ეს სავსებით გამოდევნილია აღზრდის სფეროდან და მიშვებულია შემთხვევაზე.არც ძველი მორალური სალტე,არც ახალი მორალური წესი.

ამ არეულ-დარეულობით ყველაზე უფრო დაზარალებულია ქალი.მთელი ცხოვრება ქალის აგებულია იმაზე,რაც მას ბუნებამ დაუწესა და რასაც ის ასრულებს - დედობაზე.მისი ფიზიკური ცხოვრება,სისხლის მოძრაობა,გულისცემა,თავის მუშაობა,პსიხოლოგია და გრძნობიარობა აგებულია აი ამ მის ძირითად დანიშნულებაზე.საშვილო მისი მეორე გულია, გაცილებით უფრო მბრძანებელი და მნიშვნელოვანი,ვინემ პირველი.ქალის ცხოვრებას ამ ორგანოს ცხოვრება განაგებს.აი და-ძმა,ერთად იზრდება, ერთად სწავლობს,განსხვავება თითქოს არაფერია მათ შორის,მაგრამ საკმარისია და დაქალდეს,ე.ი.ქალის რიგი გაეხსნას,რომ ის უცებ სრულიად გამოიცვალოს,ფიზიკურათ,გონებრივათ,ამხანაგურათ,თან შეზრდილ ძმას სრულიად დაშორდეს.აქ მასში ხდება რევოლუცია,დიდი ნახტომი,ბიჭში კი არავითარი არ არის,ის ვითარდება მეთოდურათ,ფიზიკური ზრდის პროცესით.ეს დიდი ამბავი,ქალიშვილის ტელობის ასაკში გადასვლა ისე ხდება, რომ არც კი იცის ბოვშვმა,არც არავის ყურადღებას არ იპყრობს,ის სირცხვილია,დამალულია.ხშირად დედამაც კი არ იცის და არც აქცევს ყურადღებას.ბუნებამ მას დააკისრა ასეთი დიდი როლი,მისცა ასეთი დიდი სამუშაო,ასეთი დიდი ფასი,ადამიანი კი მას არავითარ ფასს არ აძლევს,

ის აგდებულია,დამონებულია,დაბეჩავებულია!სიცოცხლის კიბეზე ქალს უჭირია პირველი ადგილი,საზოგადოების საფეხურზე კი უკანასკნელი! ბუნებას და საზოგადოებას შორის ჩატეხილი ხიდი აქ ყველაზე უფრო ღრმაა.

ამნაირათ,ადამიანის მომზადების პერიოდი,პირველი ოცი წელიწადი არ იძლევა ცხოვრებისათვის საჭირო მომზადებას,არც ხასიათს,არც ნებისყოფას,არც მორალს,არც ცხოვრების წესებს და ტრადიციას,არც ავტორიტეტს,არც გაგებას იმისას,რაც კაცს ყოველ დღე ხვდება,არც ერთ ცნობას ადამიანთა ძირითად ურთიერთობისას.იძლევა მხოლოდ ცოდნას გეოგრაფიის,ისტორიის,ასტრონომიის და სხვა და ეს შემდეგ როგორც გინდა ისე მოიხმარე ან და სულ ნუ მოიხმარ.

ადამიანი ცხოვრებაში შედის და მან კი ცხოვრების არა იცის რა. ეს მან შემდეგ უნდა გაიგოს,გაიგოს ბრძოლით,კისრის ტეხით,დაცემით და ადგომით,დამარცხებით თუ გამარჯვებით.და ამას უწოდებენ დღეს მომზადებას!

ამნაირათ,ცხოვრებაში შედის ადამიანი მისთვის მოუმზადებლათ,ე.ი. არ მიუცია მისთვის საზოგადოებას ცხოვრებისათვის აუცილებელი თვისებები.მაშ რანაირათ ცხოვრობს და გზას იკვლევს? აი,აქ მისი მთავარი რეგულიატორი და ხელმძღვანელია ის თვისება თუ თვისებები,რაც მას მემკვიდრეობით მიუღია თავისი წინაპრებისაგან.ხასიათი,ნებისყოფა,მორალური ვითარება - მემკვიდრეობის ნაყოფია,რის წაშლა შეუძლებელია;ამას საზოგადოება ვერ ერევა.მემკვიდრეობა არის საფუძველი,ბალავერი,რომელზედაც შენდება ადამიანის პირადობა,მისი მრავალფეროვანი ცხოვრება და მოქმედება;რაც ამ ბალავერს არ უდგება,რაც მას ეპირდაპირება,მისგან ცვივა,როგორც ცერცვი კედლისაგან,როგორც ეს ზემოთ ვთქვი.

ამნაირათ,ბოლოს და ბოლოს ჩვენს ცხოვრებას განაგებენ ჩვენი წინაპრები,ჩვენთვის სისხლის და ხორცის მომცემნი,ჩვენი სულის ჩამდგმელნი.ამ ბაზაზე ვცხოვრობთ რა - ვიცვლებით იმავე დროს ნელ-ნელა, შეუმჩნევლათ,ვითვისებთ ახალ თვისებებს,მაგრამ ეს ისე,რომ თვით ბა-

ზა არ იცვლება,არ ირღვევა,სრულიად ახალი არ დგება.ის ახლდება ჟამ-
თა მსვლელობაში,მარა არა იმდენათ,რომ ბოლო არ გავდეს თავს,შორეუ-
ლი შედეგი უძველეს დასაწყისს.ხდება ხშირათ პირიქით.შეიძლება ჩემი
შვილი მე არ მგავდეს იმდენათ,რამდენათაც მამაჩემს ან ბაბუაჩემს ან
კიდევ უფრო ძველ წინაპარს.ადამიანს იჭერს თავის ბრჭყალებში გამქრა-
ლი თაობები,ისე როგორც აწმყოს წარსული,მიმდინარე ხანას გავლილი პე-
რიოდები.ამ გავლილ პერიოდებს,ე.ი.ისტორიას ექცევა დიდი ყურადღება,
მას სწავლობენ და იკვლევენ ზედმიწევნით,ითვალისწინებენ ამით მომა-
ვალს,ხსნიან აწმყოს,მაგრამ არავინ არ სწავლობს და არც იკვლევს პი-
როვნებათა"ისტორიას",მათ წინაპრებს,მათ ცხოვრებას და თვისებებს.ეს
თითქოს თვითეული ადამიანის საოჯახო სფეროა,მისი შინაური საქმეა;
ეს მეცნიერება კიდევაც იყო ერთხელ ცნობილი,გენეალოგიის სახელით.
დიდი გვარები ძველათ მას მისდევდენ,მაგრამ ეს დიდი ხანია მოისპო;
რაკი ოჯახი,მისი ტრადიცია,მისი წარსული აღარავის აინტერესებს,რაკი
თვითეული დღეს თვით აკეთებს თავის ისტორიას,(ეს მართალი არ არის,
მარა მას ასე გონია),ამიტომ პიროვნებათა ისტორია განდევნილია სა-
ზოგადოების ანუ კოლექტივის ისტორიის მიერ.დედა ნახე,მამა ნახე,შვი-
ლი მერე გამონახე - ამბობენ ქართველები.აზრი ბრძნული,ღრმა,უტყუარი,
მაგრამ მას არავინ არ მისდევს და არ ასრულებს.და მართლაც,გაიცანით,
შეისწავლეთ დედ-მამა და უტყუარი წარმოდგენა გექნებათ შვილზე,ე.ი.
არა მის ნიჭზე თუ უნიჭობაზე,არა მის ქონებაზე თუ უქონლობაზე,არა-
მედ მის ბუნებაზე,მის ხასიათზე,მის პირადობაზე,მის ძირითად დამა-
ხისიათებელ თვისებებზე.

რაკი წინაპარი განსაზღვრავს ჩამომავლობის ბუნებას და ადამიანო-
ბას,თავისთავად ცხადია ის ინტერესი,რომლითაც ყველა უნდა მიუდგეს
თავის წინაპართა გაცნობას.მე ძალიან მინდოდა ეს გაკვეთილი ამეღო,
მაგრამ სამწუხაროთ აქედან დიდი არაფერი არ გამოვიდა.ყველა ველურის
თვისებაა,-თავისი წინაპარი და მისი საფლავი რაც შეიძლება ჩქარა
დაივიწყოს.სასაფლაოს უყურადღებობა,გარდაცვალებულის უპატივცემულობა
ჩამორჩენილთა ხვედრია.მე რაც ვიცი,ისიც მცირე,ვიცი მამაჩემისაგან,
ზოგი სხვა სახლიკაცებისაგან და ისიც მხოლოდ ბაბუაჩემზე,იმას იქით

კი არაფერი.ბებიაჩემი კი მე თვითონ მომსწრებია და ვიცნობდი.

მამაჩემის სიტყვით,-ეს მას გაუგონია თავის მამისაგან,- მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში გურიაში გამოსულა სამი ძმა-კაცი ზღვით, იტალიის გემით ქ.გენუიდან.სამივე წარსდგომიან გურიელს,ჩვეულებისამებრ,ერთი ყოფილა მებადე,ორი კი ვაჭარი.ერთი წასულა სამეგრელოში და იქ დარჩენილა.ჩაიშელი ყორღანიები მისი ჩამომავალია.მეორე გაბრუნებულა უკან ხმელეთით,ვერ გასულა და დარჩენილა არხავეთში. არხავის ყორღანიები მისი ჩამომავალია.მესამეს შეყვარებია გურიელის კარზე გურული ქალი,შეურთავს და გადაუწყვეტია დარჩენა.გურიელს მისთვის მიუცია მამულები და ყმები ლანჩხუთში.მისი ჩამომავალნი ვართ ჩვენ.მათი სახელი არ არის ცნობილი,გვარი კი ყოფილა ყორღანა,მარა გურულებს ეს სახაცილოთ გაუხდიათ და გადაუკეთებია ყორღანიათ,ვინაიდან ამ გვარის კაცი ყოფილა შუხუთში(ერთი მოსახლე),რომლის ისტორია არ ვიცი.იმ ჩამოსახლებულ უცხოელს ჰყოლია 4 ვაჟი,ოთხივე გაყოფილი და დაცოლშვილებული.ერთ იმათგანს,სახელათ კაცობას,ყოლია ერთი ვაჟი, სახელათ რეჯებ,რომელიც ჩქარა დაობლებულა და დედის ძმებს წაუყვანია სამეგრელოში გასაზრდელათ.ეს რეჯები იყო ბაბუა ჩემი.

რეჯებ,როცა დაჭაბუკებულა,ბიძებს გამოუგზავნიათ ლანჩხუთში თავის მამულში.აქ კი მის განაყოფებს არ მიუღიათ,სადაც გაიზარდა იქ წავიდესო და იძულებული გამხდარა შეხიზნებოდა შუხუთს,გორის გვერდის ეკლესიასთან,სადაც ყმები ყოლია.შემდეგ იქიდან დაუწყია ბრძოლა ლანჩხუთისათვის.გამხდარა კაცი მეტად ღონიერი,ამაყი,სასტიკი,კერპი და მარჯვე.ყორღანიები შეუშინებია და გამოუთხოვია ნება ლანჩხუთში დასახლების.მისთვის მოუზომავთ ეკლიანი და ნარიანი მინდორი,გაკაფე და დადექიო.მასაც გაუკაფავს და აუშენებია ოდა,პირველი ოდა ლანჩხუთში, ხოლო მეორე გადმოდგმა გურიაში;პირველი ქონებია მაჭუტაძეს.ამ ჩვენი ეზოს ნოგარს მეც მოვსწრებივარ,კიდევ არ იყო ჩემს ბოვშვობას მთლად აღებული.ეს უნდა ყოფილიყო დაახლოვებით 1825-30 წლებში.მაშინ ხომ არ იყო არც მეტრიკა,არც რაიმე ცნობები და მე ეს რიცხვი გამომყავს შემდეგი მოსაზრებიდან:მამაჩემი იყო 1841 წელს 4 - 5 წლის,ის იყო მესამე შვილი.მაშასადამე 1830 წელს ბაბუა იქნებოდა ახალ ცოლშერ-

შერთული,ხოლო ცოლი შეურთავს ოდის აშენების შემდეგ.ლევანსუხუ ყორდანიახაგან გამიგონია,რომ რეჯები იყო მეტათ მკვახე,მტრის უსაშინლესი მტერი,მთელ დანჩხუთს მისი ეშინოდაო.ყორდანიები ყველა ბატონს უძახოდა და ახირებულათ არავის იკარებდაო.ყირიმის ომის დროს რეჯიბი შესულა დრუჟინაში,თავი უსახელებია ომში და მიუღწევია კაპიტნის ჩინამდე.ითვლებოდა საუკეთესო სარდლათ და მეომრათ. მისი ჯარი ყოფილა ომში ჩერქეზეთში,ერთ დიდ შეტაკებაში გაუმარჯვნია და დაბრუნებულა ომის ველიდან თავის ლაშქართან ერთად,მოხვედრია ტყიდან გამოვარდნილი ტყვია და იქვე მოუკლავს.ყორდანიები მუდამ ამბობდნენ ერთ გზის თქმულს:რეჯები მოკლა არა მტრის ტყვიამ,არამედ მოყვრისამ.მაჭუტაძე ემტერებოდა,ჩემს დრუჟინას მისი სჯობსო და რომ თავისი სახელი დაეფარა ამ საშიში კონკურენტისაგან,მოაკვლევიაო.ახეთი მოკვლა მაშინ მიღებული იყო,როგორც საშუალება ანგარიშის გასწორებისა.ყოველ შემთხვევაში რეჯიბი მოიკლა ყირიმის ომის ველზე და მის ქვრივს დაუნიშნეს პენსია 40 მანეთი წლიურათ.იმ დროს ძროხა იყიდებოდა რვა მანეთათ, ხოლო ყველი თორმეტ შაურათ.

ამ სასტიკ რეჯებს ყავდა ცოლი მეტათ ლმობიერი,სათუთი,კაცთმოყვარე,ყოველი კაცის შემწყალე,ერთი სიტყვით ნამდვილი ცენტერაძის მადაზონი.ჩემი ბებია იყო აფაქიძის ქალი,ტანით დაბალი, მწიგნობარი.მზითევში მოყოლია ვეფხისტყაოსანი,ჩინებული ხელით გადაწერილი,მე მინახავს ბოვშვობას,რა მოუვიდა შემდეგ არ ვიცი,უეჭველია დახიეს ბაღნელბმა პატრონის სიკვდილის შემდეგ.ბებიას უსწავლებია წიგნი ყველა მისი შვილებისათვის: უფროსი ვაჟი ბუჭუსათვის,მისი მომდევარი ქალი ფოტინესათვის,მისი მიმდევარი მამაჩემის ნიკოსი და უმცროსი იოსებისათვის.ყველა ამათ შორის წიგნი შეყვარებია ორს:მამაჩემს და მამიდაჩემს,გათხოვილს ჩიბათში, ერაჯი ჭყონიას ცოლათ.

ბებია იდგა ჩემსობას იოსებთან,უნცროს შვილთან,როგორც იმ დროს ჩვეულება ყოფილა.

ერთხელ მისი ფული მართებია გურიანთელ ბოლქვაძეს და გაუგზავნია

მამაჩემი ფულისათვის.ბოლქვაძეს ფული არ ქონებია და ქალიშვილი,10 წლის გოგო მიუცია ვალში.მამაჩემს შემოუჯენია ცხენზე და მოგვარა დედამისს.მას შვილსავით მიუღია,დაბანა,ახალი ხაცვალი ჩააცვა,თავისთან დააწვინა და მეორე დღეს გამოუცხადა მამაჩემს:შენ ჩემი შვილი იყავი მეგონა,ასეთი უღვთო საქმე როგორ დამმართე,ადამიანი მაყიდვიე,შეჯექი ახლავე ცხენზე,შემოიჯინე ეს ბოვშვი და მიგვარე მშობლებს და უთხარი:არც შენი ფული მინდა,არც შენი ბოვშვი და ამიერიდან არ დამენახოვო.იმ დროს ასეთი ყიდვა-გაყიდვა ადამიანის ჩვეულებაში იყო,მაგრამ ბებია ამ ჩვეულებას სასტიკათ ებრძოდაო,- მითხრა მამაჩემმა.ბებია იყო თავადის ქალი,მდიდარი ყმებით,მაგრამ მზითვათ არ წამოუყვანია არც ერთი მონა ყმა,არც ქალი,არც კაცი; ლანჩხუთიდან ხშირად მოდიოდა თურმე შინ და ერეოდა მამის საქმეებ-ში,არ ანებებდა ყმის ოჯახის წევრების ერთიმეორისაგან დაშორებას, ვინმეს გაყიდვას ან გაჩუქებას.მამა მეცყოდა:გამწარებული ვიყავით შინ მისი წესებით:ყმას არ გაუწყრე,არ გალახო,არ დასაჯო,წკიპურტი არ მიაკაროვო.ყმებიც გახუდლიდებული იყვნენ და არაფერს არ აკეთებ-დნენ,საყოფი სიმინდიც კი არ მოყავდათო.

როცა ბებია მოკვდა,დიდი ქელეხი გაიმართა,აუარებელი ხალხი მო-ვიდა,რამდენიმე ძროხა დაიკლა.მე მიხაროდა,რომ ბევრი თეთრი პური ეწყო და რამდენიც მინდოდა ვჭამდი.ვიქნებოდი 5 წლის.

რეჯების შვილებში მას გავდა უფროსი ვაყი ბუჭუ,რომელიც მე არ მომსწრებია,მაგრამ მისი ამბები და ხასიათი გამიგონია.გავდა აგ-რეთვე უმცროსი იოსები,მოკვდა დიდი ხანი არ არის;ხოლო ბებიას გავ-და მამაჩემი და მამიდაჩემი:ორივე ერთნაირათ იყვნენ მწიგნობარი და გულმოწყალე.

მამაჩემი მოკვდა 1907 წლის დეკემბერში,იქნებოდა დაახლოებით 72 წლის.მოკვდა წვეთის დაცემით.უეჭველია იყო არეთრიციკი,თუმცა რევმატიზმი არ სჭირებია და არც ოდესმე ავათ ყოფილა.მისი ხსოვა-ნება მე გამოყვანილი მაქვს მისი შემდეგი ნაამბობიდან:1841 წელს გურია აჯანყდა,რუსს გამოუცხადა გურიიდან გასვლა.ხალხი"ოლქათ"

დადიოდა და აზნაურებს და თავადებს აფიცებდა "პუნტის"ერთგულებაზე.
მოვიდა ჩვენსას ზღვა ხალხი,მამაჩემი შინ არ იყო,არც ბუჭუ.მაშინ
ხალხმა მოითხოვა მეორე ვაჟის დაფიცება მამობის მაგიერ,ქალის
ფიცს არ ღებულობდნენ.მე მინდორში ვთამაშობდი ბაღნებთან,დამიძახა
დედამ,ამიყვანა ხელში,შემიჯინა მხარზე,ცალი ხელი ამაწევია მაღლა
და მათქმია:ვფიცავ,ბაბაი პუნტის ერთგული იყოს...ვიქნებოდი 5-6
წლის,ყველა ეს მახსოვს ნათლათ.ბევრი ხალხი იყო და მე შუაგულში
ვიყავი,ყველაზე მაღლა.მახსოვს კიდევ იმიტომ,რომ მამაჩემი დაბრუ-
ნებისას გამიწყრა,გალახვა უნდოდა და დედამ მიპატივა.ვინც არ დაი-
ფიცავდა,ხალხი სახლს უნგრევდა.ამ მიზნით ოლქს ახლდა უსტებზი ხელ-
საწყოთი.

მამაჩემი იყო სოფლის მწიგნობარი,სწერდა არზებს,გამოდიოდა მომ-
რიგებელ სასამართლოში ვექილათ,სანამ ქართული ენა არ მოსპეს.ხშირათ
იყო მედიატორეთ,კიდევ უფრო ხშირათ მედიატორების თავმჯდომარეთ,ით-
ვლებოდა მართალ კაცათ და არც ერთი სააყალმაყალო საოჯახო დავა არ
წყდებოდა მის ჩაურევლათ და მის მიერ მოურიგებლათ.ჩემთან თავიდან-
ვე ქონდა დამოკიდებულება მეგობრული,რასაც ვაკეთებდი - ბევრი არ
ესმოდა,მაგრამ ყოველთვის მოსწონდა,დარწმუნებული იყო,რომ გლახას
არას გავაკეთებდი;არასოდეს არც ერთი საყვედური,არც ერთი დარტყმა
ბავშვობისას მისგან არ შემხვედრია.მას,როგორც ღარიბ აზნაურს,ხში-
რათ მივყავდი ტყეში და ყანაში სამუშაოთ,თოხი არასოდეს არ მოუცია
ხელში,მაგრამ დახვნისას ხარებს მე ვუძღვებოდი,ურემს მე გამომა-
ყოლებდა.ერთხელ ურემი გადამიბრუნდა და მას შემდეგ აღარ მანდობდა
ურემს და ხარებს.მას ეცოდებოდა ადამიანი,არ იცოდა არავისი გინე-
ბა,ცუდათ მოხსენიება,ერიდებოდა სხვისი უბედურებაში გარევას და
ხშირათ მეტყოდა:არ დაივიწყო შვილო ერთი - არასოდეს სხვის ღალატში
არ გაერიოვო.თან მომიყვანდა მაგალითებს,ვინც კი ასეთი საქმე ჩაი-
დინა - ყველამ გლახათ გაათავაო.ძალიან შემაწუხა ივანე ყორდანიას
მოკვლამ;მამაჩემმა მანუგეშა - რომ გითხარი ბევრჯერ მოღალატე გლა-
ხათ ათავებსო;მე გამიკვირდა,-მან განმარტა:ივანე გაერია სხვის ღა-
ლატში.ერთი საწყალი კაცი - კორფილე ჭყონია პოლიციას უმალებოდა,

არაფერი დანაშაული არ მიუძღოდა,მაგრამ დანიშვნის მიზეზით აითვალწუნეს,აზრალებდენ ცხენის ქურდობას,მივიდენ მისას დასაჭერათ,ის გაიქცა:შინ ხშირათ მოდიოდა,ყანაში მუშაობდა და ცოლ-შვილს არჩენდა ეს დასაჭირავი კაცი.ხალხი და პოლიცია მიეჩვია ამ ამბავს.საწყალმა ივანემ ადგილობრივი ბოქაული დაასხმინა მაზრის უფროსთან,-ყაჩაღს ინახავსო.მოვიდენ პოლიციელები,დაეცენ ჭყონიას ღამით და მოკლეს.აი,ეს აღარ შერჩა ივანეს და ისიც მის გზას გაუდგაო.შინაურობაში იყო მეტათ რბილი,არასოდეს არ გამიგონია მისი ამაღლებული ხმა;ცოლთან ქონდა მუდამ კარგი დამოკიდებულება,არ იყო გულფიცხი.მისი ტემპერამენტი გრილი,მუდამ ერთი ზომის;მუდამ თავისი თავი ხელში ეჭირა.გულის თქმას არ აყვებოდა.გულმოწყალე კაცი გრძნობიარეცაა,ის დიდი გრძნობიარე იყ მაგრამ არ აჩვენებდა,თავის თავში ინახავდა.გული და თავი ქონდა ერთ ხაზზე,ერთი მთლიანი,მათ შორის დავა არ შეიძლებოდა ყოფილიყო.რასაც ფიქრობდა იმას გრძნობდა და პირიქით.ამავე დროს იყო დაუღალავი,უქმათ ვერ გააჩერებდი,სულ რაღაცას აკეთებდა,ან და კითხულობდა.უყვარდ კარგი ლექსები,ახალგაზრდობაში თვითონ ლექსებს წერდა და ხშირათ ისუმრებდა:ცელაშენი ჩემმა ლექსებმა მოინადირაო.მე ჩვეულებრივათ მასთან ვწვებოდი და ხშირათ ლექსებს მაზეპირებდა.ამათ შორის ბოლომდე შემრჩა ორი ლექსი:სამგვარი ისყვარული აკაკის და რუსთაველის "წერილი საყვარელთან მიწერილი".მაშინ ვიქნებოდი 7 წლის,რასაკვირველია ავტორები არ ვიცოდი,მაგრამ მახსოვს ამ ორ ლექსს საგანგებოთ მაზეპირებდა.ხშირათ მეტყოდა:აბა მითხარი-მეგრელმა რა თქვა სიყვარულზე, სხაპასხუპით ჩავუბულბულებდი და დაატანდა,შეარცხვინა ღმერთმაო!აბა გურულმა - ამასაც ვეტყოდი და დაიძახებდა,ლოჩაღ გურულო,კაცი ამფერი უნდაო!უყვარდა როცა მე ვეტყოდი წერილს საყვარელთან მიწერილს,ხშირათ ცრემლები მოადგებოდა თვალებზე.მან ვეფხისტყაოსანი თავიდან ბოლომდე იცოდა ზეპირათ,საკმარისი იყო ერთი სტრიქონი გეთქვა,რომ შემდეგ მას ის გაეგრძელებია.ერთხელ მახსოვს ჩვენსას მოვიდა ვიღაც მგელაძე,განთქმული მოთაყვანე რუსთაველისა.მამაჩემი და ის შეიჯიბრნენ და დიდხანს კამათობდნენ,ვინ გაიმარჯვა არ ვიცი,მხოლოდ მახსოვს მა-

მამ ჩაილაპარაკა:ღოჩაღ,ამასაც ქე სცოდნიათ.

მამა მუდამ გართული იყო პრაქტიკულ საქმეებით,ეს იყო საადგილ-მამულო დავა ხაზინასთან.ის იყო მუდამ ვექილი ყორღანიების,-არ ერიდებოდა მთავრობის წარმომადგენელთ.ერთხელ გუბერნატორმა არ მიიღო,კარები ძალათ შეამტვრია და შევიდა კაბინეტში,სწორედ დაკეტილი კარებიდან,ვინაიდან დაუკეტელთან დარაჯი ედგა და არ უშვებდა.იყო მეტათ გაბედული,წინდახედული და თავისი მიზნისაკენ დაუხევლათ მიმავალი. პატარა საქმეებში იყო დამთმობი,ჩინებული სამეზობლო და მომხმარე, მაგრამ დიდ საქმეებში პირდაპირი,გადაუხვეველი და უდრეკი.ვერავითარი დამარცხება ვერ მოსტეხდა.1888 წელს ლანჩხუთის გლეხობა აჯანყდა ყორღანიების წინააღმდეგ,აზრადებდნენ ხალხის მამულების თავის საკუთრებათ ჩაწერას.ხალხი შეიყარა,ზარის რეკვა გაისმა(ზაფხული იყო,შინ ვიყავი),ყორღანიები დაიმალნენ,ვერავინ ვერ მიბედა ყრილობასთან,ითხოვდნენ კი პასუხს.მამაჩემი წავიდა,წაყვა კოსტა ყორღანია,მეც შემეშინდა;მომიბრუნდა და მითხრა - შენ არ გამოექანო ეზოდან,ხალხმა ხშირათ იცის ისეთი აფეთქება,რომ ცოფიანზე უარესია,იმ დროს შვილს კი არა,ძაღლიც რომ ნახოს მისი მოწინააღმდეგის,იმას მოკლავსო.წავიდა, ვუყურებდი მორიდან,გაარღვია ხალხი,ავიდა კანცელარიის ბალკონზე(კანცელარია იყო იმ დროს იქ,სადაც დღეს სამოქალაქო სასწავლებელია)და დაიწყო ლაპარაკი.ერთხანს არ ანებებდნენ,ისმოდა ყვირილი,შემდეგ ჩავარდა სიჩუმე,გაათავა ლაპარაკი და დაჯდა.ხალხი აირ-დაირია,შეიქნა ძველებური მუსაიფი,მორიდებული ლაპარაკი,მოჩხუბართა ყრილობა გახდა ჩვეულებრივ ყრილობათ.ყრილობა დაიშალა,მამა დაბრუნდა,არაფერი არ თქვა გარდა ერთისა:უნდა იცოდე,როგორ უნდა მიუდგე ხალხს,-როგორ მიუდგა არ ვიცი,მისი სიტყვა არ გამიგონია.

მამაჩემი იყო გულფიცხი,გული მოუვიდოდა უცებ,მაგრამ მაშინვე გაშორდებოდა იმათ,ვისზედაც გული მოსდიოდა.არასოდეს შინ გულმოსული არ მინახავს,ხოლო ყორღანიებში და მათ საგვარეულო ყრილობაზე კი ხშირათ, ამ მუტრუკებს ვერაფერი შევასმინეო,-იტყოდა ხოლმე.

ის იყო სოფლის საზოგადო მოღვაწე.როცა სოფელს რამე საქმე ქონდა

გასაკეთებელი – მას ანდობდნენ.მაგალითად,ეკლესიის აშენება მიანდვეს მას,გიტო ცინცაძეს და მესამეს,გვარი აღარ მახსოვს.მათ მისცეს"პრივოვორი",გადაახდიონ ხალხს რამდენსაც საჭიროთ დაინახავენ ოღონდ ეკლესია აშენდეს.შემდეგ მამაჩემი იტყოდა – რა ღვლეჭი მოიჭირეს კისერზე,რომ მოვინდომოთ,ხომ დავახრჩობთო.ეკლესია მართლაც მათ ააშენეს და არც დიდი ფული დამჯდარა,რადგან ქვა ხალხს მოქონდა მუხუთიდან თავისი ხარ-ურემით.მეორე დიდი საქმე,რაც მამას მიანდვეს,იყო ლანჩხუთში რკინისგზის სადგურის აშენება,ვინაიდან გზის პლანში სადგური იყო გადაწყვეტილი ნიგოითში და სუფსაში.ამაზე ბევრი იარა მან ქუთაისში და თბილისში და როგორც იყო მიზანს მიაღწია.ეს დაუჯდა ხალხს სადგურის ქვის მასალის მუქთათ მიცემა და რამდენიმე ათასის ფულის გადახდა(რამდენის არ მახსოვს)გზის კომპანიის სასარგებლოთ.შემდეგ ხმა გამოვიდა,ინჟინრებმა მოატყუეს ლანჩხუთელები,თვარა სადგურს მაინც აშენებდენო.

მამა იყო რელიგიური,არ სწამდა სუცები და ეკლესიაში ლოცვა.ის ყოველ დღეს ლოცულობდა შედამებისას ბალკონზე,ხან ეზოში ხის ძირში აღმოსავლეთისაკენ შებრუნებული.სიცოცხლე მიაჩნდა მოვალეობის ასრულებათ,სიკვდილი ბუნებრივ მოვლენათ,რის სრულიად არ ეშინოდა,მხოლოდ იტყოდა:არ მინდა დიდი ხნის ავადმყოფობით მოვკვდე,ვნატრულობ სიკვდილს ან უეცარს ან რამდენიმე დღით ავადყოფნით.საკვირველია,ეს მისი სურვილი როგორ ასრულდა:მოკვდა წვეთით,ერთ კვირაში ორჯერ დაეცა.დედამ მითხრა,ერთ ღამეს ამდგარიყო,როცა გარეთ გავედი სტოლიდან აელო დანა და სასთუმალს ქვეშ შეენახა,უცებ შემოვბრუნდი,შევატყვე ამდგარიყო,დავხედე სტოლზე,დანა არ იყო.გულზე მრენჩხა,დავჯექი და სანამ არ დაიძინა თვალი არ დამილევია,როგორც დაეძინა დავუწყე ძებნა დანას და მუთაქის ქვეშ ვნახეო.რათ უნდოდა დანა! ვკითხე:მას ხშირათ უთქვამს წინეთ,–ავადმყოფობა თუ გამიგრძელდა,თავს მოვიკლავო;იცოდა,რომ სასიკვდილო იყო მისი მდგომარეობა და სწუხდა,რომ კვდებოდა – დანით ფიქრობდა უკანასკნელი სასიცოცხლო ძარღვის გადაჭრასო.როგორ,სად დაიცემდა დანას,–ისევ შევეკითხე: ალბათ მაჯაზე,მისგან გამიგონია,რომ მაჯის ძარღვის გადაჭრა იძლევ"

მსუბუქ სიკვდილსო.

ძველი ენით რომ ვთქვათ,მამაჩემი იყო სტოიკი,ეპიკურის არაფერი არ ახლდა.შესახედავათ იყო ლამაზი,შუატანის კაცი:ჩემზე ცოტა დაბალი.

დედაჩემი ქრისტინე,ბებიასავით მეგრელის ქალი,გვარად ჩიქოვანი, საჭყოინდლოს აზნაური,ოჯახის მოყვარული,შვილებზე გადამკვდარი,მუდამ შრომაში და ჯაფაში მყოფი.იყო მეტად სუსტი,რაც მახსოვს დღეში ორჯერ მაინც გული წაუვიდოდა.მიყვარდა უზომოდ და მუდამ შიშში ვიყავი – ესაა მოკვდება,ესაა მოკვდება-თქო.საკვირველი ამბავია,ის სულ ავად,სულ კვდებოდა,ხოლო მამა,მუდამ მდევივით საღი,არასოდეს ავად არ ყოფილა.მამა მოკვდა ადრე,დედა ოცი წლის შემდეგ.მამამ მიაღწია 72-ტ,დედამ 84 წლამდე.

დედა და მამა ორივე ერთნაირად ეჭირვება ბოვშს.დედის ალერსი ოჯახს მაყვარებდა,მამის სიდინჯე და გონიერი მოპყრობა – სწავლას. როცა ლანჩხუთის შკოლიდან გამომაგდეს აზნაურობის გამო,დედას უხაროდა,-სწავლა მოკლავს ბაღანას,შინ იყოსო.ხოლო როცა ოზურგეთში მოვინდომე წასვლა იქ შკოლაში შესასვლელად – უფრო ახლო არ იყო –დედამ ქვეყანა დააქცია:ერთი შვილი მყავს და ამის სიშორეზე როგორ მოვითმინებო.დიდი მოლაპარაკება და დიპლომატია იყო საჭირო მამაჩემისა და მოძღვარ ფილიპე ბარამიძის მხრივ,რომ დედა შერიგებოდა ჩემს წასვლას.შემდეგ ამავე მიზეზით თფილისში არ მიშვებდა,შემდეგ ვარშავაში,ხოლო საზღვარგარეთ რომ გაიგონა,-მამაჩემი სახლიდან გააგდო,-შენი სიამდღე კაცი არ მინახავსო.საჭირო იყო ეგნატე ნინოშვილის ჩამორევა,შორეული დიპლომატია,ათასნაირი ფანტასტიური დაპირებები და პერსპექტივები,რომ დედა დათანხმებულიყო,–ევროპაში წავსულიყავი.ტირილ-ტირილით გამაცილა ბათუმამდე,ეგნატესთან ერთად და როცა აძრული გემიდან გავხედე ნაპირს და დავინახე დედა ცხარე ცრემლით მტირალი,–გული მომიკვდა,მაშინ ღრმად ვიგრძენი სამშობლოს დატოვება.

დედამ წერა-კითხვა არ იცოდა,წერილებს სხვას უკარნახებდა;მაშინვე შევატყობდი მის სიტყვებს,მის სტილს.მისი სტილი- ეს რაღაც

განსაკუთრებით მხიბლავდა ბოვშობიდანვე.მოჭრილი,ოპერაციული,გა-ლაჭრილი,უყოყმანო,გაბედული მისი სიცყვა გულში მწვდებოდა.როცა "კვალში"მუშაობის დროს ქართული დამეღეოდა,წამოვიდოდი შინ,დე-დასთან,ერთი კვირის შემდეგ ისევ ვბრუნდებოდი სცილის და ენის განახლებით და გამდიდრებით.დედაჩემიდან მოდის ჩემი ქართული,ჩე-მი სცილი,თუმცა მისას ვერასოდეს ვერ შევედრები.საკვირველი ის იყო,რომ ის იყო მეგრელი და სად,როგორ ისწავლა ასე კარგათ ქარ-თული,უწიგნოთ,საოცარია.მეგრულათ ლაპარაკი არ უყვარდა.მისი მეგ-რული მე თითქმის არც კი გამიგონია,თუმცა ჩვენსას ხშირათ მოდიო-დნენ მეგრელები:ბიძები,ბიძაშვილები და სხვა.ყველას ქართულათ ელაპარაკებოდა.

დედაჩემი გათხოვდა 15 წლის.მამა იყო იმ დროს 27 წლის.ის ად-რე დარჩა უდედოთ და მამა ზრიდა.გათხოვების შემდეგ,მამას სურდა შინ მოყვანა,მაგრამ მანუჩარ ჩიქოვანი,ჩემი ბაბუა,გაჯიუცდა თურ-მე,მარცო როგორ დავრჩებიო და არ დაანება ქმრის სახლში წასვლა. გავიდა ორი წელი,შეიქნა მოციქულობა.ბიძაჩემი იოსები მეცყოდა: ბოლოს გადავწყვიცეთ მისი გულის მოლბობა დიდი ძღვენით.წავედით, წავიყვანეთ ორი ძროხა,ცხვრები,საჭაპურები,-ერთი ურემი სავსე ძღვენით.ეზოში ჩავგვიშვა,ძღვენი დაიცოვა,ხოლო ჩვენ ყველა გამო-გვდენა,სახლში არ მიგვიღოვო.ბოლოს გადაწყდა ქალის მოცაცება.მა-მამ დაითანხმა ჩუმათ გამოპარვაზე და ერთ მშვენიერ ღამეს გამოა-პარეს.როცა მანუჩარმა გაიღვიძა და მეგრელები დაადევნა,ისინი უკვე რიონს გაღმა იყვნენ.საწყალ მანუჩარს ამის შემდეგ დიდ ხანს არ უცხოვრია.დედა ყოფილა ზედმიწევნით ლამაზი და ცანადი,აუარებე-ლი სალხი მოდიოდა მის სანახავათ,გზაზე ხვდებოდენ შესახედავათ. ერთი სიცყვით,ერთი სიცყვით,გურიაში გახდა განთქმული:ამის შემ-დეგ გახშირდა მეგრელი ქალის თხოვაო,-ამბობდენ სახლი კაცები.

დედას გული მოსდიოდა ადვილათ,ხშირათ შემომარცყამდა.მისი ხე-ლი არასოდეს არ მეცკინებოდა.ქონდა ბრძოლის ცემპერამენცი;მამა არ იყო ჯაბანი,მაგრამ მასაც წინ უსწრებდა და აქეზებდა.ქონდა მცკიცე საოჯახო შეხედულებები:მისი ქცევა,სიცყვა-პასუხი,დამოკი-

ღებულება სტუმართან და მოყვარეებთან,მეზობლობა,ოჯახის მოვლა - ყვე-ლაფერი გაზომილი,-მუდამ ერთი და იმავე ხაზით წარმოებდა.მამა შინ-აურ საქმეებში არ ერეოდა,მისი საქმე იყო საგარეო,პირველ ყოვლისა საკმაო სიმინდის და ჩალის მოწევა.მისაჭმელი კი დედაჩემის სფეროში შედიოდა.ქათამი და კვერცხი მუდამ ბლომად ყავდა,ბაღჩა კი ყოველთვის კარგი გვქონდა:ბაღჩაში მუშაობა სიამოვნებას გვრიდა მამას.ფული იყო იშვიათი,თუ თვეში ერთხელ პურს ვიყიდდით და სახარჩოვე ხორცს - ეს დიდი დღესასწაული იყო ჩვენთვის.სიმინდი იშვიათად მოგვდიოდა საყო-ფი,მიგვყვებოდა ივანობისთვემდე,შემდეგ უნდა სესხით გვეცხოვრა. მხოლოდ მას შემდეგ,რაც "დიდი ტყე"გაიკაფა და მეგრელები გამოვიდნენ მის დასამუშავებლად,(მე-90 წლებიდან)სიმინდი გასაყიდადაც გვრჩებო-და.საზღვარგარეთ მე წაველი იმ ფულით (80 მ.),რაც მამამ აიღო სი-მინდის გაყიდვით.ბათომში შემიკრიბეს და დამიმატეს.

დედა ჩემი იტყოდა - ერთი შვილი მყავსო.მეორეს,ჩემს დას გულჩი-ნოს არ თვლიდა.ქალიშვილი სხვისი ნაცარიაო - იტყოდა.ჩემი დაბადების დღეს(2 იანვარს,ძვ.სტ.) ყოველ წელს დიდი ზეიმით დღესასწაულობდენ, ხოლო ჩემი დისას - არასოდეს.ბიჭია ოჯახის ბურჯი - ეს აზრი ბატონო-ბდა ურყევათ.

დედა იყო ამპარტავანი,უყვარდა პატივისცემა და თაყვანისცემა,ამ-აყობდა შვილით,ოჯახით,ბევრი ქათმებით,ბაღჩით,ეზოთი,ხილით - ყველა-ფრით,რაც მას ქონდა და მეზობლებს არ ქონდა.არც ერთი ეს თვისება მა-მაჩემს არ ქონდა,ის იყო მეტათ თავდაბალი,გამგონე,უბრალო.არასოდეს არაფრით თავს არ მოიწონებდა სხვების წინაშე; გულში თავისთვის ალ-ბათ ქონდა ამის საბუთი,მაგრამ არასოდეს არ გამოაჩვენებდა.დედა თავის მოწონებას თუ დაწუნებას მაშინვე მეტყოდა,მამა არასოდეს,- ის მიყურებდა,ხელს არ მიშლიდა და რაც შეიძლება მეხმარებოდა უკ-რიტიკოთ,უსაყვედუროთ,უქებლათ.

დედა იყო კარგი მეცხენოსნე,უყვარდა სელდო და ცხენი,იჯდა ზედ რაინდივით,თავაწეული და გაბედული.ის მუდამ ატარებდა თავის გვარს, არასოდეს ყორდანიას.მისათ თვლიდა თავის ძმის სახლს.შინ მივდივარ-

ეს ნიშნავდა რომ მიდის ძმისას.ჩემს საყვედურზე ერთხელ მიპასუხა; აქანაი შენი შინაა შვილო;ყველას შინა იქ არის,სადაც დაიბადა და გაიზარდა.საზოგადოთ ქართველი ქალი არ კარგავს თავის გვარს და არ მიაჩნია ქმრის გვარი თავის გვარათ,მაშინ როდესაც აქ,საფრან-გეთში,ქალი კარგავს არა თუ გვარს,სახელსაც.

რომელ წელში დავიბადე,დედა,-შევეკითხებოდი მას.მიპასუხებდა ყოველთვის ერთს და იმავეს:წელიწადი მე რა ვიცი,შენი დაბადება და შინა ყმების თავიანთ სახლში დაბრუნება მოხდა ერთ და იმავე დროს.იმათ დაგვტოვეს 31 დეკემბერს,შენ დაიბადე 2 იანვარს.ახლა გამოითვალე რომელ წელში ყოფილა.

მერე რა ქენით,უცებ მარტო რომ დარჩით?

ერთ ყმას,გვარათ ორაგველიძეს,შევეცოდე,-ქალბატონი საცაა და-ლოგინდება და მარტო როგორ დაიტოვებათ და დარჩა ჩემთან კიდევ ერთ თვეს;გარდა ამისა მყავდა ორი გოგო,მზითვად მოყვანილი და არც წასა-ვალი ქონდათ სადმე.ეს გოგოები მეც მახსოვს,დედას ერქვა ვარდისა-ხარ,ქალიშვილს - ელისაბედ;ამ უკანასკნელმა გააკეთა ბუში და მე მოუნათლე,ვიქნებოდი 7 წლის.დედა მოკვდა,ელისაბედ კი წაიყვანეს საჩინოში და იქ დარჩა შვილით სამუდამოთ.

დედა იტყოდა ხშირათ:ქალიშვილი დედ-მამის არ არის,რაც მე ვქე-ნი,იმას შვრება სხვაიც;რა კარგი ვქენი?-მამა მოვატყუე და აქ გა-მოვიქეცით.ეს მისი ქცევა არ ავიწყდებოდა და აწუხებდა მუდამ.

დედა,როგორც ვთქვი,მუდამ ავადმყოფობდა,მუდამ სუსტი და ღონე-მიხდილი.მისი ავადმყოფობა იყო მისი სისუსტე,სხვა რამე სენი არ ჭირდა,არასოდეს ავათ არ გამხდარა გაცივებით,გადამდები სენით თუ სხვა.ჩემს დას,როცა ყვავილი სჭირდა და კინაღამ გადაყვა,დედა უვ-ლიდა;მე გახიზნული ვიყავი,მამა მეზობლისას ცხოვრობდა;დედას ყვა-ვილი არ დამართია.ყოველთვის,როცა სადმე წავიდოდი,შიშში ვიყავი,-ვაი თუ დედა აღარ დამხვდეს ცოცხალი თქვა,მუდამ მეცოდებოდა და მასზე ვფიქრობდი.მოულოდნელათ ის გამოკეთდა და გაჯანსაღდა უკანა-სკნელ ოც წელიწადს,სისუსტემაც გაუარა და გულის წასვლამაც.ყველა ორგანოები მას და მამაჩემს ქონდათ საღი,არასოდეს არ ტკივებიათ

არც კუჭი,არც ფილტვი,არც ერთი სხვა.ორივე მარხულობდა ქრისტიანო-ბის წესით,კვირაში ორ დღეს და ყველა სხვა დაწესებულ მარხვებს. ამას დედამ მიაყოლა ორშაბათი;ამის მიზეზი ვიყავი მე.სადღაც,მგო-ნი ვარშავაში,დედას დაუდვია აღთქმა:ორშაბათობით ხორცი არ ვჭამო, ოღონდ ნოე მშვიდობით დამიბრუნდესო.მას შემდეგ არა ერთხელ დავბრუ-ნდი,მარა ორშაბათობით მარხულობას განაგრძობდა სიკვდილამდე,ჩემს წასვლა-დაბრუნებას არ მიეცა დასასრული.დედა ლოცულობდა ყოველ სა-ღამოს გულში ხელის ცემით და ხმამაღლა.ლოცვის საგანი ვიყავი მუდამ მე,არავის სხვის სახელს არ გაურევდა.საწყალი დედა,მუდამ შიშში იყო ჩემთვის,მუდამ ჩემზე ფიქრობდა,ხომ არაფერი უჭირს,ავათ ხომ არ არის, საჭმელი თუ აქვს და სხვა და სხვა.საფიქრებელი არ დაელეოდა,თბილის-ში მუდამ მიგზავნიდა სანოვაგეს.ერთხელ,ჩემი მინისტრობის დროს,ამო-ვიდა კალათებით დატვირთული და მეუბნება:ბიჭო,მინისტრი ხარო,ამბობ-ენ და მე არ მჯერა,ჩემი სარჩენი მინისტრი რავა შეიძლება იყოსო.

დედას და მამას ქონდათ ერთი საერთო თვისება:ვერასოდეს უქმათ ვერ გაჩერდებოდნენ,სულ მუდამ რაღაც უნდა ეკეთებინათ,საქმე არასო-დეს არ დაელეოდათ.მამას სტუმრები ჩქარა მოსწყინდებოდა,მიატოვებ-და და ბაღჩაში ან ბაღში წავიდოდა სამუშაოთ,ან სხვა რამე საქმეს მოკიდებდა ხელს.დედას სტუმრობა უყვარდა,უყვარდა მათთან ბაასი, გამასპინძლება,სასტიკათ იცავდა ზრდილობის წესებს.არასოდეს არ მიატოვებდა სტუმარს,მაგრამ როგორც კი ის წავიდოდა,დატრიალდე-ბოდა,თავის საქმეს გაორკეცებული ენერგიით შეუდგებოდა,და თან ამბობდა,როგორ გამაცდინა ამ მამაცხონებულმაო.დგებოდა ყოველ დილას ქათმის ჩამოფრენამდე,ნასადილევს მიწობოდა ნახევარ საათს, მთელ დანარჩენ დროს ღამის 9-10 საათამდე ფეხზე იყო და ფოჩისობ-და.უყვარდა გვიან დაწოლა,ბოვშვებს ზღაპრებს ალაპარაკებდა ბუხა-რთან.

როგორც ბოლოს გამოირკვა მისი მუდმივი სისუსტე და ავადმყოფო-ბა იყო ნერვების ბრალი.ყველა ორგანო ქონდა საღი სიკვდილამდე.

მამაჩემს არ უყვარდა მუსაიფი და ლაპარაკი,რაიცა არ იყო შე-ერთებული მოქმედებასთან,საქმის გაკეთებასთან.საღამოობით მოდი-

ოდენ მისი სახლიკაცეში სალაპარაკოთ, დროს გასატარებლათ. მამა ერთხანს ყურს უგდებდა და შემდეგ ჩამოეყვინთებოდა. რა არის ნიკო, ჩვენ შენ გემუსაიფებით და შენ კი გძინავს, -ეტყოდენ მას. მესმის, მესმის განაგრძეთ, -უპასუხებდა, ისინიც განაგრძობდენ; ბოლოს, როცა წავიდოდენ, იტყოდა: რა ეშველება ამდენ უსაქმო ხალხსო! და მაშინვე დაწვებოდა. დილას ადგებოდა ადრე, ხშირათ დედას დაასწრებდა. არასოდეს არ მინახავს დედა და მამა მარტოთ ერთ ოთახში მწოლარე; მათი ცოლქმრული დამოკიდებულება როგორ ხდებოდა - არავინ იცოდა. არასოდეს ამის არავითარი გარეგანი ნიშანი არ მოუციათ. დედა მის სახელს არასოდეს არ იტყოდა, უძახოდა: ბოშო, ხოლო როცა სხვას ელაპარაკებოდა მასზე - იტყოდა: შენი ძმა, ჩვენ შვილებს გვეტყოდა - მამაშენი, ხოლო ნიკო არასოდეს არ წამოცდებოდა. ასევე მამაც. არასოდეს ცოლის სახელს არ იტყოდა. აი, დაახლოებით ჩემი მშობლების და წინაპრების ხასიათი და ინდივიდუალური თვისებები.

ჩემი ცოლის მშობლებს საკმარისათ არ ვიცნობდი, რომ შემეძლოს სწორი დახასიათება. ვიცი მხოლოდ ერთი: ჩემი სიმამრი, ღვდელი ივანე კორენევი, იყო მშრომელი, ღვთისმოსავი, დისციპლინის და წესიერი ცხოვრების, დინჯი, მეოჯახე, შვილების მოყვარული და მათთვის მომუშავე. არ სვამდა, იყო 30 წელს დიეტაზე და სატიკათ ასრულებდა, მოკვდა ღრმათ მოხუცებული. სიდედრს უყვარდა სიარული, მოგზაურობა, მან.. ხშირათ არ იყო, ოჯახზე არ ქონდა გული დადობილი, უყვარდა ვოდკის გადაკვრა, მოლაპარაკე იყო მუდამ უკმაყოფილო ქმრის, მიაჩნდა ის მეტად სასტიკათ. არ იყვნენ მოწყობილნი. მოკვდა ისიც ღრმათ მოხუცებული. ჩემი ცოლის დები ყველა კარგები იყვნენ, ნიჭიერნი და საქმიანნი, ძმები კი პირიქით - უსაქმონი, უნიჭონი, "ნეუდაჩნიკები", ვერც ერთმა ვერ ისწავლა.

მაშასადამე ჩემი შვილები და შვილიშვილები ამ მათ წინაპართა მემკვიდრეობის ტყვეა. მათი თვისებები, ზნე-ხასიათი, ინდივიდუალობა ამ საერთო კალაპოტიდან ვერ ამოვარდება და სხვა ადამიანთა კალაპოტში ვერ მოექცევა. როგორც მე ვარ დაჭერილი ჩემი წინაპრებით, ისე ისინია დაჭერილი თავისიანებით. ისინი დაბმული არიან ამ წასულით,

საბელით ერთობ გრძელით, რათ მათ ანებებს მიხვევ-მოხვევას, შორეულ გზებზე გადასვლას, მაგრამ არა შორს წასვლას, რომ საბელს მოწყდეს და სადმე უცნობ და უცხო ნიადაგზე გადავარდეს. ის ცრიალებს თავის ცენტრის გარშემო და მას ვერ მოწყდება. შეიძლება ის მოწყდეს თავის წინაპართა კულტურას, მათ ენას და ზნე-ჩვეულებას, მათ სამშობლოს და კერას, მაგრამ ვერ მოწყდება მათ ბიოლოგიას, მათ ზოოლოგიას, მათ სისხლს და ხორცს, მათ ბუნებას. აი ეს ძირითადია, საფუძველია, რის მოშლა ადამიანის ხელთ არ არის: მსხლის ხე ვაშლს ვერ გამოიბამს, სადაც უნდა დარგო ის.

წინაპართა ასეთ ბატონობამ ზოგ ხალხში მიიღო რელიგიური კულტის მნიშვნელობა, მაგ. ჩინეთში, იაპონიაში, ზოგან სასაფლაოთა პატივისცემა, როგორც მაგ. ევროპაში; ჩვენში კი წინაპრებს პატივისცემა არ აქვს და ეს იხატება საფლავის უპატივცემულობაში, კვდრის დავიწყებაში. ეს პირველი ნიშანია უკულტურობის, წარსულის უყურადღებობის, უისტორიობის. ჩვენ ყოველთვის ყველაფერს ვიწყებთ თავიდან, იმის მაგიერ რომ სხვების დაწყებული გავაგრძელოთ, არ გვინდა ვიყოთ მხოლოდ რგოლი, გვინდა ვიყოთ მთელი ჯაჭვი.

ამ საგზალით დატვირთული შედის ცხოვრებაში ყმაწვილი დავაჟკაცებული, ქალიშვილი დაქალებული და სრულწლოვანთ გამხდარი. საგზალია შკოლიდან მიღებული ცოდნა და წინაპართაგან მიღებული ჭკუა, ნებისყოფა და ხასიათი. პირველით ის ემსგავსება მრავალ თავის ტოლ-ამხანაგებს, მეორეთი კი განცალკევებული ინდივიდია, გამოკვეთილი პიროვნებაა. შედის ცხოვრებაში და ცხოვრების კი არა იცის რა. ზოგს ეს ცხოვრება შემოადგება კოჭამდე, ზოგს წელამდე, ზოგს კისრამდე, ზოგს თავზე გადაუარს და დაახრჩობს. ეს მუდმივი წყალდიდობაა, რომლის გადალახვა, გავლა და გაცურვა ყველასათვის აუცილებელია.

ახალგაზრდა ამას ვერ ხედავს, ის მიდის, მაგრამ არ იცის სად და როგორ მიდის; უდარდელობა, ცის ქუდათ დახახვა და დედამიწის ქალამნათ მისი თვისებაა. უსაჭიროესი მეცნიერება, რაც მან არ იცის, არ უსწავლია, არის ადამიანის ცნობა და მასთან სწორი დამოკიდებულების და-

ჭერა.ხოლო ადამიანი ორი სქესისაა,რომელთაც უერთმანეთოთ ცხოვრება არ შეუძლიათ.ეს არის ბუნების ძირითადი კანონი,რომელიც ბატონობს ადამიანზე მთელ მის სიცოცხლეში,დაწყებული ოცი წლის ასაკიდან და გათავებული მოხუცებულობით,ყოველ შემთხვევაში 40-50 წლის განმავლობაში.

გავრცელებული წარმოდგენაა,რომ ორი სქესის ურთიერთშორისი დამოკიდებულება გაჩენილია მათი სიამოვნებისათვის,მაშასადამე ცხოვრებაც ერთი ტკბილი მოვლენაა,ჩვენდა სასიამოვნოთ და სახალისოთ გაჩენილი.ამ ნიადაგზე შენდება ახალგაზრდობის,და არა-ახალგაზრდობის თავაშვებული ცხოვრება,განუზომელი და გაუსწორებელი მოქმედება,რომლის ფუქსავატობას და ზერელობას მიხვდება გვიან,მოხუცების წინ,რო[...] გვიან იქნება.

ჩვენ ვცხოვრობთ სრულიად ჩვენდა დაუკითხავათ და ნებადაურთველა[...] ადამიანი ერთი რგოლია ცოცხალ ორგანიზმთა შორის და ემორჩილება ხა[...] თო კანონს – კანონს სიცოცხლის აუცილებლობისას.რატომ უნდოდა ეს ბ[...] ნებას არავინ იცის;ხომ იყო ისეთი დრო,როცა არც ადამიანი იყო ქვე[...] ნათ,არც სიცოცხლე,ე.ი.დედამიწაზე,მაგრამ უეჭველია იყო და არის [...] ხაც სხვა პლანეტებზე.სიცოცხლე ერთი განუყრელი აუცილებელი არსებაა ბუნების,ვინაიდან თვით ბუნება აღებული მრთელის მასშტაბით განსახიერებული სიცოცხლეა.ცხადია,სიცოცხლე უნდა იყოს,მაშასადამე,მისი მოწესრიგება,მისი მუდმივობის ადამიანისათვის ასატანათ გადაქცევა მთავარი საკითხია საზოგადოების.ცხოველთა გვარი ამ პრობლემას სწყვეტს მარტივათ და უაღრესათ მიზანშეწონილათ.ის პირდაპირ ემორჩილება და ასრულებს ბუნების ყველა კანონებს და მით ის ხდება ამ ბუნების ერთგული შვილი.პირუტყვი ყველა აქტს თავის არსებობისას ასრულებს პირნათლად,თავ-თავის დროს,ზომაზე და წონაზე.ეს მისთვის სასიამოვნოა თუ უსიამოვნო,სულ ერთია,ასეთი გრძნობით და ინსტინქტ[...] ის არ ხელმძღვანელობს.დაწესებული აქვს მაგ.კატას ორხელ წელიწადში ცინდალი გააკეთოს და ამას ასრულებს ის ხანამ ცოცხალია.

მხოლოდ ადამიანი შეადგენს გამონაკლისს,არ ემორჩილება ბუნებას და მუდამ ცდილობს დაუპირდაპიროს მას თავისი ფანტაზია,თავისი მა[...]

თავისი წყურვილი სიამოვნებისა.ჭამა-სმა და გამრავლება ხდება ადამიანთა გვარში არა ბუნებრივი წესით და მიზანშეწონილობით.და ეს იმიტომ,რომ მას ცხოვრებაზე გადაბრუნებული წარმოდგენა აქვს.ცხოვრება არის არა სიამოვნება,არამედ მოვალეობა,ასრულებს ბუნების ბრძანებას.რაც უფრო ადამიანი ახლო არის ბუნებასთან,განიცდის ბუნების პირდაპირ გავლენას,მით უფრო ის ასრულებს ამ მოვალეობას ბუნების წესისამებრ.რაც უფრო ის გამოდის ბუნების პირდაპირი მორჩილებისაგან და შორდება მას ხელოვნური,ადამიანის მიერ გამოგონილი ზღუდეებით, მით უფრო ის კარგავს ინსტიქტს მოვალეობისას და გადადის სიამოვნების ნიადაგზე.

რასაკვირველია,სიამოვნება უეჭველათ ადამიანობის ატრიბუტია;ცხოვრება მისთვის უნდა იყოს მისაღები და გემრიელი.პირუტყვი არ იცინის ადამიანი კი პირიქით.ცხადია,პირველისათვის ცხოვრება არ არის სიცილის მომგვრელი,გამამხიარულებელი;მისთვის ეს მძიმე მოვალეობის ასრულებაა,-არამხიარული და უსიამოვნო.ადამიანს კი პირიქით,ცხოვრება ასიამოვნებს,ამხიარულებს,ეს დიდი ბედნიერებაა,მაგრამ როცა მხიარულება დევნის მოვალეობას და მთელ ასპარეზს თვითონ იჭერს,ეს რევს სავსებით მთელ ცხოვრებას,ურთიერთობას,კაცთა შორის დამოკიდებულებას,ამოკლებს თვით ცხოვრებას,ამახინჯებს მას და ამრუდებს მთელ საცხოვრებელ ხაზს.სიამოვნება მოვალეობის ერთი ნაწილია და არა მისი უარისმყოფელი მოვლენა.მათი დაპირდაპირება ნიშნავს მოვალეობის შეუგნებლობას,მის უარისყოფას.

სიცოცხლის ორი ძირითადი კანონი – კვება და გამრავლება,მიშვებულია ცალკე პირის სურვილზე და ნებაყოფილობაზე.საზოგადოება არც ერთ ამ სფეროში არ ერევა,პირდაპირ მონაწილეობას მასში არ იღებს ან თუ იღებს გარეგნულათ,ფორმალური ჩარჩოების შექმნით.ამ ორ მოთხოვნილებას შორის,პირველი,კვება უკეთ მოსაგვარებელია,ვინემ მეორე,ვინაიდან პირველია აქტი ინდივიდუალური,ერთი პირის სფეროში შემავალი,ხოლო მეორე კი აქტი ორი პიროვნების,მაშასადამე საზოგადოებრივი მოვლენა.ადამიანს შეუძლია იყოს მარტო-მარტო,ტყეში და თავი

ირჩინოს,მაგრამ მას არ შეუძლია გამრავლდეს,თუ მის გვერდით არ არის მეორე სქესის ადამიანი.

რადგა ღმერთმა გაიგო,რომ ადამს არ ძალუძს გამრავლდეს უევოთ,დას-წყევლა ორივე და ედემიდან გამოაგდო.ამ ლეგენდაში ერთი ღრმა აზრია.ამ ორი სხვადასხვა პიროვნების ასე განუყრელათ გადაჯაჭვა ორივესა-ვის დიდი უბედურობაა,ღვთისრისხვაა,უმძიმესი თანდაყოლილი "ცოდვაა",რომლითაც ორივე იტანჯება უკუნით უკუნისამდე.ამ კანონით ორივემ და-კარგა თავისუფლება,დამოუკიდებლობა,თავის-თავის ბატონობა და პატრო-ნობა და გახსნა მათ შორის სარბიელი ბრძოლის,დაჯაბნების,ერთი-მეო-რის მოტყუების,შურის - ყველა ანტიადამიანური და ანტისოციალური ურთიერთობის.ეს ასე ვთქვათ,მოდის ბუნებიდან,ბუნებრივი მოვლენაა,და თუ კვების საკითხიც გადაიქცა ბრძოლის და შურის მიზეზათ - ეს მოდის არა ბუნებისაგან,არამედ საზოგადოებისაგან,ადამიანთა ქმნილე-ბაა და მისი გამოსწორება,მაშასადამე,შესაძლებელია.

სქესობრივი ურთიერთობა არის საფუძველი ოჯახის,ე.ი.საზოგადოე-ბაარსების.ის სოციალური ურთიერთობის მთავარი მიზეზია.ის მუდმივი მოვლენაა.მისი მოწესრიგება არის ძირითადი პრობლემა,პრობლემა მუდ-მივი,უცვლელი და საზოგადოთ გადაუჭრელი.ყველა საკითხი გადაიჭრება,ეს კი არა,სანამ ადამიანი იარსებებს.

გადაჭრა თუ არა,მოწესრიგება ისე,რომ ზარალი არ მიაყენოს სა-ზოგადოებას,-შეიძლება და ხშირეთ ეს უნდა დაისვას საზოგადოების დღის წესრიგში.ნამდვილათ კი,ხშირედ ეს საკითხია ამოგდებული მის-დღის წესრიგიდან და ადამიანები მიშვებულნი არიან მათ საკუთარ ფანტაზიაზე და ინტუიციაზე.

ყველა საქმე,რასაც ორი და მეტი ადამიანი აწარმოებენ ემორჩილე-ბა რაიმე წესრიგს;თვითეულ მის მომუშავეს მიჩენილი აქვს თავისი სფერო მოქმედებისა.გამონაკლისია აქედან მხოლოდ ერთი დარგი-ოჯა-ხი.არც ერთ ზაოდში და ფაბრიკაში არ არის იმდენი აყალ-მაყალი და დრამა,რამდენიც თვითეულ ოჯახშია.რისთვის?მხოლოდ იმისათვის,რომ ცოლს და ქმარს ერთი მეორის არ ესმით;ამ ორ სქესს შორის ისეთი ღრმა განსხვავებაა,რომ მათი ურთიერთის გაგება გაძნელებულია,ვი-

ყვი - შეუძლებელია.მათ შორის საერთო მხოლოდ ერთია - ორივე ადამის შვილებია,ორივე ერთი დედ-მამიდან მოდიან,ორივეს გარეგანი აგებულება ერთნაირია:ორივე ფეხებზე დგას,ორივეს ერთნაირი მოყვანილობის აქვს თავი,ხელები და სხვა.ეს არის და ეს.ყველა სხვა თვისებები - ფიზიკური და სულიერი - ერთიმეორისას არ გვანან.ჯერ ფიზიკური თვისებები.ქალის სხეულის მოძრაობა კაცისას არ გავს.მთელი ეს პროცესი აწყობილია საშვილოს ხაზზე,შვილის საკვებათ.ქალს რომ სისხლი დაეკარგება ერთ თვეს,იმდენი რომ კაცს დაეკარგოს ერთ წელიწადს,-ის რამდენიმე წელში მოკვდება.ეს იქნება მისთვის სასიკვდილო,ხოლო ქალისათვის კი პირიქით-ეს არის სასიცოცხლო,ხოლო სისხლის შეჩერება კი - სასიკვდილო.რითაც ერთი ცოცხლობს,მეორე კვდება.ქალის მთელი ფიზიკური პროცესი ემორჩილება ბუნების უმაღლეს მოთხოვნილებას - შვილოსნობას.ისეთი მოვლენა,როგორიცაა მაგალითად,ქალის ფიზიკური სისუსტე მხოლოდ ამით აიხსნება,ე.ი.იმით,რომ ქალს არ ჰქონდეს ხალისი და ღონე,-ასწიოს მძიმე ტვირთი,გასწიოს მძიმე სამუშაო და მით მუცელი მოეშალოს,ბოვშს არ მიეცეს საკმაო საკვები და ზრდის გასაქანი.ქალს ორი გული აქვს - ნამდვილი გული,როგორც კაცს და საშვილო,რომელთა შორის მეორე პირველს ჭარბობს და ფლობს მთელ მის არსებას,მის პსისიკას.ქალის მთელი ორგანიზმი ემსახურება მის შვილოსნობას,ადამიანის ჩასახვას და ჩასახულის ზრდას.ეს ბუნების უმაღლესი კანონი საზღვრავს მთელ მის ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას.

არაფერი ამის მსგავსი კაცს არ მოეპოვება.შვილის გაკეთება მისთვის წუთიერი ეპიზოდია,არავითარ ფიზიკურ კვალს მასში არ ტოვებს. არც კი იცის ამ ეპიზოდის შედეგი და ტყობილობს ისე,როგორც სხვა ამბავს:ეს მის ცხოვრებას არ საზღვრავს არც ფიზიკურათ,არც სულიერათ.მისი ორგანიზმის ცენტრი სულ სხვაგან არის გადატანილი:ტვინი, მუსკულები,-აი,რის ირგვლივ ტრიალებს მისი ორგანიული ფუნქციები. ქალს შეუძლია შვილი გააკეთოს წელიწადში ერთხელ,ხოლო კაცს ორასჯერ მაინც,თუ მეტი არა.გამოდის რომ ორას ქალს ერთი კაცი ეყოფა შვილის გასაკეთებლად.და თუ,როგორც ახლა ამბობენ,შესაძლებელი გახდა თესლის

ხელოვნურათ მიცემა ქალის საშვილოსათვის,კაცის ქალთან მისვლა საჭირო არ იქნება,რომ ბუნების ბრძანება შესრულდეს.მაშასადამე,გამრავლების თვალსაზრისით კაცი,ზედმეტი ბარგი თუ არა,უკანასკნელი მნიშვნელობისაა.ხოლო ქალის მთელი ცხოვრება ამ პროცესშია ჩაქსოვილი და მას ემსახურება.შეხედეთ ორ ბოვშვს,თუნდაც ტყუპს,დას და ძმას;და დედოფალას ეთამაშება და უალერსებს,ე.ი.ფიქრობს ბოვშვის აღზრდაზე,სიცოცხლის

ბიჭი კი თამაშობს სალდათობას,ე.ი.ეალერსება იარაღს,სიცოცხლის მოსპობას,ადამიანის განადგურებას.ქალი ინახავს სიცოცხლეს,კაცი კი ანგრევს,ერთი ოჯახს ინახავს,მეორე კი ომში კვდება.

ბუნება მფარველობს ქალს,როგორც სიცოცხლის მთავარ აგენტს,ხოლო კაცს არა,ვინაიდან მისი რაოდენობის შემცირება ვერ შეამცირებს გამრავლებას.აიღეთ ორი ბოვშვი,და-ძმა,ტყუპი,ერთნაირი სიმთელის,გახდა ავათ ერთიდაიმავე მძიმე ავადმყოფობით,ქალი გადარჩება,ვაჟი მოკვდება.სტატისტიკა გვეუბნება,რომ იბადება ვაჟი მეტი,ვინემ ქალი,მაგრამ ის კვდება მეტი და ბოლოს ქალის რიცხვი ვაჟისას აღემატება.ბუნებას სრულიად არ ესაჭიროება ბევრი კაცი.როცა ამბობენ,რომ ომი აუცილებელია,არასოდეს არ მოისპობა,ამით ხატავენ ბუნების გულგრილობას კაცისადმი.რაც უნდა გაწყდეს,სათესლეთ მაინც საკმარისი დარჩებათ.

ახეთი დიდი ადგილი უჭირავს ქალს ბუნებაში და ცხოვრებაში,მაგრამ ეს მისი როლი სრულიად არ არის შეგნებული და დაფასებული.პირიქით,ყველა რელიგია აშენებულია ქალის ამ როლის გაბიაბრუებაზე,მის დაქვეითებასა და გათახსირებაზე.ე.ი.ყველა რელიგია ანტიბუნებრივია ამ სფეროში.ყველა ის,პირველყოვლისა,შვილოსნობას აღიარებს ცოდვათ,ხოლო ორსულ ქალს დაპილწულათ,ეშმაკის ჭურჭლათ.ზოგ ხალხში ქალს მშობიარეს სახლიდანაც გააგდებდნენ და იძულებული იყო სადღაც ქოხში მოელოგინებინა.ყველა რელიგია მამაკაცის მოგონილია და ამ გზით ის ხატავდა ქალზე თავის უაღრესობას და ბატონობას.რელიგია არის იარაღი ქალის დამორჩილების და დამონების.ქალი არ შეიძლება

იყოს ღვდელი,ღვთის მსახური,როგორც ღვთის მიერ დადახვრული.რამდე-ნიმეთ ქრისტიანობამ შეიტანა შესწორება ქალის ამ დაქვეითებაში. მან ასწია მისი პრესტიჟი იმით,რომ ქალმა შვა არა მარტო ადამია-ნი,არამედ ღმერთიც.ის ღვთისმშობელია და მაშასადამე პატივსაცემია. ქრისტეს უშრალო კაცათ გამოცხადება ნიშნავს ქალის ჩაზრუნებას ის-ეთსავე არარაობაში,როგორათაც მას სახავს მახმადიანობა

ქალის გაღმერთება(ღვთის მშობელობა),ანდა ქალის ხელიდან მიღება სარწმუნოების,როგორც ეს საქართველოში მოხდა,დიდათ ხელს უწყობს ქალის სახელის აწევას და მისთვის მეტი პატივისცემის მოპოვებას. მაგრამ ვინაიდან ქრისტიანობა დაეყრდნო დაბადებას,სადაც ქალი გა-მოთაყვანებულია,ამიტომ მან საგრძნობი ცვლილება ვერ შეიტანა სქე-სის ურთიერთობის საკითხში.

ბუნებამ ქალი აამაღლა,საზოგადოებამ დაადაბლა.ამის მთავარი მიზეზია მამაკაცის მდგომარეობა ბუნებაში.ქალს შეუძლია იკვებოს თვითონ,სხვის დამოუკიდებლად და იყოს თავისუფალი.მაგრამ როგორც კი გამრავლების ფუნქციის ასრულებას დაიწყებს,მას ეს აღარ შეუძ-ლია და ხდება კვების საკითხში დამოკიდებული.მამაკაცისაგან.ქალი ორსული,მელოგინე,ბოვშვის მკვებავი და ამზრდელი,ცხადია არ არის მოცლილი კიდევ თავი ირჩინოს და შვილი არჩინოს.ამ ხფეროში მთა-ვარ როლს თამაშობს მისი ქმარი,მისი შვილის მამა,რომელიც თავის-უფალია შვილოსნობის ყველა დავიდარაბიდან და მოვალეა საკვები მა-სალა სახლში მოზიდოს.ამნაირათ,კაცი მთავარ როლს თამაშობს კვების საკითხში.ამას ემატება თავდაცვის საქმეც,როგორც მხეცებისაგან,ისე ადამიანებისაგან,რაც აწევს მამაკაცს.ამ ორმა გარემოებამ დაბადა უპირატესობა კაცის და ის გაბატონა ქალზე,ხოლო ქალის როლი რომ კიდევ უფრო დაემდაბლებია,მისი მთავარი ფუნქცია – მშობიარობა გა-მოაცხადეს ცოდვათ,ღვთის რისხვათ და უწმინდურ საქმეთ.

მთელ ამ ჩინებულ დოქტრინას უნერგავენ ახალ თაობას შკოლების თუ შინაური განათლების საშუალებით და როცა ჭაბუკი ცხოვრებაში შედის ის საკმაოთ მომზადებულია უკუღმართი აზრებით.

ფეოდალურ ხანას ერთი დიდი დამსახურება მიუძღვის:მან რაინდული
წესებით ასწია ქალის მნიშვნელობა,შექმნა მისი კულტი,თუმცა გადა-
ჭარბებული,მაგრამ მაინც რაღაც ახალი.შეხედულება,რაც წინეთ კაცობ-
რიობას არ ქონებია.ქალის პატივისცემა,მის წინაშე ფეხზე დგომა,მის
ხელზე მთხვევა,მისთვის მოწიწებით მოპყრობა და მისთვის სამსახურის
გაწევა,-მოდის შუა საუკუნეებიდან.მაგრამ ამ უკანასკნელი 40 წლის
განმავლობაში ესეც შეიცვალა და სქესთა თანასწორობის ლოზუნგით
ქალს პატივისცემა მოაკლდა.მახსოვს ამ 40 წლის წინეთ,როცა პარიჟ-
ში ვიყავი,ყველგან,სადაც კი ქალი შემოვიდოდა,კაცი ადგებოდა და
თავის სკამს დაუთმობდა.ეს სრულიად ბუნებრივიცაა:ქალს არ შეუძლია
კაცივით დიდხანს ფეხზე დგომა,ეს მისი აგებულების შედეგია.ახლა
ყველა ეს გამქრალია.ათ წელზე მეტია რაც აქ,პარიჟში ვიმყოფები
და არ მინახავს კაცს თავისი საჯდომი უცნობი ქალისათვის დაეთმოს.

ქალის და კაცის თანასწორობა ფიზიკურ სფეროში და აქედან გამომ-
დინარე ცხოვრების ურთიერთობაში სრული სიბრიყვეა.ეს ქალბიჭური გა-
მოგონება ერთიანათ რევს სქესთა ურთიერთობას.თუკი ეს თანასწორობა
ბუნებაში არსებობს,როგორ მოხდა,რომ ინგლისის პალატაში 600 დეპუ-
ტატზე ქალი ათიოდეა;მიუხედავათ მათი პოლიტიკურათ გათანასწორები-
სა და საზოგადოთ ყველა სარბიელზე ქალი იშვიათი ხილია.რატომ?იმი-
ტომ,რომ არსებობს ყველა ამ სარბიელზე მაღლა მდგომი სარბიელი,სა-
დაც ქალი მოღვაწეობს და მას სხვანაირათ არ შეუძლია.ეს არის შვი-
ლოსნობა,შვილის აღზრდა და ოჯახში ამ მიზნით მუშაობა.მხოლოდ ქალ-
ბიჭებს შეუძლიათ ეს უდიდესი მოვალეობა გადასცვალონ წარმავალ ფუქ-
სავატ მოვალეობაზე,მაგრამ მათი რიცხვი საბედნიეროთ მცირეა.ბუნე-
ბის ხმა ქალში უფრო მძლავრია,ვინემ საზოგადოების და სწორეთ ეს
არის საფუძველი ადამიანობის.

ქალს ფიზიკურათ არ შეუძლია შეასრულოს კაცის როლი სხვა სფე-
როში.მისი გონება დაკავებული,დაძაბუნებულია შვილოსნობის პერიოდ-
ში.მისი ორგანიზმის მუშაობა მიმართულია ერთი მხრით,ხოლო ყველა
სხვა მხარე მისი აგებულებისა პასიურ როლშია.მისი გონება ზეი-
მობს მხოლოდ მას შემდეგ,რაც ბუნების ბრძანება შესრულებულია,მშო-

ბიარობა გათავებულია,ბოვშვები აღზრდილია და მაშასადამე დედას თავისი ვალი მოხდილი აქვს.მართალია ამ დროს მას უკვე ჭაღარა ერევა,ძალ-ღონე ხუსცდება,მაგრამ გონება მაინც დაუბრკოლებლათ მუშაობს და თავი ზაცრონდება.ხევურის ქალმა ყველა მისი შეხანიშნავი საზოვშრი მოთხრობები დახწერა სიბერეში,როცა შვილები აღზარდა,დააქორწინა და მოისვენა.კურის ქალი გახდა დიდი მეცნიერი მხოლოდ სიბერეში,როცა თავისი ქალური მოვალეობა მოათავა და მისი აგებულებაც კაცისას დაემსგავსა.

საზოგადოთ,ქალს მისი ბუნებრივი მოვალეობა არ ანებებს განვითარებას კაცის ხაზით.აიღეთ ორი და-ძმა,ცყუპი;და სწავლობს ჩინებულათ,წინ უსწრებს თავის ძმას და ეს გრძელდება 14-15 წლამდე,შემდეგ უცებ ქვეითდება,ბიჭი წინ მიდის,ქალი უკან რჩება და ძლივს-ძლივობით ათავებს.რა მოხდა?-მოხდა მისი დაქალება,ე.ი.აგებულების ამუშავება შვილოსნობის მოსამზადებლათ და არა გონების გასავითარებლათ.გონება ჩერდება,საშვილო იწყებს ცხოვრებას.

ადამიანები უფრო ზრუნავენ პირუცყვის მოშენებაზე,ვინემ ადამიანის მოშენებაზე.ქალი ისე შედის ცხოვრებაში,რომ არაფერი არ იცის,არაფერი არ უსწავლია შკოლაში,საზოგადოებაში,ოჯახში,რაც მის უმთავრეს მოვალეობას ეხება,არ იცის რას ნიშნავს დედობა,ბოვშვის აღზრდა,ქალის მოვალეობა ბუნებაში და საზოგადოებაში.ასევე უვიცია კაცი ამავე სფეროში.მან არა იცის რა არც ქალის ადგილზე ცხოვრებაში,არც მის მდგომარეობაზე და მოვალეობაზე.ყოველივე ისეა წარმოდგენილი,თითქოს ეს მხარე საზოგადოებისა არავის არ ეხება;მას არც შესწავლა ეჭირვება,არც რაიმე ახსნა და განმარტება.ყოველივე ეს თავისთავად უნდა აეწყოს და დაეწყოს.ამას წინეთ რომელდაც გაზეთს წამოცდა,რომ საჭიროა შკოლაში ასწავლიდენ,-რას ნიშნავს სიცოცხლის გადაცემა,მისი მუდმივობათ.მას ყველა თავს დაეცა და უზნეობა უსაყვედურეს,თითქოს ეს დიდი პრობლემა ნიშნავდეს მხოლოდ ფიზიკურ კავშირს ორი სქესისას და არა კაცობრიობის ძირითად პრობლემას.

მთელი ყურადღება შკოლის და საზოგადოების მიქცეულია კვების სა-

კითხისაკენ,მთელი განათლება აგებულია თავის რჩენის საშუალებათა სასწავლათ.ვინაიდან ამ სარბიელზე პირველობა ეკუთვნის მამაკაცს, ცხადია ბურთი და მოედანი მას რჩება.ამ ბოლო საუკუნეში სამრეწველო ცივილიზაციის ნიადაგზე,თავის რჩენის საქმეში ჩაება ქალიც.ისიც იძულებული გახდა მამაკაცივით იმუშაოს ფაბრიკა-ზავოდებში და იმსახუროს.ე.ი.მის ერთ ბუნებრივ მოვალეობას მიემატა მეორე,რომელიც ებრძვის პირველს.მისი მდგომარეობა,მაშასადამე,გაუარესდა და ამით დაზარალდა მთელი საზოგადოება.შკოლა აყვა ამ ფეხის ხმას და გაუბა ქალი ვაჟის უღელში – შეასწავლოს თავის სარჩენი საშუალებები.ამით ქალმა მაინც ვერ მოიპოვა ვერც უპირატესობა,ვერც პატივისცემა, ვერც თანასწორობა.ძველათ,როცა ქალი არ იყო ჩაბმული საკვების საქმეში,გაცილებით მეტი პატივისცემა და დაფასება ქონდა,ვინემ ახლა, მისი "ემანსიპაციის" ხანაში.რაკი კაცი ვერ გასწევს ქალის მაგიერობას,რატომ ქალმა უნდა გასწიოს კაცის მაგიერობა?

საზოგადოებას დღეს გაცილებით უფრო აინტერესებს სადი შინაური პირუტყვი,ვინემ სადი თაობა.გამოიგონეს სპორტი და გიმნასტიკა,ვითომ ეს იძლეოდეს სად ახალგაზრდობას.ეს უბრალო თავის შექცევაა, დაფარვაა ნამდვილი წამლის.სად თაობას იძლევა მხოლოდ სადი დედა, ჩაყენებული მისი ბუნების შესაფერ პირობებში.დედა აფორიაქებული გაჭირვებით,მძებნელი სამუშაოსი,გამოგდებული ქუჩაზე ალალ-ბედზე, მოუსვენარი,უმწეო,მუდმივ შიშში ლუკმა პურისათვის,-რა იქნება მის შვილი,თუ არა სულიერათ მახინჯი,ფიზიკურათ სუსტი.

ხალხი რაც უფრო ახლოა ბუნებასთან,ე.ი."ჩამორჩენილია",მით უფრო ბუნებრივათ,ე.ი.წესიერათ და სადათ აწარმოებს მოდგმის გაგრძელებას.მისთვის ეს არის უმაღლესი კანონი და მას ასრულებს,როგორც მოვალეობას.ხალხი რაც უფრო კულტურულია,ე.ი.ბუნებისაგან მოწყვე-ლია და ადამიანთა ხელოვნურათ შექმნილი მდგომარეობის ტყვეა,მით უფრო გლახათ,არაბუნებრივათ ასრულებს ამავე დანიშნულებას,მით უფ- მოვალეობაზე წინ აყენებს სიამოვნებას და ორივე სქესი ერთი მეორ- უყურებენ არა როგორც მოდგმის გამგრძელებლებს,არამედ როგორც სია- ოვნების მომცემი.

ენკენისთვე:

აპრილის შემდეგ არაფერი ჩამიწერია.ერთი იმიტომ,რომ წლის ბოლოს ჩვეულებრივათ ძლიერ ვიღლები და ზედმეტ მუშაობას ვეღარ უძლებ.მეორეც იმიტომ,რომ ვიფიქრე,დრო კიდევ ბევრი მაქვს,ხუთი წე-ლი კიდევ დამრჩენია ცხოვრებისა და შემიძლია აუჩქარებლათ დავათავო ეს ჩემი სამინაო წიგნი.

1935 წ.აგვისტო. ვაგრძელებ:

ადამიანის დამოკიდებულება ცხოვრებასთან,ე.ი.ბუნებასა და საზო-გადოებასთან განისაზღვრება მისი ასაკით.სხვადასხვა ხნოვანობაში მას სხვადასხვანაირათ ესმის წუთისოფელი.ამ მხრივ შეიძლება გავ-ყოთ ადამიანის ცხოვრება რამდენიმე პერიოდათ:პირველი ოცი წელი, ოციდან 35-მდე,შემდეგ 50-მდე,50-დან 65-მდე და ბოლო პერიოდი.თვი-თეული ეს ასაკი სხვადასხვანაირათ გამოიყურება.ოც წლამდე,კაცი,ასე ვთქვათ "ბურანშია",ღრუბლებშია,რეალობას ვერ ხედავს და არც აინტე-რესებს ის დაინახოს.ის უფრო თავისი ფიქრით,თავისი გულისთქმით არ-ის გარემოცული.რასაკვირველია,აქ ლაპარაკია მხოლოდ 15-20 წლიანზე. ბავშვი ხომ თავი თავს არ ეკუთვნის და ეს ასაკი უნდა გამოვარდეს ანგარიშიდან.მხოლოდ 15 წლის შემდეგ ის იწყებს თავის თავის წინა-მძღვრობას,რამდენიმეთ,ხოლო 19-20 წლისას კი უკვე თავის თავი წარ-მოუდგენია ბატონ-პატრონათ.მაგრამ სინამდვილეში ის კიდევ იმყოფე-ბა ბავშვობის პერიოდში,ე.ი.ბოვშვის თვისებები,ქვეყნიერებაზე ფან-ტასტიური წარმოდგენა,-მის თვისებათ რჩება.ის ასრულებს ზრდას ფიზი-კურათ,მომზადებას.ლუკმა-პურის საშოვნელათ,მაგრამ მისი გონებრივი და მორალური ზრდა მხოლოდ იწყება,მისი გამოფხიზლება,ბურანიდან გა-მოსვლაიწყება შემდეგ პერიოდში,როცა ცხოვრებაში შედის და პირველათ-ვე ფეხს წაიცდეს,როცა მისი იმედი და წარმოდგენა არ ეთანხმება სი-ნამდვილეს და ამას ცოცხალ მაგალითზე ხედავს,იწყება მისი დაფიქრე-ბა და რეალობისაკენ გადახრა.

ამ სფეროში ქალი და კაცი ერთნაირათ არ ვითარდებიან.სქესი,ე.ი.

ბუნება მათზე ბატონობს და არ ანებებს მათი კალაპოტის შეცვლას ან არევას ერთი-მეორეში.15 წლამდე ქალი უფრო ინდივიდუალურია,ვინემ ვაჟი.გოგოებს შორის გაცილებით მეტია განსხვავება,-ერთი-მეორის მსგავსება ნაკლებია ვინემ ბიჭებს შორის.გოგო უფრო ორიგინალურია, უფრო ნიჭიერი და ხერიოზულია,უფრო მეცადინე და დახელულია,ვინემ ბიჭი.ბიჭი ბიჭს გავს ყველაფერში.მათი ინდივიდუალობა მცირეა.აი, ეს ორი სქესის ურთიერთი დამოკიდებულება იცვლება ასაკის მიხედვით. მე-14-მე-15 წლიდან იწყება უკუღმა პროცესი.ბიჭი წინ იწევს,მისი ინდივიდუალობა მკაცრდება,გონება უმახვილდება,ჭკუა და შრომის უნარიანობა ემატება,ხოლო გოგო კი ჩერდება.ის მერმე გოგოს ემსგავსება, გონება კარგავს სიმახვილეს,შრომისუნარიანობა იკლებს,იჭერს ბიჭის წინანდელ ადგილს.რატომ?-იმიტომ,რომ ქალი ხდება,დედის დედის წინასწარი ფიზიკური პირობები ვითარდება და მთელ მის აგებულებას,როგორც ფიზიკურს,ისე მორალურს იჭერს ბუნების მიერ დაწესებულ კალაპოტში.ბუნება ხპობს ყოველივე იმას,რასაც კი შეუძლია ქალში შეასუსტ მისი წესის ასრულება,რაც კი ავნებს დედობას.ქალი ტყვე არის ამ კანონის და თავისუფლება მისი ბრძანებისაგან მხოლოდ მას შემდეგ,რაც მან შეასრულა ეს კანონი,გაიარა მისი ხანისაგან,დაზარდა შვილები და მით დაიბრუნა თავისუფლება,-აღარ იყოს ყმა თავისი სქესის სცი-ქიის.ეს პერიოდი იწყება ქალის რიგის შეწყვეტიდან,დაახლოებით 45-50 წლიდან.

იმ ხანაში,როცა ქალი დედობრივ საქმეშია ჩაბმული და მისი ცხოვრება ეწყობა ამის თანახმად,ვაჟი ჩაბმულია არა ბუნებრივ,არამედ სოციალური კალაპოტის ფარგლებში და იბრძვის არსებობისათვის.ეს ორ სქესის ორი სხვადასხვა გზა აყალიბებს მათ პიროვნებას და მდგომარეობას სხვადასხვა ნაირათ და მიდიან თავთავიანთი განსხვავებულ გზით.ამაზე დაწვრილებით შემდეგ.

თავისთავად ცხადია,რომ ეს ორი კატეგორია ადამიანებისა ერთნაირათ არ უდგებიან,არ ხედავენ ცხოვრებას,სანამ მათი გაყრილი გზები არ შეიყრებიან და ერთი-მეორეს არ დაემსგავსებიან მოხუცებაში.

ადამიანი რაც უფრო ახლო ბუნებასთან და განიცდის მის გავლენას

მით უფრო ხალია მისი ცხოვრების ინსტიქტი,მით უფრო სწორათ აქვს ცხოვრების არსების წარმოდგენა.ამიტომ ქალი კაცზე უფრო ხალი წარმოდგენისაა,უფრო დაკავშირებულია სიცოცხლესთან,უფრო ინახავს მას, ვინემ კაცი,რომელმაც თავის ხელობათ ომი,ე.ი.ადამიანის ხოცვაც კი გაიხადა.აიღეთ ცოლ-ქმარი,ქმარი ნასწავლი,ქალი უსწავლელი.ამ უსწავლელს გაცილებით მეტი ხალი მსჯელობა აქვს,უფრო ესმის ავი და კარგი,ჩახედულია ცხოვრების ფესვებში,ვინემ ეს ჩვენი ფილოსოფოსი. ქალი უფრო რეალისტია,ვინემ კაცი,თუმცა სახელი კი ფანტაზიორის აქვს დავარდნილი.ეს რასაკვირველია,მამა-კაცმა დაუგდო,როგორც მორალური საშუალება მასზე ბატონობის.საზოგადოთ,ადამიანი რაც უფრო ახლოს დგას ბუნებასთან და მის პირდაპირ გავლენას განიცდის,მით უფრო მისი ინსტიქტი ხალია,ცხოველმყოფელია.ის მაგრათ ახვია მიწაზე და მსუბუქათ გადააქვს ცხოვრების სიდუხჭირე.

მე აქ უფრო ვაწვები ინსტიქტს,ე.ი.შეუგნებელ ფსიხიურ პროცესს და არა გონებას,აზროვნებას,შეგნებულ პროცესს და ეს იმიტომ,რომ პირველს უჭირავს კაცის ცხოვრებაში გაცილებით მეტი ადგილი,ვინემ მეორეს.ერთი მეცნიერი ამბობს:ადამიანი განირჩევა ცხოველისაგან იმით, რომ ჯერ მოიფიქრებს,შემდეგ მოქმედებს,ცხოველი კი პირდაპირ მოქმედებსო.ეს რომ ასე იყოს,მათ შორის მართლაც დიდი არსებითი განსხვავება იქნებოდა.ნამდვილათ კი დებულება სწორი არ არის.ადამიანის მოქმედების ცხრა მეათედი,თუ მეტი არა,წარმოებს არა წინასწარი მოფიქრებით,შეგნებულათ გაზომვით და აწონ-დაწონვით,არამედ მექანიკურათ,ჩვეულებით,მიღებული ტრადიციით,შეთვისებული დისციპლინით,ინსტიქტით.დააკვირდით ერთ დღეს მაინც თავის მოქმედებას და გაიგებთ სიმართლეს. დილიდან საღამომდი კაცი საქმიანობს,ისვენებს,იკვებება,მიდი-მოდის, მუსაიფობს – ყველა ეს ხდება არა წინასწარი მოფიქრებით,არამედ ჩვეულებით,ვცხოვრობთ დღეს ისე,როგორც გუშინ,გუშინ ისე,როგორც გუშინწინ,წინეთ კიდევ როგორც ოჯახმა დააწესა,-ერთი სიტყვით ვართ ტყვე ჩვეულებათ გადაქცეული ნორმის.ამ ნორმას ქმნის ბუნება და საზოგადოება,-ცხადია.შეუგნებელი პროცესი ჩვენს ცხოვრებაში მთავარია,პირველ ხარისხოვანია,შეგნებული კი ხელქვეითია,შემთხვევითი და კანტი-

კუნცია.ადამიანს ყველაზე უფრო ეზარება ხშირეთ ცვინის ამუშავება, ეს მისთვის დიდი ცვირთია.უფრო სიამოვნებით ღებულობს ფიზიკურ მუშაობას,ვინემ გონებრივს.ის ვინც ამ მხრით გამოეთიშება მასას,განზე დადგება,მაღლა აიწევს,-მხოლოთ ამ საერთო კანონის დადაცით,გონებრივი მუშაობის მთავარ მომენცათ აღიარებით,მიღებულ ნორმაში ახალი აზრის თუ ახალი გამოგონების შეცანით.აი,ეს დიდი კაცია,დიდი მოღვაწეთითით სარჩევნებელია.შემდეგ მისი აღმოჩენა თუ აზრი ხდება ჩვეულებრი ნორმათ,რაიცა აღარ ითხოვს წინასწარ მოფიქრებას.

დავუბრუნდეთ შეწყვეცილ მთავარ თემას.ადამიანი 20 წლიდან შედის საზოგადოებაში,როგორც მისი სრულუფლებიანი წევრი.ამ დროდან ის თანდათან მორიდება ბუნებას.ის მას არ აინცერესებს და ფიქრობს მისი გვ რგვინია თვითონ,ადამიანი.ამ ხანაში მან ყველაფერი იცის,მას ახე გ ნია,სიიდუმლოებათა კარები ყველა ღიაა.ერთი სიცყვით,მან იცის ის, რომ ყველაფერი იცის.ეს მას აძლევს ენერგიას,თავმოყვარეობას,სიმცკიცეს,-არაფრის და არავის არ ეშინია.ის ახალგაზრდა ვაჟკაცია.ამ დროს ის აზროვნობს უფრო საზოგადო სარისხით და არ აქცევს ყურადღებას დეცალებს.ის სინცეციკია,ხედავს მასას,საზოგადოებას მთლიანათ და არა მის ნაწილებს,არა პიროვნებას,არა კერძო პირთ,რომელთა გროვა იძლევა მთელს.მისთვის ყველა ერთნაირია,ქალი ქალს გავს,კაცი კაცს,ცალ-ცალკე არ აინცერესებს.ანალიზი არ შედის მის მეთოდში. ამიცომ საზოგადოებას ის ხედავს არა ისე,როგორც არის,არამედ ცალი გვერდით,ბინდით გადაფარებული მხედველობით:უფრო ფანცასციურათ და განყენებულათ(გამონაკლისი დიდი კაცია,გამორჩეული პიროვნებაა,იშვიათია).ეს არის თვისება არა აღზრდის,განათლების თუ გაუნათლებლობის,არამედ ასაკის,ბუნებრივი მოვლენის,ფიზიკური აგებულობის. მისი სისხლის და სორცის მუშაობა იძლევა ასეთ შედეგს:პსიხიურ სფეროში ის გადაიცეხება ორ საზზე:მეცი გაბედულობა,ნაკლები აზროვნება.ეს ორი თვისება ჩვეულებრივათ მორიგებულათ ვერ სძოვენ.ღრმა აზროვნება ებრძვის დიდ გაბედულებას.ამიცომ ამ ასაკში ეძებენ მე მარს,მოქმედების კაცს;ის ქარის კაცის ბაზაა,მაგრამ აქ ნუ ეძებთ სარდალს,ეს შემდეგი ასაკის კუთვნილებაა.

ადამიანის თავში ცხოვრების სინათლე შეანათებს ხოლმე შემდეგ პერიოდში,დაახლოვებით 40 წლიდან.აქ ის იწყებს ცხოვრების დეტალების გარჩევას,ქარიანობაში ცალკე პირების დანახვას,მტერ-მოყვარის გამოცნობას,ცხოვრების მორევში საზრიანათ შესვლას.აქ ის უკვე ოჯახის მეთაურია,შვილებს ზრდის,ცოლ-ქმრული ურთიერთობა მოგვარებულია და იძულებულია ქვეყნიერებას სერიოზულათ შეხედოს.მთელი მისი ძალ-ღონე ახლა იშლება და რომ ის ასე გრძელდებოდეს შემდეგშიაც,- ადამიანის ზედს ძაღლი არ დაუყეფდა.მაგრამ ბუნება მას ჩამოკრავს და მოკლე საზელზე მიაბამს.ამ ხანაში,ქალის 45 წლის,კაცის 50 წლიდან,იწყება ორგანიზმის კრიტიკული პერიოდი,ე.ი.სისხლის მოძრაობის გადაწყობა,სასიცოცხლო ორგანოების ახალ კალაპოტში ჩაყენება. აქედან გამომდინარე სხვადასხვა მსუბუქი თუ მძიმე პერეტრუბაციები. ამ ხანაში ის"კარგათ არ არის"და ფიქრობს თავის თავზე,თავის დასუსტებაზე.მას მუდამ რაღაც აწუხებს და ეს ჩაგრავს,მის სულს,მის გონებას და გულს.60 წელს თავდება ეს კრიზისი,ორგანიზმი სავსებით ეწყობა ახალ საფუძველზე და შემდეგ მას უბრუნდება ყველა თავისი ნიჭი და შესაძლებლობა,მაგრამ აკლდება ფიზიკური ძალა და მომქმედი პირი იქცევა მოაზრეთ,მრჩევლათ,ჭკუის საკითხავათ;საზოგადოების ბჭეთ კი აღარ გამოდგება.ქვეყანას ის ახლა სულ სხვანაირათ უყურებს,ვინემ წინეთ;ახლა რწმუნდება,რომ მან იცის ის,რომ არა იცის რა.ბუნების ყოვლად ძლიერებას და საიდუმლოებას კარგათ ხედავს, მთელი,ქარიანობა აღარ აინტერესებს ისე,როგორც დეტალი,კერძო,ცალკე პირები თუ მოვლენანი.ის თანდათან შორდება ცხოვრებას და უახლოვდება კვლავ ბუნებას,რომლის ნაწილი და საკვები ჩქარა უნდა გახდეს.

კაცს რომ ქონდეს ძალ-ღონე 25 წლის,ხოლო გონება 60 წლის,ის იქნებოდა ლომ პარფე,როგორც ფრანგები იტყვიან.მაგრამ ეს შეუძლებელია. რომაელებმა ეს პრობლემა გადაწყვიტეს თავისებურათ,რამაც მისი არსებობა ასე გაახანგრძლივა.გადამწყვეტი ორგანო ილიარებული იყო სენატი,ხოლო სენატორი ვერ იქნებოდა 60 წლის ნაკლების.ამსრულებელი კი უფრო ახალგაზრდათა ორგანოები.

ამნაირათ,ხაზოგადოების ბურჯი,მისი მატარებელი და შემომქმედი არის ერთი ასაკი – 25-დან 45 წლამდე.წინა პერიოდი – მოსამზადებელია,შემდეგი პერიოდები – კრიტიკული და მოხუცების ზედნაშენია. შემქმნელი პერიოდი შეიძლება გავაფართოვოთ ცხელ ქვეყნებში – ვიანგარიშოთ 20 წლიდან,ხოლო ცივ ქვეყნებში ავიყვანოთ 50-მდე,მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის 25 წელს ვერ გადააშორებს.ის ხაზოგადოება თუ ერი,რომელიც ამ ასაკს უვლის და იყენებს აწყობილათ,არ დაიღუპება.ის არის ცხოვრების ძალ-ღონე,მისი მუსკულები,მისი სისხლი და ხორცი,მისი ენერგია,ნებისყოფა და ბრძოლის ღერძი.

ბოლო პერიოდში ცხოვრება ადამიანისათვის ზღაპარია.მიმავალისათვის ის არის ღამის სიზმარი და ამიტომ მას განიდან გაყურებს ან მაღლიდან დაყურებს.მე ჩემდა თავათ განვლილი ხანა მეჩვენება ძნელათ დასანახავ აჩრდილათ;ეს სოფელი გავლილათ მაქვს წარმოდგენილი და მინდა დავრჩე მაყურებლათ.რა რჩება ადამიანისგან!ერთათ ერთი – მას შთამომავლობა როგორ მოიგონებს,ავათ თუ კარგათ.და ვფიქრობ ჩემი არსებობის დასკვნათ ასეთი ვისაც მოვაგონდები – ავათ არ მოვაგონდები.ეს დიდი ჯილდოა;ყოველ შემთხვევაში,–ბოლო პერიოდში ანუ მიწურულში ქვეყანასთან დამოკიდებულება და მისი შეგნება დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება შექმნის პერიოდისას.აქ ფსიხოლოგიური განსხვავება ძირიანი,არსებითია.

შემოქმედებითი ასაკი არის ადამიანთა მოდგმის მთავარი ხერხემალი,მისი მატრიალებელი ჭახრაკი,მისი ლოკომოტივი.ხოლო მერმინდელი ასაკები – მისი ტორმოზებია.პირველი რზილი,შემდეგი –მაგარი.მოდგმის გამაგრძელებელი,ცხოვრების შემნახველი და გამაუმჯობესებელი ათ ეს ასაკია.ამ დიდ საქმეში თანამშრომლობენ და თანასწორი წონის მონაწილეობას იღებენ ორივე სქესი,–ქალი და კაცი.მათი კავშირი,მათი ურთიერთობა და ამხანაგობა არის მთავარი ძარღვი მთელი ამ შენობისა.ქალს და კაცს თავ-თავისი ადგილი აქვს ამ შემოქმედებაში, ადგილი ერთი მეორისაგან დიდათ განსხვავებული და სხვადასხვა საზომით აზომვილი.

რაკი შემომქმედი ასაკი თავის შემოქმედებას ხატავს ორი სქესის

ურთიერთ დამოკიდებულებით და ამ ნიადაგზე აწყობილი ორგანოებით, ცხადია ამ დამოკიდებულების შესწავლა,მისი გაგება და მასში შეგნებული მონაწილეობა ძირითადი საკითხია ამ ასაკის.ყველა სხვა ასაკებში სქესთა ურთიერთობა არ ბატონობს,არ აძლევს მიმართულებას და შინაარსს.ოც წლამდე ეს საკითხი არ დგას,50-ის შემდეგ ის თანდათან სუსტდება და ბოლოს სავსებით ქრება.ამ ხანაში მას აღარ აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ხდება პირადი ცხოვრების ამწყობ აპარატათ,თავგასაცან,სიკვდილამდის მიმცან გზათ და ხიდათ.ორივე ეს ასაკი,თავი და ბოლო,დაყრდნობილია იმავე შუა ასაკზე,იმავე შემოქმედ პერიოდზე,როგორიც არის ის - ისეთია შვილები,მათი აღზრდა,ისეთია მოხუცებულნი,მათი დაბოლოვების 25-50 წელია სათავე ადამიანთა მოდგმის თავის და ბოლოსი.ხოლო ამ სათავის ძარღვია ორი სქესის ურთიერთობა.

ამ ურთიერთობას ძველათ წყვეტდენ უბრალოთ:მამაკაცი იყო განუკითხავი ბატონი ოჯახის,საზოგადოების და ის აწესებდა ქალ-კაცის მდგომარეობას.მაგრამ მას შემდეგ,რაც ეს ბატონობა მოისპო და ისპობა დღით დღე,როცა ქალის და კაცის თანასწორობა გამოცხადდა და ცხოვრების ძალდატანებით ის ცოცხალ მოვლენათ ხდება,-ძველთაგან აწყობილი მონასტერი სავსებით აირია და სქესთა ურთიერთობა ვერავითარ ნორმალურ კალაპოტში ვერ ჩადგა.რაკი ამ კალაპოტის საფუძველი აღარ შეიძლება იყოს ძალმომრეობა,ცხადია მისი ადგილი უნდა დაიჭიროს ურთიერთის გაგებამ,წმინდა პსიხოლოგიურ მომენტმა და ის დაედვას ახალს საფუძვლათ.და სწორეთ ამ ახალმა პრობლემამ სავსებით დააბნია საზოგადოება და გაჩხირა ის ძველს და ახალ ნაპირებს შორის. აქედან - მუდმივი რევოლუცია და რყევა ამ დიდი საკითხის ასპარეზზე.

იმავა ქალთა საკითხი.სახელი არასწორია:სწორი იქნებოდა - ქალთა და ვაჟთა საკითხი.როგორც ვთქვით,ადამიანი ცხოვრობს ზნე-ჩვეულებით, ხოლო გონებრივი მომენტი,გაგება მცირე როლს თამაშობს მის მოქმედებაში.ამიტომ,მიღებული ზნე-ჩვეულება აისვარა და გაგებაზე მიდგა საქმე,აისვარა სქესთა ურთიერთობაც.ეს არც დასაძრახისია:არც ერთი საკითხი არ არის ისე რთული,ისე ღრმა და ძნელი გამოსაცნობი,როგორ-

რიცაა ქალის და კაცის როლი და ადგილი ცხოვრებაში.სიძნელე გამომდინარეობს თვით ძირიდან,თვით მათი არსებობიდან,როგორიც ისინი ბუნებამ გააჩინა.

ეს ორი ადამიანი,რომელთა შორის საერთო არა არის რა,გარდა იმისა,რომ ორივე გონიერი არსებაა,იძულებულნი არიან იყვნენ ერთმანეთზე დამოკიდებულნი,არ შეეძლოთ უურთიერთოთ ცხოვრება,იყვნენ მიკრულნი გინდა თუ არა ერთი მეორეზე,ორივე ერთნაირათ მოკლებულნი დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.როცა ეს ამბავი პირველათ ადამმა გაიგო და ღმერთმა პასუხი მოსთხოვა,-ქალს გადააბრალა.მას შემდეგ მოდის ეს გადაბრალება და ქალის ეშმაკის ჭურჭლათ დასახვა.ამ ამბავში ერთი აზრი მართალია:ქალის და კაცის ასე სამაგალითოთ გადაჯაჭვა დიდი სასჯელია ორივესათვის,მძიმე უღელია მათთვის და ეს მათ შემქმნელს ბოლოს აღარ მოეწონა.ეს"პირვანდელი ცოდვა"ბატონობს ადამიანზე და მისგან განთავისუფლება მას აღარ ძალუძს.

რა სურდა ბუნებას,შემომქმედს?სურდა სიცოცხლის აწყობა და ამ საქმეში მოუვიდა მარცხი – სიცოცხლის შემქმნელი ელემენტები მოათავსა სხვადასხვა ჭურჭელში.ეს მაშასადამე ბუნების ძირითადი კანონია და მის ნიადაგზე უნდა აეწყოს მოდგმის გაგრძელება.სანამ ამ კანონს ცხოველები ასრულებენ – ასრულებენ ბუნების თანახმად და არ იყენებენ მას ერთიმეორის დამონების და დაბეჩავების იარაღათ.აქ მუდამ"ლეკვი ლომისა სწორია,ძუ იყოს თუნდა ხვადისა".აქ ერთიმეორის გაგება ზედმიწევნითია,ვინაიდან ის ბუნებრივია;მათი გონება ბუნებას არ უხვევს.როგორც კი ეს ძირითადი კანონი ამუშავდა ადამიანთა შორის,-ამუშავდა უკუღმა.ამის მიზეზია იგივე შემოქმედი:მან მოგვცა ქალი კაცზე უფრო სუსტი ფიზიკურათ და მით შექმნა საშუალება მისი დამონების.მაგრამ უმიზეზოთ მგელმაც არ შეჭამა კრავი.კაცმა თავს მოახვია ქალს დიდი მორალური დანაშაულობა:დედობა,ე.ი.ბოვშვის გაჩენა და დაბადება;მან გამოაცხადა ეშმაკეულათ,ღვთისაგან დალახვრულათ,დიდ ცოდვათ,უწმინდურათ. ყველა რელიგია ასე უპატივცემულოთ ეპყრობა ბუნების ძირითად კანონს – სიცოცხლის გაჩენას ქალის საშუალებით.ქრისტიანობამ ვი-

თომ რამდენიმეთ ქალი აამაღლა,აქცია რა ის ღვთისმშობლათ,მაგრამ ეს შობა ხდება წინააღმდეგ ბუნების კანონისა,სულიწმინდის საშუალებით. ქრისტე რომ იოსების შვილი იყოს – ამით ის ღმერთი ვერ იქნებოდა.

ამნაირათ,ქალის და კაცის ურთიერთობა იწყება და ეყრდნობა პირველის ფიზიკურ და მორალურ დაჩაგვრას კაცის მიერ.

ღვთის კაცია მონაზონი და ბერი,ე.ი.ისინი ვინც შთამომავლობას არ აჩენს.ქალწული – ქალის უმაღლესი ტიპია,უცოდველია,პირდაპირ სამოთხეში მიდის და მრავალი სხვა ასეთი დებულებებით სავსეა ყველა რელიგია.დაბადების მრავალი ადგილები პირდაპირ აღმაშფოთებელია ამ მხრივ.ქალი,ორსული ქალი,აღიარებულია უწმინდურათ,ეშმაკის კვერთხათ.

ყველა ცუდ მოვლენას რაღაც,სულ მცირე მაინც,კარგიც ახლავს.ეს ასეთი გალაშქრება დედობის წინააღმდეგ რამდენიმედ ანელებს სქესობრივ თავაშვებულობას,აჩვევს ადამიანს მოითმინოს,ნდომა გულში ჩაიმარხოს,თავის ვნებათა ბატონი იყოს,სქესობრივი კავშირი რაც შეიძლება ნაკლები აწარმოოს.ეს დიდათ სასარგებლოა ჯანმრთელობის თვალსაზრისით.ჰიგიენა უეჭველათ ამას მოითხოვს.მართალია,განათლებული ხალხები ახლა აღარ მისდევენ ამ საღ ჰიგიენას,დაივიწყეს მცნება – ქალი უნდა იყოს დედა და მასთან კავშირი მხოლოდ ამ მიზნით უნდა ხდებოდეს,მაგრამ პრიმიტიული ხალხები დღესაც ძველებურათ მსჯელობენ და სქესობრივ საკითხში დიდ თავდაჭერილობას იჩენენ.

მახსოვს ბავშვობაში რანაირათ გვეშინოდა ბალნებს ქალების;არა პაწარა გოგოების ან ნათესავების,არამედ ქმრიანი გარეშე ქალების. გვეგონა მათთან მიკარებაც რაღაცა დიდი მომაკვდინებელი ცოდვაა და გავურბოდით.ეს ქალების ინსტიქტიური მოძულეობა ბევრს დარჩა ახალგაზრდობაშიაც.

ყველა ერთა შორის,რომელთაც კი ვიცნობ,ქალი ნაკლებათ დამონებულია მეტათ პატივცემულია ქართველებში.ყველგან ის ეწევა მძიმე ფიზიკურ მუშაობასაც მამაკაცის გვერდით,ჩვენში კი ქალი მხოლოდ საოჯახო საქმეებს ხედავს,ეზოს იქით არ მუშაობს,ხოლო ეზოშიაც ის მიწას არ აბრუნებს და არ თესავს.ამ საგანზე ქვემოთ.

ქალი ფიზიკურათ სუსტია მამაკაცზე.ამას მოითხოვს ის მთავარი დანიშნულება,რაიცა მას აქვს დაკისრებული.ქალი ძალის მქონე - იქნება მუდამ ცდაში აიღოს მძიმე საგანი,გასწიოს მძიმე მუშაობა,ხოლო ყველა ეს აბრკოლებს დედობას,ბავშვის მუცელში დამაგრებას და დროზე მშობიარობას.აი,ეს მუდმივი ფათერაკი ბუნებამ ერთი დაკვრით მოსჭრა.ქალს არ მისცა არც შესაძლებლობა და არც ხალისი გაუფრთხილებლობით და მამაკაცის აყოლით მუცელი მოეშალოს.ეს მამასადამე ბუნების კანონია,რაც მამაკაცმა გამოიყენა თავის საბატონოთ. ის არ სცნობს,არ ეგუება სიცოცხლის ძირითად კანონს,მაშინ როდესაც ქალის მთელი ფიზიკური და სულიერი აგებულება სწორეთ ამ კანონს ემსახურება.

მამაკაცი გაცილებით უფრო ზრუნავს ოთხფეხა ცხოველის მოშენებაზე,ვინემ ადამიანთა მოშენებაზე.დედაკაცი კი პირიქით,თავის მთავარ საქმეთ სწორეთ ამ უკანასკნელს აღიარებს.პაწარა გოგო თამაშობს დედოფალით,ე.ი.ემზადება ბავშვის სასიყვარულოთ და მოსავლელათ.პაწარა ბიჭი თამაშობს იარაღით,რევოლვერით,უხარია სალდათობა და თოფის ხმარება,ე.ი.ემზადება სიცოცხლის დასაწყვეტათ.ეს ორი ხაზი მოდის ახე თავიდანვე საზოგადოებაში.ქალი ბუნების ღვიძლი შვილია,კაცი მისი მარცხია,გაუგებრობაა,მისი ბუშია.

რაკი ქალი ბუნების პირმშო შვილია,ამ თავის მასთან მჭიდრო ნათესაობას ამჟღავნებს მთელი თავისი სიცოცხლით და მოქმედებით.ის სავსებით მას მორჩილებს და მის მცნებასასრულებს.პირველყოვლისა, მისი მისი ფიზიკური განსხვავება მამაკაცისაგან აშკარაა:მისი სისხლის მოძრაობა სწარმოებს ღიათ,ბუნებასთან დაკავშირებით,ხოლო კაცის სისხლის ბრუნვა წარმოებს გეომეტრიულათ დახურულ მილებში.დახურეთ ქალის სისხლის მოძრაობა ამნაირათ და ის მოისპობა.რაც ერთს აცოცხლებს,მეორეს კლავს.კაცმა რომ ერთ წელიწადს დაკარგოს იმდენი სისხლი,რამდენსაც ქალი თვეში კარგავს,-ფეხზე ვერ დადგება.დედათა სქესი ფიზიკური აგებულებით უფრო ახლოს არის ცხოველთა ასეთსავე სქესთან,ვინემ მამაკაცებთან.ეს ორი სხვადასხვა ბუნებრივი ხაზი მოდის,რომელთა თვითეულის გასწვრივ დგას ორი სხვადასხვა სქესი.

ამ ორ სხვადასხვა ფიზიოლოგიაზე აგებულია ორი სხვადასხვა ფსიქოლოგია.და აქ სწორედ გადაულახავი შეგნების სფეროში,სადაც კაცს და ქალს ერთმანეთის გაგება ეძნელებათ.ქალის მთელი ფსიხიკა,ყველა მისი გამოხატულება ემსახურება ბუნების ძირითად კანონს - დედობას, მშობიარობას.ორივე სქესის სისხლის მოძრაობა იწყება ერთნაირად,მაგრამ როგორც კი ქალი მომწიფდება დედობისათვის,ეს სისხლის მოძრაობა სწრაფად იცვლება,ხოლო კაცში არავითარი ცვლილება არ ხდება.ამ დღიდან ქალის მთელი ძალ-ღონე და აზროვნება მიმართულია ერთი მხრით - გახდეს დედა,ხოლო კაცს ამის ჯავრი არ აქვს და მისი მოქმედების ასპარეზი გადადის უმთავრესად სხვა სფეროებში.სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება აკმაყოფილებს კაცს,მაგრამ ქალს სრულიადაც არა.მისი ფიზიკა,მისი აგებულება მოითხოვს შვილს და თუ ეს არ გაუჩნდა,თავის თავს გრძნობს უბედურად.კაცს კი შვილი აინტერესებს, როგორც მისი გვარის გაგრძელება,ამბიცია,ხოლო მისი ფიზიკა,მისი აგებულება სრულიად არ ითხოვს მას.უშვილობა ქალისათვის დასჯაა,კაცისათვის დროს ტარებაა,-მეტი დარჩება დასახარჯავად.

ახლანდელ დროში ქალთა საკითხის გადაწყვეტა წამოაყენებს ემანსიპაციით,ქალის და კაცის პოლიტიკური გათანასწორებით.ეს,რასაკვირველია,თავის მოტყუებაა.არავითარი იურიდიული ნორმით მისი გადაწყვეტა არ შეიძლება,ვინაიდან მისი გადაწყვეტა საზოგადოთ არ შეიძლება.არ შეიძლება ქალის და კაცის გათანასწორება.მიეცით ქალს ყველა უფლება,-აქედან მისი ძირითადი მდგომარეობა არ შეიცვლება. არ შეიცვლება ის,რომ ის პირველ ყოვლისა დედაა და მას მორჩილებს მთელი მისი ცხოვრება.მრავალ ქვეყანაში სქესთა სრული პოლიტიკური თანასწორობაა.მერმე,რამდენი პოლიტიკური მოღვაწე გამოჩნდა ქალებიდან?შკოლა ხომ საერთო ორივე სქესისათვის,-რამდენი გამოჩენილი მეცნიერი გამოვიდნენ ქალებიდან?სადაც კაცები ითვლება ათასობით,იქ ქალები ხუთ თითზე ჩამოითვლება.რატომ?ვინ უშლის ხელს?უშლის ის, რომ ქალს უფრო დიდი საქმე აქვს გასაკეთებელი,ვინემ პოლიტიკა და მეცნიერებაა,ის აჩენს და უვლის სიცოცხლეს,ე.ი.იმ ძირს,რასაც პოლიტიკამ და მეცნიერებამ უნდა ემსახუროს.აი,ეს უბრალო ამბავი ვერ

გაიგო მამა-კაცმა ღღემღის;ღღემღის მას თავი მოაქვს თავისი პოლიტიკით,მეცნიერებით,მხედრობით და ვერ ამჩნევს მის გვერდით რა დიდი უდიდესი საქმე კეთდება და რის შედეგი თვითონ არის.

ქალს არ შეუძლია თავი გამოიჩინოს რამე სხვა ასპარეზზე,სანამ ის თავის საკუთარ ასპარეზზე საქმეს არ მოათავებს.ყველა გამოჩენილი ქალი გახდენ გამოჩენილნი მხოლოდ მას შემდეგ,რაც იმათ გაათავეს დედობა,აღზარდეს შვილები და შემდეგ გადარჩენილი თავისუფალი დრო მოახმარეს საზოგადო საკითხებს(კიური,სეგური და სხვ.).გაუთხოვარ და უშვილო ქალს არაფერი თვალსაჩინო არ გაუკეთებია.

ქალი ბუნებრივი პაციფისტია;ის ორგანიულად ვერ იტანს,რომ მის მიერ აღზრდილი და დაბადებული შვილი ვინმემ მოკლას.კაცს შეიძლება ყავდეს შვილები,რომელთაც არც კი იცნობს და არც იცის მათი არსებობა.ქალს ხომ არ შეუძლია ყავდეს შვილი,რომელსაც არ იცნობს და არ იცის მისი არსებობა.

როგორც კი ორი კაცი,თუმცა ძმები,კაინი და აბელი,ერთად შეიყარენ,-ერთმა მეორე მოკლა.კაცი ქალთან შედარებით სიცოცხლეს ნაკლებად აფასებს.ამით ის ანტიბუნებრივია,მუდამ ბუნების კანონის წინააღმდეგ აჯანყებულია და ცდილობს თავისი საკუთარი კანონი დააწესოს,რაიცა ქალისათვის სრულიად მიუღებელია.

ქალი სავსებით ემორჩილება ბუნების კანონს,იმყოფება მის მუდმივ გავლენაში,მოძრაობს მის კალაპოტში.კულტურის უპირველესი საფუძველი ბინა,ბინადარი ცხოვრება.ხოლო ბინის გაჩენა გამომდინარეობს ქალის მიუცილებელი მოთხოვნილებისაგან.ეს საქმე რომ კაცის ნება-სურვილზე ყოფილიყო დამოკიდებული,დღესაც კაცობრიობა ტყე-ტყე იქნებოდა გაბნეული და მოარული ცხოვრების მატარებელი.

არის ერთი საბავშვო მოთხრობა კიპლინგის,სახელად:"კატა,რომელიც თავისთვის დადის".სამაგალითო პოეტური ინტუიციით არის აქ მოთხრობილი,როგორ დაიწყო პირველი ბინადრობა.ქალის ორხულად არის,მოაწია მშობიარობის დრო და ეძებს ბინას დასაწოლს.კაზახი იძულებულია აყვეს მას და ორივე ერთად იჩენენ გამოქვაბულში ბინას.ქალი ხდება დე და,კაცი უვლის,ცეცხლს ანთებს,შეშა მოაქვს,ოჯახობა იწყება.ქალს რო

აკლია.საჭიროა რძის მომცემი ცხოველი ბოვშვის საკვებათ.იჭირავენ გარეულ ძროხას,თხას და აშინაურებენ.ერთი სიცყვით,დგება ოჯახი თანამედროვე გაგებით.და ყველა ეს იმიცომ,რომ ქალს სხვანაირათ არ შეუძლია შეასრულოს ბუნების მიერ დაკისრებული მოვალეობა - იყოს დედა და შვილის აღმზრდელი.

კაცს მუდამ თვალი გარეთ უჭირავს,ქალი ოჯახზეა მიკრული,მას არ შორდება.რომის დაარსების შესახებ არის სხვადასხვა გადმოცემა. ერთი გადმოცემით საქმე ასე ყოფილა:ცროიას მცხოვრებთა ერთი გუნდი გამოიქცა თავისი დანგრეული სამშობლოდან და ნავებით გავიდენ ზღვაზე.ეს მოგზაურობა ერთობ გაგრძელდა,ქალებს მოსწყინდათ ეს ხეციალი და ერთ მშვენიერ დღეს მოილაპარაკეს:როგორც კი მივადგებით რომელიმე ნაპირს და კაცები წავლენ სანადიროთ,ჩვენ ნავები დავწვათ და ისინი იძულებულნი იქნებიან დარჩენ ხმელეთზე და ბინა გაიჩინონო. ეს აზრი მოიწონეს ერთი ქალის - რომას - მიერ წამოყენებული და კიდევაც შეასრულეს.კაცებმა ძალიან იჯავრეს და შეუდგენ დასარჩენი ადგილის ძებნას.იქვე ნაპირებთან.დაარსეს რომი(პლუცარქეს გადმოცემით).ამ ლეგენდაში იგივე აზრია:ქალს უნდა მუდმივი ბინა,ის კაცთან შედარებით უფრო შინაური და ბინადარია.ამიცომ რა გასაკვირია ოჯახის გამგე და ბაცონი იყოს ქალი,ხოლო კაცი განიდან დამხმარე.ეს ასე ესმოდათ ძველათ,ასე აღარ ესმით ახლა.ახლა თანასწორობაა და ეს გამოიხაცა იმაში,რომ პაცივისცემა ქალის დაიკარგა.მე ჩვენში არასოდეს არ გამიგონია,არც წამიკითხავს - კაცს ქალი მოეკლას.აკაკის თავის"თამარ ცბიერში"ღიღებულათ აქვს გამოხაცული ქართველი კაცის შეხედულება ქალზე.როცა შეთქმული შედის დედოფლის მოსაკლავათ მის ოთახში,უცებ მოაგონდება,რომ ეს მოსაკლავი ადამიანი ქალია და ხმალი ხელიდან უვარდება,-ქალი როგორ მოვკლაო! ახლა კი მაგ.საფრანგეთში კაცები ისე კლავენ ქალებს,როგორც ბედურებს.

ქალი მოკვდა - დედა დაიკარგა.მას შეუძლია შვილი გააკეთოს წელიწადში ერთხელ.მამაკაცს კი შეუძლია ასჯერაც.მაშასადამე,ადამიანის მოშენების საქმეში ქალს უჭირავს განსაკუთრებული მდგომარეობა,ის

კაცზე უფრო საჭირო და მოსაფრთხილებელია.თანასწორობა გამოიხატა მისთვის ღირსების აყრაში.მახსოვს ამ 40 წლის წინეთ,როცა პარიზში ვიყავი,ტრამვაიში კაცი ქალს აუდგებოდა და ადგილს დაუთმობდა.ახლა არაფერი ამის მსგავსი.ნამდვილათ კი ქალს ფიზიოლოგიურათ დგომა არ შეუძლია,როგორც კაცს,როგორც ტვირთის ზიდვა არ შეუძლია მასავით.
მინახავს ვოგზალზე ქალი ძლივს მიათრევს უშველებელ ჩემოდანს;კაცები ჩაუვლ-ჩამოუვლიან შორიდან.ერთხელ პარიჟის ვოგზალზე გამაცილა ზენია ჩხიკვიშვილმა,დაინახა ქალი ჩემოდნით.გამოართვა ხელში და ჩაუტანა ვაგონში,რამაც გამოიწვია საერთო განცვიფრება,პირველ ყოვლისა ჩემოდნის პატრონის.ზენიას ქართული ჟესტი გაუგებარი დარჩა.(ეს იყო 1923 წელს).

ქალი უმთავრესად ბუნების შვილია,კაცი საზოგადოების.როცა ეს ორ სათავე ერთ ხაზზე არის აწყობილი,ე.ი.როცა საზოგადოება აფუძნებს თავის წესებს თანახმად ბუნების,მაშასადამე ურყევის,წესებისა - სქესთა შორის მეტი ჰარმონიაა.წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ჰარმონია ინგრევა და მათ შორის ბრძოლა მწვავდება.დღეს ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელ პერიოდში ვიმყოფებით.ქალი ერთ ნაპირს,-ნაპირს უუფლებობისას,-მოშორდა,მაგრამ დაეკარგა პატივისცემა და ფასი.უფლება,თანასწორობა ეხება მას,როგორც მოქალაქეს,როგორც ადამიანს,მაგრამ სრულიად არ ეხება მას როგორც დედას,როგორც ქალს.აქ არავითარი თანასწორობა არ შეიძლება იყოს.ორივე სქესს მის-მისი ადგილი აქვს მიჩენილი ბუნებისგან და მის მიჯნას ვერავინ გადაშორდება.

რომაელებს ცოლ-ქმრობა მიაჩნდათ საშუალებათ შთამომავლობის გაგრძელების და ამისდაგვარად იყო აწყობილი მათ შორის დამოკიდებულება. ცოლი იყო სრული გამგე ოჯახის,მისი საშინაო მინისტრი.ქმარი კი საგარეო საქმეთა გამგე.ეს აზრი და შეხედულება გადმოვიდა საშუალო საუკუნეში და ის შეითვისა უმთავრესად თავად-აზნაურობამ.ამ აზრს გადმოჰყვა ქალის პატივისცემაც.ბურჟუაზიამ ეს საქმე ვაჭრობის საგნათ გახადა და გაათავა იმით,რომ ქალი გაძოცხადდა არა შვილის,არამედ სიამოვნების წყაროთ.ქალი ჩამოქვეითდა უბრალო ნივთამდე,სამკაულამდე,რომელიც თურმე გაჩენილია კაცების სასიამოვნოთ და თვითონაც

ისიამოვნოს.

მთელი ეს ახალდროის სქესობრივი დამოკიდებულება გამოცხადებულია "კერძო საქმეთ",ორ პირთა ნება-სურვილად,რაზედაც საზოგადოებას ხელი არა აქვს.მაგრამ ასე საკითხის დაყენება მიმართულია საზოგადო ინტერესის,ისე როგორც თვითეული ოჯახის წინააღმდეგ.თუ საზოგადოება შესდგება ოჯახებისაგან,ცხადია მათი ინტერესი საერთო ინტერესია და მთელი ვალდებულია უწინამძღვროს კერძოს.საზოგადოება დიდათ დაინტერესებულია ის შედგებოდეს ხალი,ჯანმრთელი,ტახალი,ლამაზი,უნაკლო პირებისაგან.ადამიანი გავდეს ადამიანს და არა მაიმუნს.ყველა ხალხებში,რომელთაც მე ვიცნობ,აი ეს თვისება დღემდის შეინახა ქართველობამ: ახეა საერთო აღიარებული,ყველა გეოგრაფიაში წაიკითხავთ:ქართველი ქალი ულამაზესი ქალია.მაგრამ ამ რასის დაცვა მოხდა დედის დაცვით. ჩვენში თავიდანვე ქალს ჰქონდა უპირატესობა კაცის წინაშე:თვით ქართული ენა ნათლად ამოწმებს ამ თვისებას.ყოველთვის,როცა ორივე სქესია დასახელებული,პირველად სახელდება უეჭველად ქალი,შემდეგ მოდის კაცი. იტყვიან:ქალ-ვაჟი,დედ-მამა,ცოლ-ქმარი,და-ძმა,-არასოდეს პირუკუღმა. ყველა სხვა ხალხებში სწორედ პირუკუღმაა.ქალი მუდამ იყო ოჯახის გამგე,როგორც რომში,მას ეკითხებოდა მთელი შინაური დაწყობილება,ბავშვების მოვლა-პატრონობა,თავისუფალი იყო ფიზიკური შრომისაგან.პირველს ქალს აღდეგრძელებდნენ წვეულებაში,-რა დიდი პიროვნება არ უნდა ყოფილიყო წვეულ მამაკაცებს შორის.მშობიარობის დასვენება გრძელდებოდა 40 დღე,რომლის განმავლობაში ქალი ფეხს არ დაადგამდა იატაკზე.ეს იყო იმავე დროს დიდათ ჰიგიენური ჩვეულება,რის გამო ქალის ავადმყოფობა იშვიათი იყო.ახლა,ბოლშევიკური ველურობის დროს,რამდენად ეს შეინახა - ვერ ვიტყვი,მაგრამ ვფიქრობ საუკუნეებით განმტკიცებულ წესებს სავსებით ვერ ამოაგდებდენ.

ჩვენში ყველაზე უფრო ტანადი და ლამაზი ხალხი გამოდიოდა იმ პროვინციიდან,სადაც ქალი უფრო პატივცემულ მდგომარეობაში იყო.ახეთია დასავლეთი საქართველო.აქ სოფლებში სავსეა ქალ-ვაჟებით,რომელთა მსგავს დასავლეთ ევროპის სოფლებში ვერ შეხვდებით.საფრანგეთის ყველა კუთხე მაქვს დავლილი და მხოლოდ ერთხელ შევხვდი გლეხის ქალს

მართლა თვალ-ტანადიანს,მარშან სოფელ ლატიუდში,ხოლო მისი მსგავსი
ჩვენში ყოველ ფეხის ნაბიჯზეა.

ქალის პატივი მომდინარეობს შვილის პატივისაგან,ე.ი.იქ სადაც
შვილის და კარგი შვილის ყოლას დიდათ აფასებენ,მას ნატრულობენ,მას
შეტრფიან,-იქ ქალი პატივშია,იქ მისი ავტორიტეტი დიდია.ახეთი ქვე-
ყანა იყო უეჭველათ საქართველო.იქ სადაც შვილი ეყოლება თუ არა ფას
არ აძლევენ,იქ ქალსაც ფასი არა აქვს.ახლა ლამაზ ქალს ეძებენ არა
ლამაზი შვილისათვის,არამედ სიამოვნებისათვის.მოდგმის გაგრძელების
საკითხი სავსებით შეიცვალა დღეს.პატარა ერისათვის მაინც ამას უდი
დესი მნიშვნელობა აქვს.ახეთი გაევროპიელება ქართველ ერს დიდ საში
შრომას უქადის.ქალს პატივს სცემდენ არა მარტო მამაკაცები;მთავარ
ის,რომ ის პატივს სცემდა თავის თავს თვითონ.მას თავი ამაყათ ეჭირ
ახირებულათ ვერავინ შებედავდა;მან თავისი ფასი და ღირსება იცოდა,
თავმომწონეობა არ აკლდა.მაგრამ ამავე დროს არ იყო ეგოისტი,თვით-
მოყვარეობით შეპყრობილი.ის ითხოვდა პატივისცემას,როგორც ქალი,დედ
მეოჯახე,შთამომავლობის სათავე.პატივი ჰქონდა,რასაკვირველია,გათხო
ვილს,ქმარ-შვილიანს,გაუთხოვარი რჩებოდა ამ პატივის გარეშე.ის საზ
გადოების წევრი არც კი არის,ბოვშვების რიგებშია გადარიცხული.მას
მამაკაცების წინ არც კი ადღეგრძელებდნენ.გაუთხოვრობა უბედურობაა,
ცოდვაა,გათხოვება ღვთის საქმეა.ჩვენში გაუთხოვარი ქალის დაბერება
ხდებოდა მხოლოდ მონასტერში,მოლოზნობაში და არა სამოქალაქო საზოგა
დოებაში.

ქალი დედობისათვის არის გაჩენილი.ამ ბუნების კანონს თითქოს ეწ
ნააღმდეგება მამა-კაცის გაჩენა,რიცხვით დედაკაცთა თანასწორი.ზოოლ
გიური თვალსაზრისით მამობისათვის საკმარისია მათი ნახევარიც,40-5
ქალზე ერთი კაციც.მაგრამ აქ მუშაობს მეორე კანონი - კანონი არა მ
რტო გაჩენის,არამედ შენახვისაც.რაკი ქალს არ ძალუძს ერთ და იმავე
დროს იყოს დედა,აღზარდოს შვილები და თავიც ირჩინოს,ცხადია ეს რჩე
ნის საქმე უნდა იკისროს ვინმე მეორემ - ეს არის მამა.ის მოწოდებუ
ლია ცოლს და შვილებს მიაწოდოს საკვები მასალა.ამიტომ ბუნება მათე
მატიკური სისწორით ბადებს ორივე სქესს თანასწორათ - ერთ ქალზე ერ

ერთ კაცს.როცა დიდ ომში საფრანგეთმა დაკარგა ორი მილიონი მამაკაცი და ამით დაირღვა სქესთა რიცხვის თანასწორობა,მოხდა საოცარი ამბავი: საშინლად გამრავლდა ბიჭების დაბადება,დიდათ გადააჭარბა ქალებისას და ამით ათ წელში აღდგენილ იქნა წონასწორობა.

ქალის მუშაობა ყანაში და ფაბრიკაში სავსებით ანტიბუნებრივია, არღვევს სავსებით გამრავლების და შენახვის საფუძველს.

როცა შრომა იყო გაყოფილი თანახმად ბუნების წესისა - ქალი მე-ოჯახე და დედა,ხოლო კაცი გარეთ მომუშავე და შემომტანი - მაშინ მათი ურთიერთობა და ერთი მეორის გაგება ნორმალური და გაადვილე-ბული იყო.

ხოლო დღეს,როცა ეს შრომის განაწილება დარღვეულია,ქალი შემომ-ტანათ გადაიქცა,მათი ურთიერთობა აირ-დაირია,ერთიმეორის გაგება გაძნელებულია.

წუხელის (8.9.)მქონდა ლაპარაკი ჩემს სასტუმროში მდგომი ფრან-გის ქალთან ქალების მდგომარეობაზე საფრანგეთში.მან მითხრა(მას-წავლებელია):ჩვენში ქალს დაეკარგა წინანდელი პატივი.ამის მიზეზია ის,რომ ქალი მუშაობს ყველა იმ დარგში,სადაც კაცებიც მუშაობენ. უკანასკნელნი მათში ხედავენ კონკურენტს,ეპყრობიან როგორც საიდან-დაც მოთრეულს,მოწინააღმდეგეს.ქალი თავის მხრივ ასეთივე აგდებით უპასუხებს.ცოლი და ქმარი ოჯახიდან გადიან ერთად,მიდიან სხვადა-სხვა სამუშაოზე,მოდიან ერთდაიმავე დროს:ოჯახი აღარ არსებობს,შვი-ლი ან არ ჰყავთ,ან ღვთის ანაბარათაა.ცოლ-ქმრობაც მოშლილია.თვითე-ული გან-განზე იჩენს კავშირებს.ამას უძახიან ემანსიპაციას,ჩემის აზრით კი ეს არის ქალის ახალი დაყმობა და უკან დაქანება...

და მართლაც ოჯახს გაექცე და ფაბრიკანტს დაეყმო,-ვერაფერი ემან-სიპაციაა.მაგრამ ეს პროცესი აქ ევროპაში ხდება სტიქიურათ.ჩვენში კი შეგნებულათ,გაპლანულათ ბოლშევიკების მიერ.

როგორც ზევით ვთქვი,ოჯახი,ე.ი.მუდმივი ბინა ქალის გამოგონებუ-ლია,ეს მისი ასპარეზია.კაცი მის გარეთ მუშაობს,აწყობს თავის თუ სხვების საქმეს და ამ გზით მხარში უდგას ქალს ოჯახში.შრომის ამ-გვარი გაყოფის შენგრევა,არევა და გზაჯვარედინზე გაჩერება არის

მთავარი წყარო საოჯახო უსიამოვნების,ქალის და კაცის ურთიერთობის გამწვავების.ოჯახი რაც უფრო ახლოს დგას ბუნებასთან და მის პირდაპირ გავლენას განიცდის,მით უფრო მთლიანია ის,მით ნაკლებია ცოლ-ქმარის კონფლიქტი.

ეს ნიშნავს იმას,რომ ქალს უნდა ეკითხებოდეს მარტო ოჯახის შინაური საქმე,ხოლო საზოგადო საქმეში ჩარევა მის კომპეტენციას აღემატება.საზოგადოება ოჯახთა კრებულია.როგორათაც არის ის აწყობილი,ისეთია მისი შემადგენელი ნაწილებიც.ოჯახი თუ იშლება - იშლება საზოგადოების მიერ,დუხჭირი საზოგადო წყობილებით.ცხადია,ქალს ეს საქმე დიდათაც ეკითხება.სწორედ მისი მოწოდებაა ოჯახი დაიცვას საზოგადოების მოწესრიგებით,მის დამარღვეველ მოვლენებთან ბრძოლით. ქალი და კაცი თანაბარი პოლიტიკური უფლების მქონეა.აქ დაბრკოლებაა მხოლოდ ქალის მოუცლელობა,მისი ბუნებრივი მოვალეობის შესრულება. ამით სარგებლობს კაცი და მის ჭკუაზე მიჰყავს მთელი კოლექტივი.

ქალის უფლების ნამდვილი დაცვა ნიშნავს ოჯახის დაცვას,მისი მთავარი ახპარეზის შენახვას.

ბევრ ქალს უხარია,რომ მას შეუძლია"დამოუკიდებლად"ცხოვრება,ე.ი. თვითონ თავისი შრომით ირჩენს თავს და ქმრისაგან არას ილებს.ამას უწოდებს ის"ემანსიპაციას",თითქოს ცოლი ქმრისაგან სამოწყალოს ღებულობდეს,დაუმსახურებელ ჯილდოს ამარა იყოს.ნამდვილად კი მდგომარეობა ასეთი ბრიყვული არასოდეს არ არის.ოჯახის ქალის შრომა ფულით ვერასოდეს ვერ ანაზღაურდება.ქმარი ცოლს ვერაფრით ვერ დააყვედრის, თუ ორივე მშრომელია,რასაკვირველია.ცოლი უმუშიერი,უსაქმო,მოსამსახურეებით გარშემორტყმული და მხოლოდ თავის სიამოვნებაზე მზრუნავი, -აი,ასეთი ცოლი უფრო გავს ხასას და ის მართლაც მუქთად ღებულობს ქმრისაგან საცხოვრებელ წყაროს.ცოლი - ხასა,ცოლი - ოჯახის ქალი,- ეს ორი სრულიად სხვადასხვა ტიპისაა,ორივე სხვადასხვა წრის და კლასისაა.და სწორედ დღეს გარეთ მუშაობს,"დამოუკიდებელია"არა ცოლი-ხასა,არამედ ცოლი-ოჯახის ქალი,ღარიბი და შეუძლო.

1-ლი აგვისტო,1936 წ.

სწორედ წელიწადია,რაც ამ რვეულისათვის ხელი არ მიმიკარებია. პარიზში მუდამ დრო არ მაქვს ამ შორეული ამბებისათვის.დღეს ისევ სააგარაკოთ ვარ,დროც მაქვს და ვაგრძელებ.

===============

როგორც ზემოთ არის ნათქვამი,საზოგადოების ძირითადი უჯრედი არის ოჯახი,ხოლო ოჯახის მთავარი ბურჯია ქალი.ამის მიზეზია ქალის როლი მოდგმის გაგრძელებაში.ეს ბუნების ძირითადი კანონი მასში უფრო ძლიერია,ვინემ კაცში.ამით აიხსნება ის,რომ ქალი სიამოვნებით კისრულობს ამ მოვალეობის სარულებას,-შვილის დაბადებას და გაზრდას. თვით ეს პროცესი ისეთი მძიმე და მტკივნეული მოვლენაა,რომ ქალი, არას შემთხვევაში მას არ მიიღებდა თავის თავზე,რომ ის იყოს მიშვებული თავისუფალ არჩევაზე.მაგრამ სწორედ ეს ნების თავისუფლება ამ სფეროში მას არ აქვს,ვინაიდან მასში მუშაობს გაცილებით უფრო იმპერატიული და აუცილებელი მოთხოვნილება შვილოსნობისა,რასაც მისი მთელი ფიზიკური და სულიერი არსება ყავს დაპყრობილი და მისი ნებისყოფა დამორჩილებული.არ არის ისეთი უშვილო ქალი,რომელიც შვილს არ შენატროდეს.მამაკაცი კი სავსებით თავისუფალია ამ ვალდებულებისაგან.მისთვის სქესობრივი კავშირი არის სიამოვნების საკითხი და არა შვილოსნობის.მართალია,მას სურს ყავდეს შვილი,მაგრამ ეს სურვილი არ გამომდინარეობს ფიზიკური აუცილებლობისაგან,მისი ორგანიზმის სასიცოცხლო მოთხოვნილებისაგან;მას ყავს თუ არ ყავს შვილი,-ამით მისი ჯანმრთელობა ოდნავათაც არ იცვლება,მისი სისხლის მოძრაობა ოდნავათაც არ ბრკოლდება.მას შვილი სურს სხვა მოსაზრებით,უფრო სოციალურის და ოჯახურის,როგორც გვარის გამგრძობი,ქონების შემნახველი,მისი სახელის მატარებელი და სხვა.ამიტომ ყველა მამაკაცს უხარია შვილი-ვაჟი,ქალის დაბადება კი ფათერაკია.ის აქ პირდაპირ ეწინააღმდეგება ბუნებას,რომლისათვის მთავარია ქალი,როგორც გამრავლების ბაზა.ხოლო კაცი კი სელქვეითის როლშია.ამ საქმეში ერთი კაცი მრავალ ქალზე სრულიად საკმარისია და თუ ბუნებამ მაინც გააჩინა

ორივე სქესის რიცხვის დაახლოებით თანაბრობა,ამის მიზეზია მოდგმის გაგრძელების ერთი საჭიროება - ქალს,დედას ეჭირვება დამხმარე შვილი გაზრდაში,კვებაში,მოვლა-პატრონობაში,დაცვაში,ბუნებასთან და ადამიანებთანბრძოლაში,ლონის და მუშაობის ყველა დარგში.

საზოგადოებანი იშლებიან,სახელმწიფონი ირღვევიან.ადამიანთა შემაერთებელი ყველა პოლიტიკური თუ ეკონომიური ძაფები იგლიჯება.ადამიანები იფანტებიან,აქეთ-იქით მიდი-მოდიან.ამ საერთო ქაოსში მხოლოდ ერთი პატარა ასოციაცია რჩება დაურღვეველი,გადაუშენებელი,გაუმქრალი - ეს არის ოჯახი.ის მუდმივია,ყველგან ჩნდება,ყველა პირობებში არსებობს.ეს უჯრედი გამძლე,უკვდავია.რისთვის?იმიტომ რომ ის არის აგებული ბუნების ძირითად კანონზე - გამრავლების აუცილებლობაზე,მაშასადამე სისხლის ერთობაზე.სისხლის კავშირი ყველა კავშირზე უძლიერესია.

ადამიანთ აერთებს პირველ ყოვლისა ჩამომავლობა,სისხლის ნათესაობა.ეს შემაერთებელი ძაფი რჩება ძირითად კავშირად ყოველნაირ საზოგადოებაში - განათლებულში თუ ველურში,ცივილიზაციის თუ ბარბაროსულ მდგომარეობაში.მაგ საფრანგეთში,რაც უფრო ვეცნობი ამ ხალხს,მით უფრო ვხედავ,რომ მიუხედავათ თვითეული პირის ეგოიზმისა,თავისთავზე ფიქრისა,თავის ოჯახზე ზრუნვისა,-კავშირი,მიმოსვლა,ჭირში და ლხინში ერთად ყოფნა აბვთ,-მხოლოდ ნათესავებთან.გარეშე ამ წრისა,ძალიან შორს არიან,კაფეში და მიტინგზე თუ შეხვდებიან,ხოლო ოჯახში ნათესავებს ღებულობენ.

ცხადია ბუნების საზრდანებლიდან ვერ გამოდის ვერც ერთი საზოგადოება,რარიგ რთული და წინწაწეული იყოს ის.რასაკვირველია,ოჯახური წყობა სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა სახის და ძალისაა.ქართველებში ის გაცილებით უფრო ძლიერია,ვინემ ფრანგებში.ჩვენ კიდევ არ გამოვსულვართ გვარის რკალიდან,საერთო შთამომავლობის ურთიერთობისაგან.ეს ამაგრებდა და ამაგრებს დღეს ჩვენს ერს,მიუხედავათ მახზე მოწოლილი მუდმივი დამარღვეველი ელემენტებისა.მახზე გრიგალივით გადაიარდა მრავალნაირი ურდოები,მრისხანე შემოსეული ლაშქრები,წაილებდაყველაფერს,წალეკავდა ყოველივეს,მაგრამ ვერ წალეკავდა ძირით

ასოციაციას - ოჯახს და გვარს და ესენი ერთიმეორის დახმარებით ისევ ფეხზე დგებოდნენ,-ერი არ კვდებოდა.

რაკი ოჯახს ასეთი დიდი ადგილი უკავია ადამიანთა ცხოვრებაში, ცხადია მისი აწყობა და დაწყობა უნდა შეადგენდეს მათ მთავარ საზრუნავ საგანს.როგორ დგება ოჯახი?

ძველად ეს საკითხი იდგა საზოგადოების ცენტრში.ვინაიდან ოჯახის საშუალება მოდგმის გაგრძელების,მასზე პირველ ყოვლისა ზრუნავდნენ ამ საქმეში დაინტერესებულნი - ახალგაზრდის დედ-მამა,შემდეგ მათი ნათესაობა,ბოლოს საზოგადოება.შეუსრულდებოდა თუ არა შესაფერი ასაკი შვილს,მშობლები შეუდგებოდნენ მისთვის მეუღლის გამონახვას.პირველად მიაქცევდნენ ყურადღებას კანდიდატის გვარს,ე.ი.ჯიშს,შემდეგ მშობლების ვინაობას,-რა ფიზიკური და ნივთიერი შეძლების არიან, შემდეგ თემს,-რომელ თემს ეკუთვნიან.ყველა ამ ცნობების მოკრეფის შემდეგ გაიმართებოდა მოლაპარაკება მოსაშუალეთა საშუალებით.თვით შესაუღლებელთ არავინ არაფერს ეკითხებოდნენ,თითქოს მათ ეს საკითხი არც კი ეხებოდათ.ისინი იყვნენ დასახულნი იარაღად,გზად და ხიდად მთავარი მიზნის მისაღწევად,ახალი ოჯახის შესაქმნელად.მათი პირადი აზრი,სიამოვნება თუ განწყობილება არავითარ როლს არ თამაშობდა,ვინაიდან ოჯახის დაფუძნება ეხებოდა პირველ ყოვლისა მშობელთ,მოდგმის გაგრძელების მთავარ მეთვალყურეთ.აქედან იშვა საერთო სიხარული ქორწინებაში,ყველა ხარობდა ახალი ოჯახის შემატებით - დედ-მამა, ნათესავები და ბოლოს საზოგადოება,რომელიც საჯარო აქტის შეყენებით ამ საქმეს ადასტურებდა და მით თავისთავზე მისი დარაჯის როლს დებულობდა.ამ სახით მიდიოდა კაცობრიობა ათასი წლობით,თავიდანვე.

ახლა,ცივილიზაციის ხანაში,ეს სახე შეიცვალა;ოჯახის ინტერესი ჩამოქვეითდა,მისი დაფუძნება არ იწვევს შესაფერ ინტერესს.ოჯახის მაგიერ წინ წარსდგა შესაუღლებელთა პირადი სიამოვნება.ამ საქმეში მთავარი როლის თამაში იწყეს ქალ-ვაჟმა.დაიმალა თეორია და პრაქტიკა სიყვარულის,როგორც უმთავრესი მოტივი ქორწინებისა.ამიტომ ამ საქმეში დედ-მამა,ნათესაობა,საზოგადოება არაფერ შუაშია.ყველაფერს სწყვეტენ ორი შეყვარებულნი.მოდგმის გაგრძელება,შვილოსნობა,შვილე-

ბის აღზრდა და სხვა ქორწინების მოტივი არ არის,ეს არის შედეგი და არა მისი მიზეზი;მთავარია სიამოვნება და თუ ამას მოყვება კარგი შედეგები – მით უკეთესი,ეს შემთხვევის,ბედის საქმეა.

ამიტომ ოჯახის დაშლაც გაადვილდა.თუ ცოლ-ქმარის სიყვარული შენელდა,გაქრა,ან თუ სხვა ვინმე გადაეყარენ და შეუყვარდენ,ერთმანეთს შორდებიან,მამა შვილებსაც ტოვებს,ცოლი ოჯახს და ვიღაცას მისდევს.რაკი ოჯახს დაეკარგა პატივისცემა,დაეკარგა ის მის მთავარ აგენტს – ქალს:ქალი კარგავს ძველებურ დარბაისლობას,საერთო პატივისცემას,რომაულ მატრონობას და გახდა მამა-კაცის სიამოვნების ამყოლი.ე.ი.შეუღლება გადაიქცა სქესობრივი სიამოვნების საშუალებათ;ამით პროსტიტუციის ატრიბუტები შეითვისა ადამიანებმა, ოჯახი გახდა პაემანის სახლათ,რაიცა გრძელდება სიამოვნების მილების და გვარად – კვირეობით,თვეობით,წლობით თუ სამუდამოთ,იმის და გვარათ,თუ როგორ ასიამოვნებენ ორი ადამიანი ერთმანეთს.

რაკი ქორწინების საკითხი ასე გამოიცვალა,თან უნდა გამოცვლილიყო ოჯახის როლიც:ის უნდა ჩამოქვეითებულიყო ანდა მთლათ გამქრალიყო.ეს კი არ მოხდა,ვერც მოხდება,ვინაიდან მის ალაგას ვერავითარი ასოციაცია ვერ დაიჭერს.ბუნების კანონს ადამიანის აზრუნდი ვერ აუქმებს.სისხლითი კავშირი რჩება მთავარ კავშირათ,ოჯახი მთავარ უჯრედათ საზოგადოებაში.მაშასადამე წარმოებს ოჯახის გზა-კვალის გამრუდება,მისი მნიშვნელობის ხელოვნურათ დადაბლება,მასთან ბრძოლა და მით ბრძოლა საზოგადოების აწყობილ ურთიერთობასთან.

ქართველებს ჯერ კიდევ ყველაზე უფრო შერჩათ ოჯახის ძველებურათ გაგება,თუ ბოლშევიკებმა ესეც არ აურიეს.რასაკვირველია,არც ქართველი ქმარია დაცული გატაცებისაგან,გარეშე ქალი მასაც მოეწონება,მაგრამ ეს მოწონება და მასთან სქესობრივი კავშირი დროებითი და წარმავალია,ოჯახს სრულიად არ არღვევს.ფრანგი,რუსი და სხვა ასეთ შემთხვევაში ოჯახიდან გარბის,მას სტოვებს და მისდევს ვიღაცა უცებ მოწონებულ გადამთიელს.პირადი სიამოვნება მისთვის ოჯახის ინტერესებზე მაღლა დგას.მეორე მხრით,ოჯახი შენდება კომერციულ მოსაზრებებზე:თხოულობენ არა ქალს,არამედ მზითვს,ფულს.

ამ დღეებში ერთმა ფრანგის ქალმა მოკლა თავისი რძალი იმისათვის, რომ ის უმზითვოთ წაყვა მის შვილს;-უმზითვო ქალი არ უნდა გათხოვდესო,-განაცხადა მან.მართალია,მზითვი ძველათ იცოდენ,მაგრამ პირველ რიგში აყენებდენ ქალის ჩამომავლობას,მის გარეგნობას, გაზდილობას და შემდეგ მზითვს.ახლა კი ოღონდ მზითვი იყოს ხარფიანი და კოჭლი იყოს არ დაგიდევენ.ასეთი ქორწინება თავდება მეორე,საიდუმლო ოჯახის შექმნით ქმარის მიერ,რაც საფრანგეთის საზოგადოებაში მიღებულია კანონივით.

ოჯახის დაარსების საკითხი ძნელი გადასაჭრელია.ის მეტათ რთული ამოცანაა.ორი სრულიად სხვადასხვა ადამიანის შეერთება და ერთ საოჯახო უღელში შებმა ისე,რომ უღელი ერთ-ერთმა ან ორივემ ერთად არ გამოტეხოს და აწყობილი საქმე არ დაანგრიონ,-არ არის ადვილი და არც რაიმე წესის დადგენა შეიძლება ამ საკითხის გადასაჭრელათ.შეიძლება მხოლოდ რამდენიმე დებულების წამოყენება:ოჯახი მით უფრო კარგათ აეწყობა,რაც ცოლს და ქმარს ერთმანეთის უკეთ ესმით,მეტი ურთიერთშორისი პატივი აქვთ და ერთიმეორეს აფასებენ.ამისათვის საჭიროა ორივე იყვნენ წევრნი ერთი და იგივე საზოგადოების,მაშასადამე,დაახლოებით ერთნაირ ზნე-ჩვეულებაში აღზრდილნი,ერთი კულტურის და მოდგმის შვილნი,საერთო წარსულის და აწმყოს მატარებელნი.ეს ეროვნული ბაზა არ უნდა გადაიქცეს უეჭველათ სოფლურ და პროვინციალურ ბაზათ.გურიაში ჩინებული ჩვეულება აქვთ:არ იწერენ ჯვარს ერთი და იგივე გვარისანი,არც ერთი და იგივე სოფლის მცხოვრებნი.ურჩევნიათ ქალი მოიყვანონ შორიდან,უფრო ხშირათ სამეგრელოდან ან სხვა კუთხიდან,რომ არ მოხდეს რაიმე გზით სისხლის შერევა.ერთი ნაციონალური კულტურის ფარგალში რაც შეიძლება შორიდან დაქორწინებულნი ოჯახის არსებობის საუკეთესო პირობაა.

ოჯახის არსებობაში ყველაზე უფრო ძნელი ამოცანაა ამ ორი შეუღლებული ადამიანის ერთმანეთთან მოწყობილათ და თანხმობით ცხოვრება.რაც უფრო ისინი ახლოს არიან ზნე-ჩვეულებით,შეხედულებებით,საერთო აზრებით და ხასიათის თვისებებით,მით უფრო გაადვილებულია მა-

თი ერთობა.ჩვენს დროში ამას ემატება პოლიტიკური და ნაციონალური აზროვნების ერთიგივეობაც.მაგრამ ყველა ეს კალაპოტია,საერთო ატმოსფეროა,ხოლო ოჯახის საქმე კიდევ სხვაა,იგი მდგომარეობს ოჯახის ნივთიერ შენახვაში,ბავშვების აღზრდასა და წინამძღოლობაში,მტერ-მოყვარეებთან დამოკიდებულებაში,ოჯახის,როგორც საზოგადოების წევრის ყველა დაკისრებული როლის ასრულებაში.

ცოლ-ქმრობის ურთიერთობა საუკეთესოთ იხატება ერთი ქართული სიტყვით,რომლის მსგავსი არც ერთ,ჩემ მიერ ნაცნობ უცხო ენაზე არ მოიპოვება.ეს სიტყვაა - მეუღლე,მეუღლება,ე.ი.ორი პიროვნების ერთ უღელში გაბმა.ე.ი.ჩვენს ხალხს წარმოდგენილი აქვს დაოჯახება არა როგორც საქეიფო და საარალ-თარალო საშუალება,არამედ როგორც უღლის თავის თავზე დადება,ე.ი.როგორც მძიმე,სერიოზული საქმე,რასაც უნდა გაუძლვენ მეუღლებულნი.ასე უყურებს ჩვენი ერი ამ დიდ საჭირბოროტო საკითხს,და ეს შეხედულება სავსებით ეწინააღმდეგება თანამედროვე გაადვილებას და გაყაზილარებას ქორწინებისას.

რაკი ოჯახი ორი ადამიანის საერთო საქმეა,ცხადია ამ საქმის წაყვანა უვნებლად და სარგებლით მათი მიზანი უნდა იყოს.როგორ?-ორ მეთაურს საქმე ვერ ითმენს.ყველაფერს ეჭირვება წინამძღოლი ერთი. რომელი მათგანი?ქმარის გაკეთებული ცოლს არ მოეწონება,ცოლის კიდევ ქმარს და შეიქნება მათ შორის მუდმივი აყალმაყალი.ამ საკითხს ჩვენი ხალხის ჩვეულება წყვეტს მიზანშეწონილათ.მათ შორის იყოფა შრომა და თვითეულ დარგში ამ დარგის მეთაურია სუვერენი.ჩვენს ოჯახში ასე იყო აწყობილი:დედა-ჩემი განაგებდა ოჯახის ყველა შინაურ საქმეებს,გარდა ბაღჩისა და რქიანი საქონლის მოვლისა:როგორც მძიმე სამუშაო ეს იყოკაცის საქმე.მისი დარგი იყო სადილ-ვახშამის გაკეთება,სახლის დალაგება,სტუმარ-მოყვარის მიღება,ფრინველების მოშენება,ძროხის მოწველა და ყველის გაკეთება,ჭრა-კერვა,ბავშების მოვლა,ყველა შინაური საქმიანობა.მამა-ჩემის დარგში შედიოდა:ყანა,ბაღჩა,ვენახი,რქიანი საქონელი,ყველა საგარეო საქმეები.ის იყო ოჯახში მთავარი შემომტანი,დედა მომხმარებელი.არასოდეს არ მინახავს და არც გამიგონია დედ-მამაჩემის ერთმანეთშორის უსიამოვნება,ჩხუ-

ბი და აყალ-მაყალი,თუმცა დედა მეტად ნერვებიანი და ხუსტი იყო. ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნების ცხრა მეათედი მოდის სწორედ შრომის არევ-დარევის ნიადაგზე.ქმარი მუდამ ერევა ცოლის საქმეში, ცოლი ქმარის,ხოლო მათი გაგება და მეთოდი სრულიად არ წააგავს ერთი მეორეს.

ქმარი ვერაფერს ვერ გააკეთებს ისე,რომ ცოლს მოეწონოს და პირიქით და საკითხი თუ ამ ნიადაგზე დადგა,თუ მოსაწონ-დასაწუნებელი გახდა,თანხმობა არასოდეს არ ჩამოვარდება.ერთადერთი გზაა - ერთი-მეორის მუშაობაში ჩაურევლობა,სანამ რასაკვირველია,ოჯახის უმაღლესი ინტერესი არ ილახება.

ასე აწყობილი საქმიანობა,ქმნის რა თანხმობას,ახანგრძლივებს ერთი-მეორის სიყვარულს და მაშასადამე ხელს უწყობს მეორე დიდ საქმეს - მოდგმის გაგრძელებას.ქორწინება ნიშნავს ამ საქმის ერთი-მეორის ერთგულებით წარმოებას;ეს საამხანაგო-საოჯახო შეერთებაა.აქ მარხია ინტერესი არა მარტო მათი,არამედ მათი წინაპრების,რომელთა სისხლი მათში ჩქეფს და გადადის მათი გზით შთამომავლობაზე.ამიტომ ყველა ხალხში ამ საქმისადმი ღალატი,ჩუმათ სისხლის არევა,სხვისი შვილის თავის ქმარის შვილათ გასაღება,-სასტიკათ ისჯებოდა და ისჯება.რასაკვირველია,აქ სისხლის ამრევი შეიძლება იყოს ქალი,დედა,რომელიც შვილს მუცლით ატარებს და ბადებს.მამას არ შეუძლია თავისი განზე გაკეთებული შვილი თავის ცოლის,ე.ი.თავის ოჯახის შვილათ გაასაღოს.ამიტომ მოღალატეობა ცოლის და ქმარის სხვადასხვა საზომით იზომება ყოველთვის,ვინაიდან ერთია დანაშაულობა ცოლის წინაშე მხოლოდ,ხოლო მეორე როგორც ქმარის,ისე კიდევ მთელი გვარის,ყველა წინაპრების წინაშე.დედის ფასი,მაშასადამე,დიდია.ის ინახავს სიწმინდეს სისხლის ნათესაობის,ის არის მთავარი ფაქტიური დარაჯი გვარ-ტომური მემკვიდრეობის გადაცემის შთამომავლობაზე.ეს ერთი კიდევ ზედმეტი საბუთია ქალის პატივისცემისა.

როგორც ვაკვირდები,ქალი არსად არ არის ისე პატივცემული,როგორც ქართველთა შორის.საკმარისია მოვიყვანოთ სამი მთავარი საბუთი:

1.ქალი ყოველგან მუშაობს ყანაში და ბაღჩაში კაცის გვერდზე.ჩვენში

ქალი არ მუშაობს ამ მიწის ასპარეზზე.

2.ქალს ხედავს კაცი ყველგან,თითქოს ეს ბუნებრივია.

ჩვენში კაცი ქალს არ გალახავს.

3.კაცი ქალს კლავს,განსხვავებას ვერ ხედავს ამ მხრივ კაცს და ქალს შორის.

ჩვენში არასოდეს არ გამიგონია,არც წამიკითხავს კაცს ქალი მოეკლას.

თამარ ცზიერის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება მის მოსაკლავად იფუშება იმით,რომ შეთქმული,დასხიშვილი,უკანასკნელ წუთში ხედავს,რომ თამარი ბოროცია,მაგრამ ქალია და ქალი როგორ მოვკლაო,ამოღებული ხანჯალი ხელიდან უვარდება.ეს არის ნამდვილი ქართველის ფსიქოლოგია,ქართული გაგება ქალისა,რაიცა ასე ჩინებულათ გამოხატა აკაკიმ.

ეს სამი მაგალითი სრულიად საკმარისია ქალის პოზიციის გასაგებათ საქართველოში.ამიტომ ჩვენში არასოდეს არ ყოფილა საღათ ქალთა უფლება;ამ მხრივ თანამედროვე ევოლუცია ჩვენში უმცკივნეულოთ ცარდება.

ამ ცხოვრების გართულების ხანაში,როცა ქალი იძულებულია გარეთაც იმუშაოს ქმარსავით და იყოს შემომცანი ოჯახში,შრომის გაყოფის პირობები ირღვევა და თვით ოჯახი მხოლოდ აჩრდილი რჩება.ოჯახი აღარ არის ის,სადაც დიასახლისი მთელი დღე სახლში არ არის,ხოლო ბოვშვები ან არ ყავთ,ან სკოლაშია სადამომდის.მაგრამ ასეთი მდგომარეობა შექმნილია კაცობრიობის მხოლოდ უმცირეს ნაწილში,სამრეწველო ერებში,აქაც მცირე,ქალაქის წრეებში.და მაშასადამე ეს მოვლენა არ არის გადამწყვეტი ოჯახის საკაცობრიო მდგომარეობაში.ის რჩება ისე,როგორც იყო.

აქედან,ყველა ერის სასიცოცხლო ამოცანაა,-გაყვეს თანამედროვე ევოლუციას ისე,რომ ოჯახი არ მოიშალოს,კერა არ ჩაქრეს,მოზარდი თაობა იზრდებოდეს დედის და მამის გავლენის ქვეშ,ცოლ-ქმარი არ გახდენ ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი,უცხო,საერთო ინცერესებს მოკლებული პიროვნებანი.ქართველმა ერმა უნდა მიიღოს ყოველი ღონე,რომ არ გახდეს მსხვერპლი სციქიური ეკონომიური განვითარებისა.ე.ი.სამრეწველო აღორძინება შეუთანხმოს საავრიკულცური მდგომარეობას,არ დარჩეს სად-

ხის დიდი ნაწილი უმიწა-წყლოთ,საკუთარი ძალ-ღონის სხვაზე მიყიდვის ამარათ:არც კაპიტალისტური,არც რუსულ-ბოლშევიკური ეკონომია.

რა სჯობს:ცოლის და ქმარის მუდმივი დავა და მიუწყობლობა თუ მათი გაყრა.უშვილობისათვის,რასაკვირველია,გაყრა და მის-მისდა მოსვენებულათ ცხოვრება.თუ შვილები ყავთ,უეჭველათ მოთმენა,ერთათ ცხოვრება და შვილების ინტერესის თავის ინტერესებზე მაღლა დაყენება.

უშვილო კაცი ისედაც გასაყრელია:ჩემს ცოლს რომ შვილები არ ყოლოდა,დიდი ხანია გავეყრებოდი.უშვილობა ცოდვათ ითვლებოდა ძველათ,ღვთის რისხვის შედეგათ და ამ მიზეზით ცოლი და ქმარი იყრებოდნენ. ახლა კი პირიქით,უშვილობა სანატრელი გახდა,ოჯახი არც სურთ ქონდეთ. ერთი სიტყვით,უშვილო ოჯახი,ოჯახი არ არის.

არ არის ისეთი ცოლ-ქმრობა,რომელთა შორის დავა და უსიამოვნება ატყდეს.ეს ოჯახის თანდაყოლილი თვისებაა;ორი სრულიად სხვადასხვა პიროვნების ერთათ ცხოვრება ვერ იქნება მუდმივი ჰარმონიის.მათ შორის მეტი მიზეზი და საბაბი უსიამოვნებისა აქვს ქალს,ვინემ კაცს. მა აწევს მთელი ოჯახი,მისი ყველა წვრილმანები,ბოვშვები,რაც მას ნერვებს უშლის და აფორიაქებს;ამას თუ კიდევ მიემატა ქმარის გლახა ხასიათი,-ორმაგ სასჯელს განიცდის.ქმარის ერთი დამახასიათებელი თვისებაა - მოსთხოვოს ცოლს აკეთოს და იფიქროს ისე,როგორც თვითონ. და რადგანაც ეს ქალს ბუნებრივათ არ შეუძლია,კაცს გული მოსდის, ჩემს აზრს არაფრად აგდებსო.მამაკაცმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა გაიგოს ერთი რამ:ქალი და კაცი სხვადასხვანაირათ უცქერიან ქვეყნიერებას,სხვადასხვა ამოცანას ეძებენ და სხვადასხვა პასუხს იძლევიან. ეს ერთიმეორისაგან განსხვავება თუ ვიცანით,ბრძოლა მის შედეგებთან დროს დაკარგვაა,არაფრის გამსწორებელია,მხოლოდ აყალ-მაყალის წყაროა.

ქალს და კაცს არასოდეს არ მოსწონთ ერთმანეთის გაკეთებული;აზრში უფრო ადვილათ ეწყობიან,ვინემ საქმიანობის მეთოდში.ქალი უფრო აბსოლიუტისტია,მოუთმენელია,უეჭველათ ყველაფერი მისებურათ უნდა წარმოებდეს.ამ სფეროში დავის მთავარი ასპარეზია ბავშვები.დედა არ სცნობს

მამის ავტორიტეტს შვილებზე;ამიტომ ერთი ერთნაირად არიგებს შვილს, მეორე კი მეორე ნაირად,პირველის უკუღმა.ბავშვმა აღარ იცის,რომელი შეასრულოს.მახსოვს,რეიკას მე ერთი ვუთხარი,დედამ ხელ წინააღმდეგი;ბიჭმა სრულიად სამართლიანად დაასკვნა - არც ერთს არ ვასრულებ. ჩემს ცოლთან თუ მომსვლია უსიამოვნება,-ყოველთვის ბავშვების აღზრდის ნიადაგზე.რასაკვირველია,დედას მამაზე მეტი ბუნებრივი უფლება აქვს შვილზე,მან იტანჯა,მისი საშოდან გამოვიდა,მან აღზარდა.ის მის განკარგულებაში უნდა იყოს 7 წლამდე,შემდეგ კი ორივესი;ბიჭი რაც უფრო იზრდება,მით ნაკლებათ სცნობს დედის ავტორიტეტს და მეტს მამისას.

საჭიროა ბავშვებს ქონდეთ დედ-მამის შიში?

ზოგი ფიქრობს,რომ შიშით ბავშვი ვერ გაიზრდებაო.მართლაც შიში რასაკვირველია,უვარგისია,საჭიროა სიყვარული.და შიში ერთად.მამამ გალახა შვილი,დედამაც რომ გალახოს - დიდათ საზიანოა,ეს ბავშვს გულს უცხებს.ის თავს გრძნობს უმწეოთ,მიტოვებულათ,ობლათ.ბავშვს არასოდეს არ უნდა აკლდეს სიყვარულის ატმოსფერო,მაგრამ ამავე დროს უნდა იცოდეს,რომ დაუსჯელი არ დარჩება გლახა მოქმედებისათვის.შიში საზოგადოების მთავარი შემაკავშირებელი ზომაა;კაცს რომ არ ეშინოდეს,ვინ იცის რას არ ჩაიდენდა.მით უფრო შიში სჭირდება მცირეწლოვანს;ეს აჩვევს მას თავის თავის მოვლას,თავისი მოქმედების აწონ-დაწონვას, თავის შეკავებას,გამორჩევას,მოთმენას.ყველა ეს მასში ამაგრებს ნებისყოფას,სიმტკიცეს,თავის თავის წინამძღვრობას.ამ საკითხის ირგვლივ ხშირად დედ-მამას შორის გაუთავებელი დავაა.ბავშვები სარგებლობენ ამით და იზრდებიან ალალ ბედათ,უკალაპოტოთ,უდისციპლინოთ,დედის შენი ჭირიმეს ამარა.ამათგან მომქმედი ადამიანი ვერ გამოვა.

რასაკვირველია,ქალის და ვაჟის აღზრდა ერთი წესით ვერ იწარმოებს: ქალს მეტი ხიფათი მოელის,მეტი ყურისგდება ეჭირვება,მომზადებაც სხვა სახისაა,მისი დანიშნულება ვაჟისას არ ჰგავს.ამიტომ,ბუნებრივია ქალის მუდმივ ყურისგდების ქვეშ დატოვება,მისი სხვისას,სხვა საზოგადოებაში მარტოთ არ გაშვება.ბიჭისათვის კი პირიქით,დიდათ სასარგებლოა მის ნებაზე მიშვება,ოჯახიდან სხვის ოჯახში გაგზავნა და სხვისი ზედამხედველობის ქვეშ გაჩერება;ამ შემთხვევაში ის უფრო ფიქრობს თავის

თავზე,თავის მოქმედებაზე და ყოფაქცევაზე და არ არის მიშვებული დედ-მამის იმედზე,-ისინი მეტყვიან რაც საჭიროაო.ბიჭი 14 წლიდან მაინც უნდა გამოვიდეს მშობლების ოპეკიდან და თავის თავზე თვითონ იფიქროს,არა რასაკვირველია მატერიალური მხრით,არამედ იმაზე,რაზე-დაც ის მიჩენილია.რედიკა მიეჩვია,გაკვეთილები არ ისწავლოს,სანამ დედა არ ეტყვის და არ დააჯენს.ხოლო როცა დედა შინ არ არის,მაშინ ის თვითონ ჯდება და სწავლობს.ბავშვში უნდა ვითარდებოდეს ინიცია-ტივა,თავისი დროის გაზომვა,განაწილება ისე,რომ თამაშობასაც ეყოს და სწავლასაც.დრო ქვეყნიერების სათავეაო,-ამბობდენ ძველი ფილოსო-ფოსნი.ყოველ შემთხვევაში,დრო სათავეა მუშაობის,ხასიათის შემუშა-ვების,მტკიცე პიროვნების შექმნის.საჭიროა მხოლოთ მისი გონიერათ მოხმარა.ოჯახი,რომელიც აწყობილია დროს განაწილებაზე,ყველა მისი აქტი სრულდება დანიშნულ დროზე,საუკეთესო ასპარეზია ბავშვების საქმიანი აღზრდის.ის თავიდანვე ეჩვევა დროს მოხმარას.მაშასადამე შრომის განაწილებას და ყველაფრის მის-მის დროზე გაკეთებას.

დედ-მამას უჭირს შვილს მოშორდეს,სხვა ქალაქში,სხვის ოჯახში გაგზავნოს.ეს ბუნებრივია.ლანჩხუთში რომ სასწავლებელი ყოფილიყო, დედაჩემი ოზურგეთში არასოდეს არ გამგზავნიდა.რამდენი ხანია ვფი-ქრობ,-რედიკა ორი თვით სადმე გავუშვა,იცხოვროს უჩვენოთ,მაგრამ ძალიან მეძნელება,ვერ გამიბედია,თუმცა კარგათ ვიცი - მისთვის ეს სასარგებლოა.ამ სამი წლის წინ,როცა ის კიდევ მე-12 წელში იყო, გაიპარა სახლიდან.მხოლოდ ღამის ათ საათზე დაიჭირეს პარიყიდან შორს და მომგვარეს ტაქსით.წავედი იმიტომ,რომ მინდა ცალკე ვიცხო-ვრო და ჩემი თავი მევე ვირჩინოვო;რით?-შევეკითხე.მუშაობით,ერთხანს გლეხებს მივეხმარებოდი,შემდეგ სამატროსო შკოლაში შევიდოდი,რომელ-შიო.ეს იყო,რასაკვირველია,შედეგი საავანტიურო წიგნების კითხვის; ერთი წლის შემდეგ კი თქვა - სისულელე ჩავიდინე,-დედ-მამა არ უნ-და დატოვოო.ადვილათ წარმოსადგენია,რა სიმწარე გადავიტანეთ მთელ დღეს,სანამ ღამე ვიღაც კაფეს პატრონი შორიდან ტელეფონით დაგვირეკ-და - ერთი ბიჭი გავაჩერე,თქვენს გვარს ამბობს,თქვენი შვილია მარ-თლაო? თითქოს ხელახლათ დავიბადეთ...მწარეა შვილის ყოლა,კიდევ უა-

რეხია უშვილობა.ისე კი გულგრილად რომ გაისაჯოს,ერთი კვირე ევლო და ეავანტიურა.მოუხდებოდა,დედ-მამის კერას უფრო დააფასებდა.

ბავშვებისათვის მთავარი მორალური სკოლაა ოჯახი;რასაც აქედან გამოიტანენ,რასაც დაინახავენ და გაიგონებენ,-ეს რჩება მათ მეხსიერებაში,გადადის ზნე-ჩვეულებათ,სიკვდილამდე.15 წელია ემიგრაციაში ვართ.უყურებ თანამემამულეების ცხოვრებას:ყველაფერს აკეთებენ ისე,როგორათაც ეს სახლიდან მოიტანეს,აქაური ხრულებით არ ეკარებათ,რჩებიან აავის შინას კულტურით.ჩვენ ვართ ჩვენი დედ-მამის ოჯახის ცყვე და მას თავს ვერასოდეს ვერ დავაღწევთ.ასე გადადის თაობიდან თაობამდე,მშობლიდან შვილებზე გაზმული ტრადიციით - წესი და ადათი ცხოვრების.იმ ოჯახიდან,სადაც ცუდი საქმეები გამოიფიქრება და ტარდება,არ შეიძლება შვილი სათნო და სალი მორალის გამოვიდეს.ვაშლი ვაშლის ხის ძირიდან შორს ვერ დავარდება.თავის მხრით,კეთილშობილი სულის პატრონ შვილს დიდი გავლენა აქვს ოჯახზე, დედ-მამაზე.სანწყალ ჩემ ანდრეიკასთან ვერავითარ ცუდ აზრს ვინმეზე ვერ იტყოდი;ბოვშვი ისე შეწუხდებოდა,ისე თვალებში თვალს გაგიყრიდა,რომ იძულებულს გვყოფდა ლაპარაკი სხვა თემაზე გადაგვეტანა.რაიმე აქტის ჩადენის დროს უეჭველათ მომაგონდებოდა ანდრეიკა და ჩემს თავს შევეკითხებოდი,-როგორ შეხედავს ის,რომ გაიგოსთქვა.ის იყო ჩვენი ოჯახის სიფაქიზის დარაჯი და მეთვალყურე.

ოჯახი აგებულია ორი სქესის ერთობაზე.ყველა ხალხში ყოველთვის - ერთ სქესს - მამა-კაცს ანიჭებდნენ უპირატესობას.ქართველთა შორის ქალის დაბადება ითვლებოდა მარცხათ,ხოლო ბიჭის-სასიხარულოთ.გურიაში რომელი სქესი იშვა გაიგებდით იმით,რომ თოფის სროლა ატყდებოდა თუ არა;ვაჟის დაბადებას შეხვდებოდნენ სროლით,ქალისას კი სიჩუმით. რით აიხსნება ასეთი ორგვარი მიდგომა?-გამრავლების თვალსაზრისით ქალი წინ დგას კაცზე,როგორც ზემოთ გავარკვიეთ.ქართველებისათვის, როგორც პატარა ერისათვის,ქალის სიმრავლე ნიშნავს ერის სიმრავლესაც.მაგრამ ამ ბიოლოგიურ საფუძველს ემატება და ეპირდაპირება მეორე ასეთივე საფუძველი - გვარის ანუ ჯიშის გაგრძელება,წინაპართა სისხლის გადაცემა შთამომავლობაზე.ხოლო ეს გადაცემა ხდება ერთი

გზით – თესლით. როგორიც თესლია, ისეთი ნაყოფია – ასეთია ორგანიული ქვეყნის ძირითადი კანონი. ხოლო თესლის მატარებელია ადამიანთა შორის მამაკაცი. დედაკაცი, ისე როგორც დედამიწა, იღებს ამ თესლს, მას აპოხიერებს და იძლევა შესაფერ ნაყოფს.

ამნაირათ: ქალი გამრავლების მთავარი აგენტია, კაცი კი ამ გამრავლების განსაკუთრებითი სახის მთავარი აგენტია, სისხლის და ჯიშის შემნახველია. მსგავსი მსგავსსა შობს – ნათქვამია. აი, მსგავსების მთავარი მატარებელია მამა. ამიტომ ზოგ ხალხში ოჯახს და თესლს ერთი და იგივე აქვთ. რუსული "სემია" ორივე ცნებას აღნიშნავს. ჩვენში ცოლს ქმრის ოჯახი არ მიაჩნია თავის ოჯახად, თავის შინად. დედაჩემი სიბერემდის თავის შინად თვლიდა მამა-პაპეულ მიწა-წყალს. იტყოდა შინ წავალო – ეს ნიშნავდა თავის ძმისას წასვლას. როცა მე შევედავებოდი, – შენი შინა აქ არის თქვა, – მიპასუხებდა: არა, დედა, ჩემი შინა იქ არის სადაც დავიბადე, აქ კი შენი შინააო. როცა გვარს კითხავდენ იტყოდა – ჩიქოვანის ქალი ვარო. არასოდეს ყორღანიათ თავი არ მოქონდა. ჩვენებური ქალი ყველა ასე ფიქრობს, ასე სწამს. ერთი ოჯახი მეორისაგან განსხვავდება თესლით. ეს სიტყვა ჩვენში იხმარება აგრეთვე აღსანიშნავათ გვარის, მოდგმის, ჯიშის, გარდა რასაკვირველია, მცენარეულობის ყოველნაირი თესლეულობისა.

აი ამ ბიოლოგიურ ბუნებრივ მოვლენაზე დაყრდნობილია მამაკაცის მეთაურობა ოჯახის. ეს მისი ოჯახია, მისი თესლის, სისხლის და მოდგმის ფუძეა. თავისთავად ეს კანონი მამაკაცს ვერ მისცემდა უპირატესობას, რომ ამასთანავე არ ჰქონდეს ფიზიკური ძალის უპირატესობა და არ აწვეს ოჯახის საგარეო საქმეებზე ზრუნვა.

ცოლისა და ქმრის ურთიერთობა ოჯახში მეტად მძიმე პრობლემაა, პრობლემა გადაუჭრელი, ვინაიდან ორივე არსება მეტად განსხვავებული არიან ერთიმეორისაგან, როგორც ეს ზემოთ გავარკვიეთ. ქალი თავისი მიდრეკილებით უფრო აბსოლიუტისტია, კაცი კი უფრო ლიბერალი. ქალი ცდილობს თავის ოჯახში იყოლიოს როგორც შვილები, ისე ქმარი. მათ არ აძლევს თავისუფალ სარბიელს, უეჭველად მასზე უნდა იყვნენ დამოკიდებულნი. ის მუდამ დიქტატორული მიდრეკილებისაა თავის პატარა სამ-

რჭანეზელში.კაცი კი ვერ იტანს ამ უღელს და ცდილობს ის შეამსუბუ-
ქოს.გადაგდება შეუძლებელია,განზე გაძვრენით,თავისუფალ დროს ოჯა-
ხის გარეთ გატარებით,საყვედურების დაყვედრების უყურადღებოთ დატო-
ვებით ან და ნუგეშის მონახვით,ისეთის,როგორიც ერთხელ ჩემმა მეზო-
ბელმა გლეხმა მითხრა თავის ანჩხლ ცოლზე - ქალია,რას უზამ!ე.ი.
ქალს არ მოეთხოვება ის,რაც კაცს მოეთხოვება.ეს აზრი,ხხვათაშო-
რის საყოველთაოა ქართველ ხალხში - გლეხობაში.ინტელიგენცია უფრო
მძიმე მდგომარეობაშია:მისი აზრით,ქალი და კაცი თანასწორია და მა-
შ.სადამე ორივე ერთნაირი საზომით უნდა გაიზომოს,ორივეს ერთნაირად
უნდა მოეთხოვოს.ეს უკანასკნელი შეხედულება ყალბია:კაცს ვერ მოს-
თხოვ შვილის დაბადებას,ქალს ვერ მოსთხოვ მუხის მოჭრას და საყადღე
დადგმას.ინტელიგენციას სახეში აქვს იურიდიული და პოლიტიკური მხა-
რე,ხალხს კი ბუნებრივი მდგომარეობა ორივე სქესისა,რაიცა მთავარია
და რის საფუძველზე დგება...... ოჯახი.აი,ამ ბუნებას ვერავითარი
უფლება და ნორმა ვერ შესცვლის.ცხადია,ორივე სქესს ერთნაირ მოთხო-
ვნილებას ვერ წაუყენებ,თვითეულს მოსთხოვ მის-მის სფეროში.ამ სფე-
როების განსაზღვრა ორივეს უჭირს,უფრო კი ქალს,როგორც უფრო აბსო-
ლიუტისტს.

ქალს ქმარის მუშაობა და საქმიანობა მდარე ხარისხისათ მიაჩნია,
ხოლო კაცს კი ქალის მუშაობა აგდებული აქვს,-რა საქმე აქვს,ერთ ა
ადგილზე ტრიალებსო.

ქალს პაწარა საქმის გაკეთება დიდათ მიაჩნია,კაცს კი სასაცილოთ
არ ყოფნის და პირიქით - კაცის გაკეთებულ საქმეს ქალი მუდამ იწუ-
ნებს,-ამას ერთ მინუტში გავაკეთებდიო.და ეს ასე მუდამ,მთელ სი-
ცოცხლეში.

ერთი სიტყვით,ქალი სხვაა,კაცი სხვაა,შუა უზის დიდი ზღვარი.
მათ შორის უნდა დამყარდეს მხოლოდ მოდუს ვივენდი,ერთად ცხოვრების
წესები.ქალი გათხოვებისთანავე ოჯახის ქალია:უყვარს შინა.კაცი კი
ისევ "გარეული"რჩება,შინ არ იცდის,შინ ყოფნა მისთვის სასჯელია,
სიამოვნებას გვრის გარეთ ყოფნა,ბოვშვებს და ოჯახს მოსავლელათ
ცოლს უტოვებს და ყველა შრომისაგან თავისუფალ დროს სხვაგან ატა-

რეზს.ის შინაურდება გვიან,ხანში შესვლის შემდეგ,უფრო ხშირად სიბერეში,როცა მას შეუყვარდება შინ ჯდომა,ბუხართან ცეცხლის თბობა,ძველი მოგონებების მოგონება,შვილების,თუ პატარები ჰყავს და შვილიშვილების საზოგადოებაში ყოფნა.ეს ორი სხვადასხვანაირი ფსიხოლოგია ცოლის და ქმარის არის უთანხმოების ნიადაგი.ამ სფეროშიაც მათ ერთი მეორე არ ესმით და არც სურთ გაიგონ.

ადამიანები იყოფიან ორ კატეგორიად:ერთნი დამოკიდებულნი არიან თავის ცხოვრებისათვის პირდაპირ ბუნებაზე,ე.ი.იმისაგან,რაც მან შექმნა - მიწა,ამინდი და სხვა.მეორენი დამოკიდებულნი არიან იმისაგან,რაც ადამიანმა შექმნა - ჩარხი,ფაბრიკა,ქაღალდი,წიგნი და სხვა.ამ ორი ჯგუფის ცხოვრება და ურთიერთობა დიდად განირჩევა ერთიმეორისაგან.ამიტომ,მათი ოჯახის აგება და მდგომარეობა სხვადასხვანაირ კალაპოტში იმყოფება.ოჯახი პირველი კატეგორიისა უფრო მტკიცეა,უფრო შეწყობილი და უცვლელია,ვინემ მეორეთა ოჯახი,რომელიც განიცდის მუდმივ რყევას და რღვევას.ამიტომ,ამათ შორის დაიბადა აზრი ოჯახის სრულიად გაუქმების და მის ადაგას საზოგადოების გაბატონების:ცოლი და ქმარი მხოლოდ სქესობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შეხვდებიან ერთი მეორეს.შვილებს ზრდის საზოგადოება,საჭმელ-სასმელი სასადილოებში კეთდება - ერთი სიტყვით,საბოლოოთ,ცოლ-ქმრობა,როგორც ინსტიტუტი,უქმდება.ამის განხორციელება სცადეს რუსის ბოლშევიკებმა და დამარცხდნენ.ეს აზრი პირდაპირ ეწინააღმდეგება ბუნების ძირითად კანონს - სისხლის ნათესაობის უპირატესობას ყველა სხვა კავშირზე და ამიტომ განუხორციელებელია.გამოსავალი უნდა მოინახოს არა ამ უტოპიაში,არამედ ბუნებასთან დაახლოებაში იმათი,ვინც მას მოწყდა და წმინდა ქალაქურ ვითარებაში ჩაიკეტა.

როგორც ვთქვით,კაცის მოშინაურება ოჯახში ძნელი და ხანგრძლივი საქმეა.ქალს არც კი მოსწონს ასეთი მოშინაურება.მას ურჩევნია ქმარი მხოლოდ საღამოს მოდიოდეს და დაღალული საჩქაროთ წვებოდეს, რომ დილას ისევ გზას გაუდგეს.ამის მიზეზია ის,რომ შინ მჯდომი კაცი მუდამ ერევა ცოლის საქმიანობაში,არ მოსწონს ეს,ის,კრიტიკაში

ჩაბმული.ცოლს კი ოჯახი თავის საკუთრებათ მიაჩნია და არ ითმენს მის შინაურ საქმეში სხვის ჩარევას.მართალია,ცოლიც გარბის მთელი დღეობით სახლიდან,არიან"შარა-ხვეტიები",მაგრამ ეს იშვიათია,გამონაკლისია.ქალის ნაკლულევანება კაცის თვალში არის მისი მეტისმეტი ენაწყლიანობა,ნამეტანს ბევრს ლაპარაკობს.ეს ქალის საერთო გაუქრობელი თვისებაა.ის არის აგრეთვე გართული მუდმივათ წვრილ საქმეებში,მსხვილ საქმეს ვერ ხედავს,არც აქვს ამისი დრო.ოჯახი წვრილი საქმეებისაგან შედგება.

ცოლ-ქმარს შორის უთანხმოების წყარო აგრეთვე დამოკიდებულება შვილებთან.დედას აქვს მონოპოლიური პრეტენზია,რაც მამას არ მოსწონს და ითხოვს პრეტენზიის ორათ გაყოფას.საზოგადოთ ქალი უფრო აბსოლუტისტია,უფრო დაუთმობელია,ვინემ კაცი.მან არ იცის კომპრომისი თავისი ნებით და შეგნებით;მას ჰგონია,რომ ის მუდამ მართალია;თავის კრიტიკა მის კოდექსში არ შედის.დიდი აყალ-მაყალის წყარო ცოლ-ქმარის ხასიათის ერთნაირობა.ერთი ანჩხლი,მეორეც ანჩხლი;ერთი ჯიუტი,მეორეც ჯიუტი,ორივე ერთნაირათ ხუსტი და გაუბედავი,-ერთი სიტყვით თვისებათა ერთნაირობა ქმნის ნიადაგს შუღლის.ამიტომ სამართლიანათ ამბობენ,რომ ხასიათის სხვადასხვაობა,ერთი მეორის არა განმეორება,არამედ დამატება ქმნის მეტ ჰარმონიას.რასაკვირველია,ასეთი შეუღლება შემთხვევის,ბედის საქმეა.შეუღლებამდე ძნელია ერთი მეორის ნამდვილი ხასიათის გამოცნობა:ის გამოჩნდება მხოლოდ ოჯახში,ერთიან ცხოვრებაში,რაიცა მხოლოდ შეუღლებიდან იწყება.ამ ლაცარიის თავიდან ასაშორებლად ახლა დაიწყეს ერთათ ცხოვრება,ფაქტიური შეუღლება მის იურიდიულ დადასტურებამდე.თუ მოეწყვენ ერთი მეორეს ზნე-ხასიათით,-შემდეგ ჯვარს იწერენ.ეს არის ყველაზე უარესი გამოსავალი,ვინაიდან შეუღლების მთავარი მიზანი და საზეობა წინდაწინვე დაფუშულია:აქ არც ოჯახია,არც შვილოსნობა.ის უფრო წააგავს პროსტიტუციას.იშვიათი შეუღლებაა ისეთი,რომელიც დროს განმავლობაში არ იძლეოდეს სქესობრივი კავშირის მოდუნებას და თუ სხვა კავშირი არ არის - ოჯახის დამლას."სანიმუშო" ცოლ-ქმრობა ამიტომ ინგრევა თავისთავად და მაშასადამე ოჯახი არ

დვება,საზოგადოება ზარალობს.რამდენიც უნდა იფიქრონ და იგონონ, ძველ ნაცად გზას საზოგადოება ვერ ასცდება - ოჯახი პირველ ყოვლისა საზოგადოებრივი ორგანიზაციაა,იურიდიული ერთეულია და მისი ინტერესები უნდა იდგეს პირველ რიგში.ამ ნიადაგზე უნდა მოხდეს შეთანხმება პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესებისა.

რაკი ოჯახი შედგა,მისი მოვალეობაა თავი დაიცვას თავისი განვითარების პირობები მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს.ეს პირობებია უმთავრესათ მატერიალური და მორალური ხასიათის.ორივე შემთხვევაში ოჯახი მჭიდროთ გადაბმულია თავისავე გვარ ოჯახთა კრებულზე ანუ საზოგადოებაზე და მის პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე.სოციალური და პოლიტიკური წყობილება შეიცავს იმ კალაპოტს,რომელშიაც ცხოვრობს და ვითარდება ოჯახი.გლახა პოლიტიკა,დანგრეული პოლიტიკური შენობა ანგრევს და შლის ოჯახს,სპობს მის ნორმალურ ცხოვრებას.რაკი ოჯახია ასპარეზი ადამიანთა მოდგმის მოშენების და მისი აღზრდის,ცხადია ეს უნდა იყოს ერთადერთი მიზანი და ძირში ყველა საზოგადოებრივი ხასიათის და წყობილებისა და ღონისძიებებისა,ხოლო ოჯახს რა ეჭირვება,რა არის მისი მთავარი საზრუნავი,-ეს კარგად იცის თვით ოჯახმა,თვით ხალხმა.საზოგადოება ოჯახთა გროვაა,რომლის გარეშე ის არ არსებობს:საზოგადო ინტერესი - ეს ოჯახებათ დაყოფილი ხალხის ინტერესებია.თვითეულ ოჯახს თავისი საკუთარი ინტერესი აქვს,მაგრამ არის საერთო,ყველას ერთნაირათ შესახები ინტერესი,რაიცა იძლევა კვანძს საზოგადო საკითხებისას.აი,ეს სფერო დღევანდლამდის გახდა მონოპოლიათ ე.წ.განათლებული ფენებისა,ე.ი. პარაზიტული ოჯახებისა.მიუხედავათ ყოველნაირი რევოლუციისა,სასწრაფოდ დგება პარაზიტიზმის მოყვარულთა საზოგადოება,რომელიც ევლინება ხალხს ბატონათ და პატრონათ.ამ ხაზის უკანასკნელი ფორმაცია,მეტად მკაფიო და აშკარა,მოგვცა რუსეთის საბჭოებმა.

მე აქ არ შევდივარ საზოგადოებრივი ხაზის სფეროში.ამ ნაწერის მიზანი ეს არ არის;ამ საკითხებზე მე მუდამ ვწერ 45 წელიწადია და ვისაც აინტერესებს იქ ნახავენ.მე მინდა აქ ვთქვა მხო-

ლოდ ის,რომ თვითეული ოჯახი ყელამდე დაინტერესებულია საზოგადო სფეროს მოწესრიგებით და ამ საქმეში ის უნდა იღებდეს მხურვალე მონაწილეობას.

ოჯახის დაარსება,როგორც ვთქვით,ულიდესი პრობლემაა.მასში არის სამი ელემენტი:პირადი-შესაუღლებელთა,გვარის ანუ ჯიშის და საზოგადოებრივი.ამ სამი ინტერესის მოთანხმება და მათ საერთო საფუძველზე დაოჯახება - იძლევა საუკეთესო ოჯახს.

ელემენტი პირველი.ეს შეიცავს შესაუღლებელთა ურთიერთისადმი განწყობილებას:ვერავითარი მშობელი ვერ მოსთხოვს თავის გასათხოვარ თუ საცოლე შვილს - იცხოვრონ იმათთან ვინც მათ არ უყვართ, ერთი-მეორის სიმპათია არ აქვთ.ინტიმური დამოკიდებულება ვერ იქნება ძალდატანებითი,ეს ამორალურია,ანტიმორალურია.რასაკვირველია ამ ხაზზე არის საფეხურები.უეჭველათ თავდავიწყებითი გატაცება, დრამატიული წარმოდგენა სიყვარულის - ეს გრძნობათა გაზვიადებაა, ფანტაზიის გაშლაა,რაიცა არ წარმოადგენს ჩვეულებრივ მოვლენას. სრულიად საკმარისია პირველი საფეხური - ერთი-მეორისადმი სიმპათია,მოწონება,მრავალთა შორის ერთის გამორჩევა,მასთან შეხვედრის და ლაპარაკის ნდომა - რომ ოჯახის პირველი ელემენტი ძალაში დარჩეს.

ამ კალაპოტში უნდა მოთავსდენ მეორე და მესამე ელემენტები.ის ამათი ბაზაა.აქ,ამ ხაზზე სიტყვა აქვთ მშობლებს და საზოგადოებას. ყველა მშობელი ცდილობს გვარის ანუ მოდგმის გაგრძელებას,-ეს ბუნების კანონია.ამიტომ ის ითხოვს შვილებისაგან ისეთნაირათ დაუღლებას,რომელიც მისცემს შთამომავალთ და მათ მამაპაპურ ჯიშს, სისხლს,თუ არ გააუმჯობესებს - არ დაამცირებს მაინც.აქ იბადება მოსაზრებანი წარმოშობის და ჯანმრთელობის შესახებ.შვილები უნდა შეურიგდენ ამ აუცილებლობას,ამ მოთხოვნას და თავისი პირადი სიმპათია-ანტიპათია მას შეუფარდონ.განხეთქილება და მოურიგებლობა ამ ორ ელემენტს შორის ბადებს საოჯახო განხეთქილებას,ხშირათ დრამას,დანაშაულობასაც.ამ სფეროში აუცილებელია კომპრომისი.

და ბოლოს მოდის საზოგადოება და ადასტურებს დაოჯახებას საჯარო აქტით,იურიდიულად.ამიერიდან ახალი ოჯახი იქცევა იურიდიულ პიროვნებათ,საზოგადოების ახალ უჯრედათ.აქ საზოგადოებას არ აინტერესებს პირველი ორი მომენტი,მას ეს არ ეხება,მის არსებაში არ შედის.ის შედის ფაქტის შემდეგ და აძლევს ამ ფაქტს,ე.ი.გადაწყვეტილ დაქორწინებას,თავის სანქციას.ის წინეთ ამ როლს ასრულებდა ეკლესიის საშუალებით,ახლა ასრულებს სამოქალაქო აქტებით,ხოლო რელიგიური სანქცია ნებაყოფლობაზეა მიშვებული.ამით,რასაკვირველია არ იცვლება სანქცია არც ოფიციალურათ,არც შინაარსით.ის სავალდებულოა,საზოგადოებამ უნდა იცნოს ის და დაამტკიცოს.ეს დამტკიცება ხდება უპირობოთ,ყოველი მიზეზის გარეშე,თუ კი ბუნებრივი დაბრკოლება არ ჩნდება – ასეთ დაბრკოლებათ აღიარებულია სისხლის შერევა და ასაკური სიმწიფე.აქ საზოგადოება დარაჯობს,ის არ აძლევს სანქციას მცირეწლოვანთა და ახლო ნათესავთა შეუღლებას.რატომ?-იმიტომ,რომ მისი ინტერესია თავის წევრთა სისაღე,სიმაგრე და გამძლეობა.საღი ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოება თვითონაც საღია.ეგვიპტის მაგალითი გამოდგა მეტათ უარყოფითი.იქ რელიგიური მოთხოვნით დას ჯვარს წერდენ ძმაზე,ვითომ ამით ოჯახში რჩებოდა გვარის სისხლი და არ ხდებოდა გადაგვარება.ნამდვილათ კი ხშირეთ ამ სისხლის შერევამ გადააგვარა მთელი სახლი და შემდეგ კიდევაც მოსპო ფიზიკურათ.

საზოგადოება დარაჯობს აგრეთვე ოჯახის სიმთელეს,მის ხანგრძლივობას.ამიტომ ცოლ-ქმარის გაყრა სასტიკათ იყო აკრძალული თავიდანვე.ეს წესი უეჭველია ინახავდა ოჯახს და ხდიდა მას საზოგადოების მუდმივ უჯრედათ.ამჟამად ეს წესი შეცვლილია,გაყრა გაადვილებულია,ხოლო ზოგან ის უკიდურეს სიმჩატემდეა დაყვანილი:საკმარისია ერთ-ერთი მეუღლის განცხადება,რომ აწყობილი ოჯახი დაიშალოს.აი,აქ,ამ სფეროში საზოგადოება დამარცხებულია,მისი ინტერესი სავსებით აბუჩათ აგდებულია და პირადი მოტივებისათვის შეწირულია.ეს ხაზი იქნებოდა მისაღები და გამართლებული ერთ შემთხვევაში – საზოგადოება რომ იყოს დაფუძნებული არა ოჯახთა კრებულზე,არამედ პიროვნებათა კრებულზე.ამ შემთხვევაში სულ ერთი იქნებოდა მისთვის პიროვნებათა

ურთიერთმორისი დამოკიდებულება და საერთო ცხოვრება.მაგრამ რაკი საზოგადოება ერევა ამ ურთიერთობაში და მისი სანქცია მიუცილებელია, ცხადია ოჯახი ძველებურათ განაგრძობს იყოს საზოგადოების ბაზა და მაშასადამე მისი მნიშვნელობა ოდნავადაც არ შემცირებულა,ხოლო ამავე დროს მისი რღვევა ძალზე გაადვილებულია.ეს პროცესი განვითარებულია უფრო ინდუსტრიალურ ქვეყნებში,რასაც თავისი ღრმა ეკონომიური მიზეზები აქვს.კაპიტალიზმის მოსპობა იქნება იმავე დროს ოჯახის გაჯანსაღება.აგროკულტურულ ქვეყნებში,რასაც უწოდებენ ჩამორჩენილთ, ეს პროცესი სუსტია,ძველი ურთიერთობა დაცულია,ოჯახი ოჯახობს მველებურათ.საბჭოთა საოჯახო პოლიტიკა გამომდინარეობს მათი სიბრიყვისაგან,და არა ქვეყნის ეკონომიური ვითარებისაგან.

საზოგადოების მეთვალყურეობა ოჯახზე შემდეგათ წარმოებს:ის ცნობს მშობელთა უფლებებს შვილებზე,მაგრამ არა სავსებით და შეუზღუდველათ. ის ავალებს მათ ასწავლონ შვილებს განსაზღვრული წესით,ატარონ შკოლებში,ჩააყენონ ისინი დადგენილ სისტემაში; განათლების და ცოდნის შეძენის.სამაგიეროთ ზნეობრივ გავლენას კი მათ უტოვებს სავსებით. საფრანგეთში დედ-მამას კანონი ართმევს მშობლიურ უფლებას.შვილებზე,თუ მათ ისინი ეპყრობიან "არაბუნებრივათ",თუ დედა ან მამა არის "დენატურე";ასეთი შემთხვევებია:ცუდათ მოპყრობა,საჭმელის მიუცემლობა,სქესობრივი კავშირის დაჭერა და სხვა.ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს ციხეში სვამენ,ხოლო შვილს ართმევენ და საზოგადოებას აბარებენ გასაზრდელათ და მოსავლელათ.ასეთი შემთხვევები ძლიერ ხშირია აქ, რაც არასოდეს არ მომხდარა ჩვენში,აქ ხშირათ ამოიკითხავ გაზეთებში.

ცოლის და ქმრის მდგომარეობა ოჯახში სხვადასხვა ხალხში სხვადასხვანაირათ განისაზღვრება.ამ სფეროში არის ორი უკიდურესი საფეხური,რომელთა შორის დგანან საშუალო საფეხურები.ეს ორია:ქართული და ფრანგული.საქართველოში ცოლს და დედას თავის თავი არ მიაჩნია ქმრის ოჯახის ნამდვილ წევრათ.მისი აზრით,ის შემოსულია გარედან სხვის ოჯახში და მას ემსახურება.ოჯახი კი ქმრისაა,მამაკაცისაა, რომლის სრული წინამძღვარი და პასუხისმგებელი ის არის.ამიტომ ქალი ქმარის გვარს არ ატარებს,მას სიკვდილამდე შობის გვარი აქვს,

"შინას"ეძახის მამის ოჯახს,ქმარის ბინადრობა კი მისი "შინა"არ არის.დედაჩემი სიკვდილამდე თავის "შინას"სამეგრელოში გულისხმობდა და როცა თავის ძმისას მიდიოდა იტყოდა –"შინ"მივდივარო.როცა გვარს შეეკითხებოდნენ – ეტყოდა ჩიქვანის ქალი ვარო.არასოდეს ყორდანიათ თავი არ მოქონდა.ერთხელ,მახსოვს,ათიას ძიძამ მომიყვა თავისი ქმარის ამბავი და ხშირათ ამბობდა:მან სახლი აიშენა,ხულა დეიდგა და სხვა.როცა გაკვირვებით ვკითხე:როგორ,მან დადგა,შენ არ ურევიხარ ამ საქმეში თქვა,მიპასუხა:მე რა შუაში ვარ,ჩემი სახლი ნიგოეთშია,მამაჩემთან,მე მისას ვარ გამოთხოვილიო.შემდეგ დავაკვირდი სოფლის ქალებს ამ სფეროში და დავინახე, რომ ეს საერთო აზრია,ყველა ცოლი და დედა ჩემს ძიძასავით ფიქრობს.

სულ სხვანაირათ ფიქრობენ საფრანგეთში.აქ ცოლი და ქმარი ერთია, ერთი მორალური პიროვნებაა,ერთმანეთზე განუყრელათ გადაჯაჭვულია ცხოვრების ყველა დარგში.რაც უფრო თვითეულს ცალ-ცალკე დაკარგული აქვს პირადობა,მით უფრო ცოლ-ქმარია,მით უფრო ერთი მეორის მოყვარულია.პირადი მორიდება და სირცხვილი მათ შორის არ არსებობს; ისინი თითქოს ერთი პიროვნებაა.თუ ეს ასე არ არის,თუ ცოლ-ქმარი რჩება ორი დამოუკიდებელი არსება,ჩხუბი და აყალ-მაყალი მათი მუდმივი სტუმარია,რაიცა თავდება ხშირათ ერთიმეორის დახოცვით.

ამ ორ ბოროტებას შორის მე კიდევ პირველს ვარჩევ;მას თან ახლავს ერთი მეორის პატივისცემა და რიდი.ორივეს სჯობს რასაკვირველია საშუალო ხაზი,არც ერთი მეორეში გაქრობა,არც ერთი მეორისაგან განდგომა,პირადობის შენარჩუნება და ინტერესების გაერთიანება,არც ისე შორს,რომ ერთმანეთი არ ესმოდეთ,არც ისე ახლოს,რომ ერთი მეორეს თავი მოაბეზრონ.

სხვადასხვა ასაკში ცოლ-ქმარის ურთიერთობა სხვადასხვანაირია. ის იცვლება დაახლოებით ყოველ ათ წელში:ერთი მეორის პატივისცემა და დაფასება იწყება გვიან,50 წლის შემდეგ.მანამდე ჭარბობს გრძნობები.შემდეგ გონება ამუშავდება და გრძნობებზე ბატონდება.ასევე იცვლება მათი დამოკიდებულება შვილებთან,განსაკუთრებით მამის. ის უფრო შინაურდება.

არის ქალი და კაცი,რომლებიც ხასიათით,ტემპერამენტით და ფსიქოლოგიით წარმოადგენენ თავისთავათ ისეთ მთლიან არსებას,რომ არ ძალუძთ იყვნენ სხვისი მეუღლე,სხვისი ნახევარი,სხვასთან ერთად ერთ უღელში შებმულნი.მათ ურჩევნიათ საკუთრათ სწიონ ცხოვრების უღელი და არა სხვასთან ერთად.და თუ მაინც ასეთები დაოჯახდენ - აქედან არა გამოვა რა გარდა მუდმივი შუღლის და გაუგებრობისა ცოლ-ქმარს შორის.ამ შუღლის შენელება შეიძლება ერთ გარემოებაში - თუ ერთ-ერთი მეუღლე მეორეს სავსებით დაემორჩილება,თავის მეზე უარს იტყვის და მით გაქრება იმ პიროვნებაში,რომელიც ვერ ითმენს მეუღლეობას.და პირიქით,თუ ორივე მეუღლე ერთნაირი ხასიათის და ტემპერამენტისაა - მათი ერთად ცხოვრება საძნელოა.სამწუხაროთ, ყველა ეს თვისება გამოჩნდება გვიან,შეუღლების შემდეგ.მანამდე კი არც ქალია ამ თავის ხასიათში გაგებული,არც კაცი.ხოლო როცა ისინი ერთ ჭერქვეშ ამოყოფენ თავს,როცა ისინი ერთ საქმეს შეუდგებიან - მათი პირადი თვისებებიც გამოჩნდება და"საოჯახო სცენები"იწყება. შეიძლება ისინი მორალურათ და გონებრივათ ერთმანეთს სავსებით ეთანხმებოდენ,არავითარი განსხვავება მათ შორის დიდი კითხვების გამო არ სუფევდეს,მაგრამ ვინაიდან ეს მხარე არ შეადგენს ცოლ-ქმრობის არსებას,მის შინაარსს,ამიტომ მას არ ძალუძს შეანელოს განხეთქილება.მორალური და ინტელექტუალური თანხმობა შეიძლება იყოს მრავალ ადამიანთან ცოდნის და საქმიანობის ყველა დარგში, ხოლო ცოლ-ქმრობა შეიძლება შეწყობილი იყოს მხოლოდ განსაზღვრულ,ორ ადამიანს შორის.ამიტომ დიდი სიბრიყვეა შეუღლება ისეთი მოტივებით, რაც არ არის ცოლ-ქმრობის არსება.რასაკვირველია,ეს მოტივებიც თუ არსებობენ,ჩინებულია,მაგრამ ის იქნება დანართი არსებითი მხარეების.მთავარია არა ეს,არამედ ის,რომ მეუღლე არ უნდა იყოს აბსოლუტისტი,სექტანტი,დაუთმობელი,მიუკარებელი,მუდამ"ჩემი ჯობს" - ძლალადებელი,თავის შეუცდომლობაში და უცოდველობაში დარწმუნებული. მეუღლე არ შეიძლება იყოს ის,ვისაც არ ძალუძს მიღება კომპრომისის. ასეთ მეუღლეებს შორის რაც მეტი საერთო საოჯახო საქმეა,მით მეტია უხიამოვნება და დავა.ამ შემთხვევაში უთანხმოებას შეანელებს საო-

ჯახო საქმეების შემცირება,ამ სფეროს სასტიკათ განაწილება ისე,რომ ერთი მეორეს განკარგულებაში არ ერეოდეს ან და მთელი დღე საგარეო საქმეებზე მუშაობა,მხოლოდ საღამოს თავის შეყრა და დილამდე ერთათ გატარება.ასეთი არა საოჯახო პიროვნებანი თავისთავათ,ცალ-ცალკე, კარგი ხალხია,გარეშეთ ყველას მოსწონთ და თუ ისინი სამეუღლეოთ არ დაბადებულან - რა მათი ბრალია.აქ დამნაშავე არიან რამდენიმეთ მშობლები,რომლებიც აღზრდით და დისციპლინით არ ებრძვიან ამ თანდაყოლილ თვისებას და არ აჩვევენ მოთმენას და თავის თავის ხელში დაჭერას.პირიქით,სწორეთ ასეთი თავისი თავა ბავშვები არიან განებივრებულნი ოჯახში,მათი სურვილი,დედისათვის განსაკუთრებით,კანონია,ხოლო მამა არ ერევა მათ აღზრდაში.

ჩემს შვილებთა შორის მხოლოდ ნათელაა ბუნებრივათ დამთმობი და კომპრომისის მოყვარული.დანარჩენი ორი,ცოტათ თუ ბევრათ,შორდება ამ ხაზს.

უსიამოვნების საგანი მრავალნაირია,უფრო წვრიმალი,იშვიათათ - სხვილი საკითხები.ერთი ამათგანია კვების საკითხი.ამ საქმე ემსახურება ქალი,დიასახლისი.კაცის მიერ დამუშავებულ და მოტანილ სანოვაგეს ის უძღვება და ამზადებს.ამ ნიადაგზე დღეს უსიამოვნება მეტია ვინემ წინეთ,ვინაიდან წინანდელი ზნე-ჩვეულებანი მოისპო და ფანტაზიას ფართე ასპარეზი გაეხსნა.ამ რამდენიმე წლის წინ გერმანიაში გამოცხადდა პრიზი-ჯილდო იმათთვის,ვინც საუკეთესო პასუხს გასცემდა შემდეგ შეკითხვას ქალებისადმი:რა მიგაჩნიათ საუკეთესო საშუალებათ ქმრის ერთგულების შესანახავათ?პირველი ჯილდო მიუსაჯეს ერთ ქალს,რომელმაც უპასუხა:კარგათ კვებეთ ეს ცხოველებიო! კაცი დასახულია ცხოველათ,რომელიც ჭამას ყველა სხვა მოთხოვნილებაზე მაღლა აყენებს.უნდა ითქვას,რომ ეს დაახლოებით სწორი შეფასებაა."ჭკვიანი"ცოლი ყოველთვის ცდილობს ქმრის გულში ბინადრობას სტომაქ-გზით.მაგრამ ამავე დროს პასუხი ცხოველების შეურაცხყოფაა.

ყველა სულდგმულთა შორის მხოლოთ ერთათ ერთი ადამიანი,უმთავ-

რეხათ მამაკაცი,პირს უყურებს,როგორც ისეთ ორგანოს,სადაც უნდა ჩაიყაროს რაც შეიძლება მეტი და ყოველნაირი სანოვაგე.არც ერთი ცხოველი პირს არ მიატანს ისეთ საჭმელს,რაც მის ბუნებას არ შეეფერება.აქ მისი მენიუ სასტიკათ განსაზღვრულია,ვერავითარი ძალდატანებით მას ვერ გადაახვევიებთ.ადამიანს კი ასეთი მენიუ აქვს: მას აჭამე და აჭამე რაც მოგიხდება,ოღონდ გემრიელათ კი იყოს შემზადებული.

ახლა სავსებით გამორკვეულია მეცნიერებაში,რომ ადამიანს მეტი ჭამა უფრო ვნებს,ვიდრე ნაკლები ჭამა.ამ სფეროში ის დაუბრუნდა ძველ ტრადიციას,წინაპართა შეხედულებას და ადათს.ძველათ მრავალ "ჩამორჩენილ" ხალხებში ახლაც კვებას არ აძლევდენ გაზვიადებულ მნიშვნელობას;ეს მიაჩნდათ საგნათ დიდი ყურადღებისა და შესწავლისა. რადგან კაცის დაბმა რაიმე კალაპოტში ბრძანებით და ქადაგებით შეუძლებელი გახდა,ჭკვიანებმა ეს კალაპოტი დააწესეს ღვთის სახელით,რელიგიური მოსაზრებით,რომლის შეუსრულებლობა ღვთის გმობას უდრიდა და ჯოჯოხეთში ადგილს უმზადებდა.მაგალითად,ცხელ აღმოსავლეთ ქვეყნებში ღორის ხორცი მავნებელია,ბევრი სტრიხინა იცის;მიუხედავათ ამისა მას მაინც ჭამდენ.ჰიგიენას მიეშველა რელიგია და ის აკრძალა.ასევეა საქრისტიანოშიც.დაწესებული მარხვები,ე.ი. ადამიანის კვება განსაზღვრულ დროს განმავლობაში მცენარეულობით, დიდებული საშუალება იყო კვების გაჯანსაღებისათვის.საყურადღებოა აქ ის,რომ მარხვა სავალდებულო იყო დიდებისათვის,რაც უფრო შედიოდენ ხანში,მით უფრო სასტიკათ უნდა დაეცვათ.ხოლო ბავშვებისათვის,მცირეწლოვანთათვის ის სრულიად არ იყო სავალდებულო და ამათ ღმერთი არ სჯიდა მარხვის გატეხვისათვის.ამ დადგენილებაში იყო დიდი აზრი:ბოვშვს მართალია ესაჭიროება კარგი კვება,ხორცეულობის მოუკლებლობა.ხოლო რაც უფრო ხანში შედის კაცი,მით უფრო მავნებელია ხორცის ხშირათ მირთმევა.წინეთ,ჩემს მახსოვრობაში,დიდი ჭამა იცოდენ ჩვენში წელიწადში რამდენიმე დღეს:აღდგომას,ახალ წელიწადს,შობას,ქორწილში.დანარჩენ დღეებში კვება იყო მეტათ ზომიერი.ამ სისტემაში მიუღებელია მხოლოდ ის,რომ ბოვშვებიც მას მორ-

ჩილებდნენ,მაშინ როდესაც ამათი კვება უნდა იყოს უხვი და მრავალფეროვანი.მაგრამ მათ ეხმარებოდა ბუნება:რაც სახლში დააკლდებოდათ ხილით ივსებდნენ.

ასე თუ ისე,დღეს ძველი სისტემა დარღვეულია,ახალი შემუშავებული არ არის,ხოლო ჭამა-სმა პირველ რიგშია დაყენებული და ძველ-თქმულება შებრუნებულია - რასაც შესჭამ შენია,რაც არა დაკარგულია. ნამდვილად კი ბევრის შეჭმაა სწორეთ დაკარგული,მას ორგანიზმი ვერ ერევა და ძაბუნდება.

ერთი გონებამახვილი ექიმი მართალი იყო,როცა თავისი პაციენტის მზარეულს მადლობა გადაუხადა,-უშენოთ ავადმყოფი არ მეყოლებოდაო. და მართლაც,შეძლებულ წრეებში მთავარი ავადმყოფობაა კუჭის.გემრიელ საჭმელს უკეთ ინელებენ,-ეს ცხადია.მაგრამ აქ მჭამელი ზომას ვერ იცავს:რაც უფრო გემრიელია,მით უფრო მეტს ჭამს.გამოდის, რომ გემრიელ სამზარეულოს,საუკეთესო მზარეულს ვნება მოაქვს მეტი, ვინემ სარგებლობა.

უთავბოლოთ კვება მავნებელია.რატომ?უმთავრესათ იმიტომ,რომ ორგანიზმი ვერ ერევა,ე.ი.ნოყიერებას ვერ აცლის სანოვაგეს,ხოლო უვარგის ელემენტების ევაკუაციას ორგანიზმიდან ვერ ახდენს.წარმოიდგინეთ ფეჩი,გაავსეთ ის ყელამდე,-ცეცხლი ვერ გაჩაღდება,სითბოს ვეღარ იძლევა.ადამიანის საკვები აპარატები იგივე ფეჩია.ისიც ფეჩივით იძლევა სისურვალეს,რისთვისაც საჭიროა მისთვის მიცემა შესაფერი სათბობი მასალის.ეს ცოცხალი ფეჩი შეიცავს ერთ ორგანოს კვების მისაღებათ - პირს,ხოლო საწმენდ ევაკუაციის ორგანოებს ბევრს:ორ მთავარს ქვემოთ,სამ წვრილს ზემოთ (ყური,ცხვირი,თვალი ) და აგრეთვე სხეულის მთელი კანი.ცხადია ორგანიზმი მუშაობს მეტათ მძლავრათ და გამუდმებით,უვარგისი ელემენტები მასში ბევრი გროვდება და ამას ის გარეთ ერეკება.თუ ეს წმენდა არ ხდება ნორმალურათ,თუ უვარგისი მასალა რჩება ორგანიზმში დიდხანს,სხეული იწამლება,სათბობი ორგანოები (კუჭი,წელები) ილახება,ვერ მუშაობენ. და თუ კიდევ ამავე დროს კაცი ძალას აცანს მას მადლიდან ახალ-ახალი სანოვაგის პირში ჩაყრით,ცხადია სნულება იწყება და ვითარდე-

ბა.

ზომიერი ჭამა და სისტემატური ევაკუაცია - ჯანმრთელობის საფუძველია,ჰიგიენის პირველი ამოსავალია.და როცა ამას შეიგნებენ,მის ნიადაგზე კვების საქმეს ააგებენ,ოჯახიც ამით მოიგებს მორალურად.ცოლ-ქმარს შორის იქნება ნაკლები უსიამოვნება და აყალ-მაყალ

ოჯახში უსიამოვნებას ქმნის აგრეთვე ქალის ერთი თვისება:მას ჰგონია,რომ მან ყველაფერი იცის;თუ სოკრატი ამბობდა,რომ მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიციო,ქალი,პირიქით,ფიქრობს:მე ვიცი,რომ ყველაფერი ვიციო.მისი აზრით,კაცი,განსაკუთრებით მისი ქმარი,ბრიყვია, ცხოვრების არაფერი გაეგება და მისი აზრი საქმეში მისაღები არ არი

ამას წინეთ მთელი პარიჟი აღფრთოვანებული იყო ერთი პიესით,ავტორს დაუსრულებლივ ოვაციებს უმართავდნენ.მისმა ცოლმა კი არაფერი ამის არ იცოდა და როცა უთხრეს,გაუკვირდა,-ჩემი ქმარი რამე ჭკვიანურს როგორ დასწერდაო.ცნობილია გლადსტონის დღიურიდან ერთი ადგილი:ევროპაში ერთად-ერთ ადამიანს მივაჩნივარ ბრიყვათ,ეს არის ჩემი ცოლიო!ქალს უფრო სჯერა ქალის,ვინემ კაცის.ჩემს ცოლს"FEMME DE MENAGI ის (ფამ დე მენაჟ-ის,-დამლაგებელი ქალის) მეტი სჯერა,ვინემ ჩემი კურიოზია,როცა მინდა ოჯახში რამე გაკეთდეს,მე ვეტყვი მოსამსახურ ქალს - უთხარი დიასახლისსთქვა.უეჭველათ გაკეთდება.ხოლო მე თუ ვუთხარი - პასუხს მივიღებ - შენ რა გაგეგებაო.ასეთია თვისება ყ ლა ქალის:ის ყოველთვის კაცზე უფრო აბსოლიუტისტია,არ ეშინია არც პასუხისმგებლობის,არც შეცდომის.რაც უნდა დააშაოს,მაინც ჰგონია ყველაფერი ჩინებულათ გააკეთა.კაცისაგან ხშირათ გაიგონებთ:შევცდ უკაცრავათო;ქალისგან არასოდეს:ის შეუმცდარია.ქალიშვილი მამის დ რიგებას არ ლებულობს,ისიც დედასავით ფიქრობს - კაცმა რა იცისო. ქალისთვის კაცი,შინაური ცხოველივით მოწოდებულია იმუშაოს,ხოლო ნაყოფი მან უნდა მოიხმაროს მთელი ოჯახისათვის.აქ კაცს ხმა არ აქვს.ოჯახით რომ კმაყოფილდებოდეს,კიდევ არაფერია;მან ქვეყნის ამბავიც ქმარზე უკეთ იცის:ცნობილია,ქმარი ლაშქარს იყო,ცოლი შინ ამბავს ახვედრებდაო.ქალს,ქალიშვილს თუ ახალგაზრდას განსაკუთრებით. . . კაცის ყველაფერი სჯერა ერთ შემთხვევაში:როცა

ის მას ეარშიყება და სიყვარულს ეფიცება.სწორეთ აქ,სადაც მეტი სიფრთხილე და დაეჭვებაა საჭირო,ის ორივე ფეხებით მახეში ებმე-ბა.ამ სფეროში თაფლიანი ენა ქალს თავბრუს ახვევს და ავიწყები-ნებს სავსებით თავის ძირითად თვისებას.ცხადია სქესობრივი ინსტი-ქტი თავისი სიძლიერით იმორჩილებს ყველა სხვა ინსტინქტებს ქალში და მიყავს ის თავის ხაზზე.ნამდვილათ კი არც ერთ სფეროში ქალს არ ესაჭიროება მამაკაცის უნდობლობა ისე მკაცრათ,როგორც სწორეთ ამ სფეროში.მამაკაცს აქ იტაცებს წუთიერი სიამოვნების ინსტინქ-ტი,ქალს კი მოდგმის გაგრძელების,შვილოსნობა.ქალმა უნდა ჩაით-რიოს ის ამ საქმეში,გააბას ამ უღელში,დააბას ოჯახის ბაწრით.ე.ი. სქესობრივ ურთიერთობას კაცი და ქალი სხვადასხვა ნაირათ უდგება და სწორეთ აქ ეჭირვება ქალს "გონებანი გონიერხა".

თვით ფიზიოლოგიური პროცესიც მათში სხვადასხვა ნაირათ მიმდი-ნარეობს.სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება კაცში იწვევს მაშინვე ქალისაგან დაშორებას.ქალში კი,პირიქით,დაახლოებას.კაცი დგება,ქალი კი ეწიწება - კიდევ დარჩიო.კაცის პროცესია ზერელე, მსგავსი თამაშობისა,ქალის კი ღრმა,სერიოზული,მთელი ორგანიზმის შემანძრეველი.ქალს არ ესმის ეს დიდი განსხვავება და ლამაზი სიტ-ყვების,მისატყუებელი ანკესის მსხვერპლი ხშირათ ხდება.ცოლს და ქმარს შორის ეს ბუნებრივი განსხვავება ერთი მიზეზთაგანია უსია-მოვნების.

ქალმა რომ"ყველაფერი იცის",ამის მთავარი მსხვერპლია არა ქმა-რი,არამედ შვილი.ის მას ზრდის თავისი"საკუთარი ჭკუით",სხვის დაუ-კითხავათ,შესაფერი წიგნების წაუკითხავათ,გამოცდილების და ცოდნის გარეშე.აქ ის ხელმძღვანელობს მხოლოდ თავისი ინტუიციით,მას დახმა-რება არ ეჭირვება.საუკეთესო საექიმო წიგნი რომ წაუკითხოთ,ის მაინც თავისებურათ შვრება.ჩემს ქალს - ათიას-რამდენჯერ მივეცი შენიშვნა თავის თავის თუ ეთერუშას მოვლის შესახებ,რაიცა ამოვიკითხე ექიმ-თა ნაწერებიდან.ის მაინც თავისას შვრება.ამას წინეთ გავაფრთხილე მზეზე თავშიშველი და ზურგშიშველი ნუ დადის,-არ შეისმინა.ახლა კი

ორივეს თავი სწკივა და ავათ ვართო იძახიან.მიუხედავათ ამისა,ხვალვ
ძველებურათ გააგრძელებენ.ასეთია ქალის ბუნება.ამ გარემოებას,უეჭვე
ლია,აქვს თავის ღრმა მიზეზები,შეიძლება ეს იყოს ორგანიული ხასია-
თის.ქალს ალბათ არ ძალუძს დაამძიმოს თავისი ბუნება ცოდნით და ფიქ-
რით;ის ცდილობს იოლათ,მსუბუქათ მიუდგეს ყველა საკითხს,რომ ამით
შეინახოს შვილოსნობისათვის მიუცილებელი ძალ-ღონე.ასეა თუ ისე,კა-
ცი უდგება ცხოვრებას მძიმეთ,ქალი მსუბუქათ:რაც ერთისათვის ტრაგე-
დიაა,მეორისათვის ვოდევილია.ამიტომ ყოველნაირ მწუხარებას და სატ-
კივარს,არის ეს ფიზიკური თუ მორალური,ქალი კაცზე უფრო ადვილათ
იტანს.

ცოლს უყვარს თავისი ძალაუფლება გაავრცელოს არა მარტო შვილებზე
არამედ კიდევ უფრო ქმარზე.მისი თავის ოპეკაში ჩაჭერა მისი იდეალი
ახალგაზრდობაში ეს ძნელი ხდება,რის გამო ხშირი შუღლია მათ შორის.
სამაგიეროთ,ხანში შესულთა შორის,მოხუცებაში ქალი სავსებით ხდება
თავისი ქმრის ოპეკუნი,განსაკუთრებით უშვილობაში ან და როცა დაზ-
რდილი შვილები დედ-მამასთან აღარ ცხოვრობენ.აქ ქმარი ისე მოკლე-
ბულია ყოველგვარ ინიციატივას,რომ თავისით პერანგსაც ვერ ჩაიცვამს
ვერაფერს გააკეთებს,თუ ცოლმა არ უთხრა.ხშირათ ეს დაპყრობა სრულია
უსაზღვროა.არა მგონია ეს ცოლისათვის სასარგებლო იყოს.მე ვიცი ერ-
თი მაგალითი ასეთი უსაზღვრო დაპყრობის,რამაც აიძულა ქმარი,ხანში
შესული,ნუგეში მოენახა სხვა ქალთან.განსაკუთრებით ფართედ განვი-
თარებულია ეს ოპეკა ფრანგებს შორის.საწყალი დაზრიყვებული ქმარი
დაჯდომასაც ვერ ახერხებს თავის ნებით,უეჭველათ ცოლმა უნდა უკარ-
ნახოს.რამდენჯერ მინახავს ქმარი თავისი ნებით დამჯდარი ერთ სკამ-
ზე,ხოლო ცოლის მიერ მაშინვე სხვა სკამზე გადაყვანილი.ამ სკამებს
შორის არავითარი განსხვავება არ იყო,მაგრამ ქალი ამით ცდილობს
თავისი ავტორიტეტი განამტკიცოს,ქმარი არ მიაჩვიოს თავისით ცხოვ-
რებას.ქმარი,რომელიც ვერ იტანს ამ უღელს,-გარბის.რამდენი მაგალი
თია ასეთი გადამალვის - ვინ მოთვლის საფრანგეთში.რამდენი შემთხვ
ვა მე ვიცი ჩემს ნაცნობ ფრანგთა შორის.მიუხედავათ მრავალნაირი დ

რკოლებისა,ქალი ოდნავადაც არ უხვევს ამ ხაზს,არ ცდილობს შეასუსტოს ის და კომპრომისული ხაზი აიღოს.ასეთი ქცევა მისთვის მიუღებელია, არა ბუნებრივია,თავის თავს ვერ ულალატებს,რჩება ის რაც არის,თავისი ბუნების ერთგული.ერთი ფრანგის ქალი,რომელსაც ქმარი გაექცა, მეუბნებოდა - გავყევი სხვას,ის იმედია არ გამექცევაო.რატომ?-შევეკითხე.-იმიტომ,რომ სრულიად არ ლაპარაკობს,კი-ს და არა-ს მეტს არ იტყვისო.უენო ქმარი ცოლის იდეალია!ცოლი არასოდეს არ არის ქმარის კმაყოფილი;ყველა ქმარი კარგია,მისი აზრით,მხოლოდ თავისია ერთათ ერთი გამონაკლისი.კაცი თავის უკმაყოფილებას ცოლთან გარეშეს არ უმჟღავნებს,თავისთვის ინახავს,ქალი კი პირიქით,სრულიად არ მალავს, პირველ ნაცნობს ეტყვის რა უთაოა მისი ქმარი.საზოგადოთ საოჯახო სირცხვილ-ნამუსს კაცი უფრო ინახავს და აფასებს,ვინემ ქალი.რასაკვირველია,არიან ქალები მეტად ჭკვიანი და მაგარი ხასიათის,რომ საოჯახო უსიამოვნება გარეთ არ გაიტანონ.მაგრამ საკვირველია ერთი გარემოება: კაცს არ უყვარს,არ იტაცებს ჭკვიანი ქალი,მას უფრო მოსწონს ზერელე და ცერცეტნი.ამათში ის ხედავს ნამდვილ ქალს,ხოლო სერიოზულებში უფრო მამაკაცურ თვისებებს,რასაც ის დედაკაცში პატივს არ სცემს.ჭკვიან და ღინჯ ქალიშვილს ქმარის შოვნა უჭირს,ყმაწვილები მას შორიდან უვლიან. ახტაჯა გოგოები ჩქარა თხოვდებიან.საზოგადოთ კაცი ეძებს ქალში თავის ანტიპოდს,მას იტაცებს მასში ყველა ის,რაც მას არ გავს.იშვიათია ისეთი ქალი,რომელიც კაცს გავდეს თავისი თვისებებით და თუ მაინც გამოერია - საქმარო არ არიან.ჭკვიანი ქალი ბრიყვ კაცს არ წაყვება,ჭკვიანი კაცი სწორედ ბრიყვ ქალს ეძებს.ორივე სქესი ერთმანეთში ეძებენ სწორედ იმას,რაც თვითეულს არ აქვს და თუ ორი ასეთი პიროვნება შეუღლდნენ და იმათ შესძლეს ერთ მორალურ პიროვნებათ გადაქცევა,გამოვა,რომ ამ პიროვნებას ექნება ორივე სქესის ღირსება-ნაკლოვანებანი.

ცხადია,მთელი ამ მოვლენის მიზეზია ადამიანის ბუნების მიდრეკილება მთლიანობისაკენ,ხოლო რადგანაც ამას ხელს უშლის სქესობრივი დანაწილება,ადამიანის გაორება,ამიტომ ამ ძირითადი ღრმა ზღვარის ამოვსებას ის ცდილობს პალიატივებით(დროებითი საშუალებებით):ხე-

ლოვნური შერჩევით,პსიხოლოგიური მოვლენათა კომბინაციით,ერთი მეო-რის დამორჩილებით.ეს უკანასკნელი მეთოდი იყო გაბატონებული ისტო-რიის წინა პერიოდებში,ქალის დამონება მთავარი საშუალება იყო ცოლ-ქმარს შორის ერთობის დასამყარებლად.ამხანათ კი მხოლოდ პირველი მეთოდით ცდილობენ იმავე მიზნის მიღწევას.დღეს ქალი ცდილობს დაი-მონოს კაცი არა ძველებურად,ძალით,როგორც ამას მამაკაცი სჩადიოდა, არამედ ნებაყოფლობით,საოჯახო ცხოვრების დაპატრონებით და ქმარის თავის მორალურ რკალში მომწყვდევით.ფორმა სხვადასხვაა,შინაარსი ერთიდაიგივეა - იყოს არა ორი,არამედ ერთი არსება,ერთი ნებისყოფა, ერთი წინამძღოლი და პატრონი,მთლიანობა.ამ ბუნებრივი მოვლენის ფარ-გალში ჩნდება ან ჰარმონია,ან განხეთქილება.ან მართლა მთლიანობა,ან კიდევ უფრო განთვითება,ან თანხმობა ან დრამა.სქესთა ბრძოლას აღარ აქვს ძველებური ძალმომრეობითი ხასიათი.საზოგადოთ ის მაინც გრძელ-დება ახალი სახით,რბილი,უჩინარი გზებით.ეს გზა გამოჩნდება მხოლოდ დიდი განხეთქილების და დრამატულ მომენტების დროს,რაიცა შორდება ოჯახის საზღვარს და ხდება საზოგადოებისათვის დასანახავათ.ასეთი შემთხვევა,მართალია,ხშირია,მაგრამ მაინც გამონაკლისია.ჩვეულებრი-ვათ კი სქესთა ბრძოლა წარმოებს ოჯახის ფარგალში,გარეშეთა დაუნა-ხავათ და დაფარულად.ბრძოლა წყდება მთლიანობის,ჰარმონიის შექმნით, რის მიღწევა მეტათ ძნელი საქმეა.ამისათვის საჭიროა"ბედი",ე.ი.შე-საფერ პიროვნებათა შერჩევა და შეუღლება.ეს ნანატრი შეუღლება იშ-ვიათია:ორი ნახევარ-ნახევარი ადამიანის ერთიმეორის მონახვა,შეხ-ვედრა,დაქორწინება და მთლიანი არსების შექმნა ბედნიერი შემთხვევა: გამონაკლისია.ასე რომ,სქესთა ბრძოლა,ოჯახის ფარგალში თავიდანვე დაწყებული,-გრძელდება მუდამ სხვადასხვა ფორმით და სახით.ყველა საზოგადოებრივი პრობლემა შეიძლება გადაწყდეს,სქესთა ურთიერთობის პრობლემა კი გადაუწყვეტელია,მუდმივია,ვინაიდან ის ბუნებრივი მოვ-ლენაა,ის ადამიანის შექმნილი და გამოგონილი არ არის(მე აქ არ ვამ-ბობ სქესთა ბრძოლაზე საზოგადო ასპარეზზე,ეს მხარე არ შედის ამ"წი-ნის"საგანში).თითქოს ბუნებამ ერთხელ ჩაიდინა დიდი შეცდომა - ადა-მიანები გაყო ორ სქესად და შემდეგ ცდილობს ეს გაყოფა შეანელოს

შეუღლებულთა ერთ მორალურ პიროვნებათ გადაქცევით.მაგრამ რაკი სამირკველი მრუდეა,ყოველი ცდა მასზე სწორი კედლების აშენებისათვის – უნაყოფოა.ქვეყანამ მხოლოდ ერთი შენობის აგება იცის უსწორმასწორო საძირკველზე,-ეს არის პიზის ეკლესია.ის ერთი საკვირველი გამონაკლისია.ასეთი გამონაკლისები კაცთა საზოგადოებაში ვერ მოშლიან ძირითად მიზეზს სქესთა ბრძოლისა.

ქალებს სხვა წარმოდგენა აქვთ ზრდილობაზე,ვინემ კაცებს.მათი აზრით,ზრდილობა მოეთხოვება მამაკაცთა სქესს,ხოლო თვითონ თავისუფალნი არიან მისი კლანჭებისაგან.მათი სიტყვა-პასუხი კაცების მიმართ უფრო თავისუფალი,უფრო შეუსწორებელი და პირდაპირია,ვინემ კაცებისა მათ მიმართ.მათ ყველაფერი ეპატიებათ,შეუძლიათ არ დაიცვან ზრდილობის წესები და ადათ-ჩვეულებანი,ვინაიდან მათი შეხედულებით ზრდილობის ობიექტია ქალთა სქესი,ხოლო სუბიექტი მამაკაცები.ამ მხრით, ქალები გათანასწორებულია ბავშვებთან.სოფლის კაცს ეს კარგათ ესმის და შესაფერი დასკვნაც გამოყავს.მახსოვს ერთხელ მეტათ უკმეხათ ელაპარაკებოდა ქალი კაცს ჩვენს სოფელში.მე გამიკვირდა და შევეკითხე შემდეგ მას:როგორ ითმენდი ასეთ უზრდელობასთქო.-"კაცი ყოფილიყოვაჩვენებდი სეირს,ქალს რა მოეთხოვება,თვითონ არ იცის რა ტიტინობსო. მე გამოვდიოდი ჩემს მსჯელობაში სქესთა თანასწორობისაგან,ის კი სულ წინააღმდეგ,სქესთა უთანასწორობისაგან.ეს ფილოსოფია უფრო რეალური, ცხოვრებაში გამოსაყენებელი და მშვიდობიანობის მომცემია.ჩემი მოსაუბრე ბუნების პირდაპირი შვილია და მის ცნებას ასრულებს.მეორე დღესვე ისინი ისე ტკბილათ საუბრობდნენ,ვითომ არაფერი მომხდარიყოს მათ შორის.რასაკვირველია,ქალი ბუნებით უფრო ანჩხლი და მგრძნობიარეა,ვინემ კაცი.მაგრამ მისი ურთიერთობა მამაკაცთან გამომდინარეობს არა ამ ზერელე თვისებისაგან,არამედ ძირითადისაგან – ის ცოლია,დედაა,სხვა ოჯახის შვილია და ქმარი მას პატივით უნდა ეპყრობოდეს. მას ისეთი ორგანიული ჯაფა აწევს და ეს არ სურს კიდევ დაამძიმოს თავდაჭერილი,პირობითი ურთიერთობით მეორე სქესთან.მისი აზრით, მისი ასეთი ჯაფა და განცდა კაცის ბრალია,რომ ის მას არ"შეეცდინა" გაიოლებით უფრო იოლათ იცხოვრებდა.

საზოგადოთ ქალი შვილოსნობის გათავების შემდეგ ქმარზე მუდამ გაჯავრებულია.და თუ ის ვერ დაიმორჩილა სავსებით,მისი აღარაფერი მოსწონს.ერთი სიტყვით ქალისათვის დასაშვებია ყველაფერი,რასაც კი მოისაზრებს და გააკეთებს.ეს ამ სქესის საერთო ფსიხოლოგიაა.ის იმყოფება ყოველი კონტროლის გარეშე,მისი მსაჯული არავინაა.გამამართლებელი მიზეზები მუდამ მრავლათ მოეპოვება,თუ მისი წამოყენება საჭიროთ დაინახა,რაიცა მეტად იშვიათია.ის იტყვის და გათავდა: დაეთანხმები თუ არა - ეს მისთვის სულ ერთია.

მე მგონია ცოლ-ქმარის ურთიერთობაზე,მათ მსგავსებასა და განსხვავებაზე საკმაოთ ითქვა,მთავარი ხაზები მაინც ანუსხულია.დროა გადავიდეთ მათ მუშაობაზე შემქმნელ პერიოდში;რას აკეთებენ,როგორ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას?

როგორც ვთქვით,მათი შემოქმედება იხატება ორ დარგში:მოდგმის გაგრძელება,საცხოვრებელი წყაროების შექმნა.

ძველათ პირველი საკითხი წყდებოდა უბრალოთ - რასაც ღმერთი მისცემს - დედ-მამა კმაყოფილია.აქ არ იყო გამოგონილი და განხორციელებული ამ საკითხის ხელოვნურათ გადაჭრა,შვილის გაკეთება თუ არ გაკეთება.ეს აზრი დაიბადა სულ ახალ დროში,გავრცელდა და კაცობრიობის დიდ სენათ გადაიქცა.რასაკვირველია,ბუნების ბრძანებას ვერავინ შეაჩერებს,დადგენილი უნდა ასრულდეს,ადამიანთა მოშენებას ვერავითარი ადამიანური ძალა ვერ შეაკავებს,მაგრამ ამ გარდაუვალ კანონთან ბრძოლას დიდი ზარალი მოაქვს,როგორც ფიზიკური,ისე მორალური და საზოგადოებრივი.არასოდეს ქალი ისე ჩქარა არ ბერდებოდა,როგორც ახლა.ამას ვერ დაფარავს ვერავითარი კოსმეტიკა, რაც დღეს ქალების კერპათ გადაქცეულია.მიზეზი ამ ცვლილებისა,ამბობენ ეკონომიური ხასიათისაა,რაიცა მეტად გაზვიადებულია ზოგ წრეებში.აქ საკვირველია ის,რომ ყველაზე უფრო ღარიბ მოსახლეობას ყველაზე მეტი შვილები ყავს.და რომ მართლა ეკონომიკა თამაშობდეს აქ გადამწყვეტ როლს - ეს მოვლენა ვერ აიხსნებოდა.ქალაქის მუშათა შორის,როცა ცოლ-ქმარი ერთათ მუშაობენ სახლს გარეთ,

მართლაც ძნელია ბავშვების გაჩენა და მოვლა. აქ წამალი უნდა დაედვას ამ სოციალურ ბოროტებას. ქალი არ უნდა იყოს იძულებული ლუკმაპური გარეთ ეძიოს. მაგრამ სხვა უფრო მაღალ წრეებში გადამწყვეტ როლს თამაშობს არა ეკონომიკა, არამედ ფუქსავატობა, იოლი ცხოვრებისაკენ ლტოლვა, ქეიფი და არშიყობა, ჭკვამხიარულობა და დაუფიქრებლობა. ყველა უშვილო ხანში შესვლისას ნანობს თავის უშვილობას და ქვეყანა აღარ მოსწონს, თითქოს მისი სიბრიყვე სხვისი ბრალი იყოს.

"განათლებულ" ქვეყნებში თანდათან იკარგება ბუნებრივობა, ბუნების კანონებისადმი ერთგულება, სალი გონიერების ბატონობა და ფეხს იკიდებს ხელოვნური კომბინაციები. გამოგონებული, არაბუნებრივი შეხედულებები, მოდები და ფანტასტური პლანები. მთელი ქალთა სქესი არამშრომელებისა დღეს ირევა ვიწრო ტანადობის შენარჩუნებაზე, არ სჭამს თავს ძალით იმჭლევებს, ექიმებიც კი ეხმარებიან ამ საქმეში; სრულიად არავინ ფიქრობს მის შედეგებზე როგორც მათთვის ისე მათი შვილებისათვის. წამოყენებულია პირველ რიგში პირადი "მე", მისი სიამოვნება და დროსტარება. ყველა სხვა მხარე ცხოვრებისა უკანაა დაყენებული, ამათ შორის მოვალეობა ოჯახის, შთამომავლობის მიმართ. საზოგადოთ, ყველა უფლებას ეძებს, მოვალეობას უკუაგდებს. მოვალეობა გამოცხადებულია უბედურებათ, უფლება ბედნიერებათ. ჩვენ პატრიარქ ქართველ ერს არ მართებს აყვეს ავში ამ ხალხებს, რომელნიც დიდი ხანი არ არის, რაც ისტორიის ასპარეზზე გამოვიდნენ და მიქროლავენ ცის ქვეშ, საითკენ თვითონ არ იციან.

1936 წ.

# ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა

I.

ნოე ჟორდანიამ "წიგნი ოჯახში საკითხავი" დაუტოვა მის საყვარელ შვილიშვილს ეთერი ფაღავას, და ხელნაწერი ინახება ახმათი და ლევან ფაღავების ოჯახში. 1976 წლის თებერვალში ახმათიმ და ლევანმა შესთავაზეს რადიო"თავისუფლების" ქართულ რედაქციას ნოე ჟორდანიას"წიგნი ოჯახში საკითხავი" გადაეცათ რადიოთი საქართველოში. ხელნაწერიდან გადაღებულ იქნა ორი ფოტო-ასლი, ორიგინალი კი დაუბრუნდა ფაღავას ოჯახს.

II.

"წიგნი ოჯახში საკითხავი" გადაიცა რადიო"თავისუფლებით" 1976 წლის 28 აპრილიდან 1977 წლის 2 მარტამდე ნაწილნაწილად, სულ 33 საუბარი, სერიაში:"ოჯახი და საზოგადოება",რომელსაც მივეცით ასეთი განმარტება:

"ოჯახი და საზოგადოება" - გადაცემათა ამ სერიაში ჩვენ გვსურს,პატივცემულო მსმენელებო, გაგაცნოთ დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ხელნაწერი,რომლის სახელწოდებაა - "წიგნი ოჯახში საკითხავი დაწერილი ჩემს მიერ, ჩემი შვილების და შვილიშვილებისათვის საგულისხმიეროთ და სახელმძღვანელოთ. 15 იანვარი,1933 წელი,ვანვი."

ამ,ასე ვთქვათ,"საოჯახო წიგნის" შინაარსის გაცნობა თქვენთვის,პატივცემულო მსმენელებო, იმიტომ ჩავთვალეთ საჭიროთ, რომ ნოე ჟორდანიას ეს ნაშრომი, ისე როგორც მისი ყველა თეორიული ნაშრომი, უდაოა, დიდი ღირებულებისაა მთელი ქართველი ხალხისათვის, განსაკუთრებით დღეს, როცა პარტიული ვაი-თეორე-
ნიშნის
ტიკოსები ცდილობენ კითხვის ქვეშ დააყენონ ქართული ოჯახის ეროვნული განსაკუთრებულება,რადაც ე.წ-ლი"საბჭოთა ახალი ტიპის ადამიანის" შექმნის მიზნით."

## III.

ამ "ოჯახში საკითხავი" წიგნის გაგებისათვის,უთუოდ,საჭიროა, მაინც სულ ცოტა, სტენოგრაფიული მონაცემები ნოე ჟორდანიას ოჯახური ცხოვრებისა: ის დაიბადა 1868 წლის 15 იანვარს ლანჩხუთში და გარდაიცვალა 1953 წელს, 11 იანვარს, პარიზში(ვანვი) და დაკრძალულია პარიზის ახლოსმდებარე ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე, საქართველოს სხვა გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად. ნოე ჟორდანია დაქორწინდა 1904 წელს თბილისში ანნა კორეფეზე,რომელიც დაიბადა 1877 წლის 15 თებერვალს სოფელ კრონში(რუსეთი) და გარდაიცვალა 1967 წლის 16 ნოემბერს პარიზში და დაკრძალულია ნოე ჟორდანიასთან ერთად.

ნოე ჟორდანიას ჰყავდა ოთხი შვილი: ასმათი,რომელიც არის ლევან ფაღავას მეუღლე და ჰყავთ ორი ქალიშვილი – ეთერი და ქრისტინე – და ერთი შვილიშვილი – ტარიელი,რომელიც იზრდება ქართული ტრადიციების მიხედვით და კარგად ფლობს ქართულ ენას; ნინა,რომელიც გათხოვდა არჩილ ციციშვილზე და ჰყავთ სამი ქალიშვილი და ერთი შვილიშვილი-ვაჟი; ანდრეიკა,რომელიც გარდაიცვალა საქართველოში, და რეჟები,რომელსაც ჰყავს ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი, ცხოვრობს ნიუ-იორკში და ლექციებს კითხულობს უნივერსიტეტში ფრანგული ცივილიზაციის შესახებ.

## IV.

და-ბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ ეს "წიგნი ოჯახში საკითხავი",უთუოდ,უნიკალურია არა მარტო ნოე ჟორდანიას თეორიულ ნაწერებში,არამედ ქართულ დამწერლობაში საერთოდ,-რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ წიგნში გამოთქმული ზოგიერთი დებულებები განხილული უნდა იქნას დროის იმ ასპექტში,როცა ეს წიგნი დაიწერა.შეიძლება, ნოე ჟორდანიას ზო-

გიერთი შეხედულება - განსაკუთრებით საზოგადოებრივი საქმიანობის უკანა,ხოლო ოჯახის წინა პლანზე დაყენება;-მით უმეტეს დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის თავჯდომარის მიერ - ვერ ეგუება ატომური ხანის წარმოდგენას ოჯახზე,საზოგადოებაზე,ერზე,სახელმწიფოზე. მაგრამ,ვფიქრობთ, ამ "ოჯახში საკითხავ" წიგნში ბევრი საგულისხმიერო შეხედულებებია გამოთქმული, რომელთა ყურადღებით წაკითხვა-შესწავლა,უდაოა, დაგვეხმარება ჩვენი ეროვნული განსაკუთრებულობის გაფურჩქვნა-აყვავების საქმეში.

V.

ნოე ჟორდანიას "წიგნი ოჯახში საკითხავი" რომ პირველი შესაძლებლობისთანავე დაისტამბება, ეს,ვფიქრობთ,უეჭველია; მანამდე კი შევძელით მისი "მიმეოგრაფიული წესით", ხუთ ასი ცალის, გამრავლება, რითაც ეს წიგნი, ნაწილობრივ მაინც, ხელმისაწვდომი ხდება ჩვენი საზოგადოებისათვის.

კ.ი.

1977 წლის მარტი

მიუნხენი-პარიზი(ვანვი)